პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 20 კ.; ტექსტში—3 მ.; განცხადებლები გარდა განცხადების ფასისა იხდიან 10% [illegible] გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— უნგრეთის მთავრობამ სამხედრო - საველე სასამართლოს გადასცა 52 კომუნისტი და სოციალისტურ მუშათა პარტიის წევრი.
— ჟენევაში ჩავიდა ჩეხო - სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მასარიკი
— იტალიის მთავრობამ 9 მილ. ლირა გადადო [illegible] თა რაზმის გასაძლიერებლად.
— ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც მიმართულია ბავშვთა შორის კომუნისტური პროპაგანდის წარმოების წინააღმდეგ.

სამშაბათი, 15 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 58 (1813)

1927 წლის 22 მარტს მოწვეულია
საქ. კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის

მე-V-ე გაფართოებული პლენუმი

საქ. ც. ს. კომისიის და მ|გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების რწმუნებულებთან ერთად

ც. ს. კომისიის წევრების და კანდიდატების, და აგრეთვე მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების რწმუნებულების დასწრება სავალდებულოა.

ც. ს. კომისიის თავმჯდომარე ა. დოლიძე

სავაჭრო ხელშეკრულება ოსმალეთთან

11 მარტს ანგორაში ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს უდიდესი მნიშვნელობის აქტია, რომელიც კიდევ უფრო ამტკიცებს ორივე სახელმწიფოს შორის უკვე არსებულ მეგობრულ ურთიერთობას და შლის მათ წინაშე ეკონომიურ თანამშრომლობის ფართე პერსპექტივებს.

საძირკველი მათ მეგობრობას კარგა ხანია, რაც ჩაეყარა. საერთო ინტერესებმა და მიზნებმა ოსმალეთი და საბჭოთა კავშირი ბუნებრივად დააახლოვეს ერთმანეთთან. ბრძოლამ თავის დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობისათვის რასაც ემუქრებოდა და ემუქრება მსოფლიო იმპერიალიზმი, ისინი ობიექტურად მოკავშირენი გახადა. იმპერიალისტებს არაფერი დაუზოგავთ, რომ ოსმალეთი ჩაეთრიათ ანტისაბჭოთა ბლოკში. მაგრამ ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. 1925 წ. დადებულ ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულებამ ცივი წყალი გადაასხა ჩვენი მტრული გარემოცვის სულისჩამდგმელთ, მაგრამ შეარღვია ხაზი ანტი საბჭოთა ფრონტისა, რომლის შესაქმნელად ამდენს იღწვიან ინგლისელი იმპერიალისტები.

ოსმალეთის საბჭოთა კავშირისაგან ჩამოშორების, მათ შორის გადებულ ხიდის ჩამტვრევის ცდა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. იმპერიალისტებს უნდოდათ შეეყვანათ ის ერთა ლიგაში, ამ გზით გაექარწყლებიათ, ყოველ შემთხვევაში შეესუსტებიათ, ხსენებული საგარანტიო ხელშეკრულების მნიშვნელობა, თვით ოსმალეთი მოექციათ თავის გავლენის ქვეშ და ერთა ლიგა გაეხადათ მისი დამონების იარაღად. ამ ფანდმაც ვერ გასჭრა. ნაციონალურ ოსმალეთის ხელმძღვანელებმა მშვენივრად შეიგნეს, თუ რა საფრთხეს უმზადებდნენ მათ ქვეყანას მისი „არა მკითხე მზრუნველები", რომელნიც მას ეპატიჟებოდნენ ერთა ლიგაში და ამასთან საბჭოთა კავშირისათვის ზურგის შექცევას ურჩევდნენ. რუშტი-ბეისა და ამხ. ჩიჩერინის შეხვედრამ ოდესაში იმპერიალისტების შავი ზრახვები ერთხელ კიდევ ჩაშალა და კვლავ დაადასტურა საჯაროდ საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობის ურყევლობა.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის და თანამშრომლობის შემდგომ გამოხატულებას წარმოადგენს ამა წლის იანვარში ხელმოწერილი კონვენცია ორივე ქვეყნის მოსაზღვრე მდინარეების ურთიერთ სარგებლობის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის, პირველ ყოვლისა, ჩვენი მოძმე რესპუბლიკა—სომხეთისათვის (ოქმი სარდარაბადის არხისათვის მდ. არაქსის ოსმალური ნაპირით სარგებლობის შესახებ). აგრეთვე საყურადღებოა ჩვენსა და ოსმალეთ შორის ბათომში დადებული სავეტერინარო შეთანხმება.

დღეს კი, როგორც ზევით ვსთქვით, უკვე გვაქვს ოსმალეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება. მოლაპარაკება მის გარშემო კარგა ხანია, რაც წარმოებდა. საჭირო იყო აღებ-მიცემობის საკითხების ამომწურავი და კონკრეტული ჩამოყალიბება, რომ შემდეგ, ხელშეკრულების მიხედვით სავაჭრო დამოკიდებულების განვითარების დროს, რაიმე გაუგებრობას და ბუნდოვანობას არ დარჩენოდა ადგილი. საჭირო იყო ორივე ქვეყნის ეკონომიურ სისტემათათვის ანგარიშის გაწევა, მათი ეკონომიურ საჭიროებათა შესწავლა და გათვალისწინება. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა რეალური და ორივე მხარისათვის სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულების გამომუშავება. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას დრო უნდოდა. ამასთანავე უეჭველია, რომ ინგლისის კაპიტალი, რომლის პოზიციები შეირყევა ოსმალეთში, როცა უკანასკნელი უფრო გააფართოვებს და მოაწესრიგებს ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობას, — ყოველ ზომას მიმართავდა ინგლისის ორიენტაციის მცირერიცხოვან მემარჯვენე ოსმალელთა დახმარებით, რომ რაიმენაირად შეეფერხებინა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

მაგრამ, როგორც უკვე ვხედავთ, ეს ხელშეკრულება ფაქტია. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ქემალის ოსმალეთი იბრძვის არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, არამედ ამ დამოუკიდებლობისათვის მტკიცე ბაზის შესაქმნელად, რაც მიღწეული იქნება იმპერიალისტების ეკონომიური ბატონობის მოსპობით. ამ ნიადაგზე ოსმალეთი აუცილებლად უნდა დასდგომოდა ეკონომიური თანამშრომლობის გზას საბჭოთა კავშირთან, რომელიც, რა თქმა უნდა, ოსმალეთის და არც ერთი სხვა ხალხის მიმართ რაიმე აგრესიულ კოლონიალურ ზრახვებს არ ატარებს. ამავე დროს სავაჭრო ურთიერთობას ჩვენსა და ოსმალეთს შორის მტკიცე ბაზა აქვს და ის ორივე ქვეყნისათვის ერთად სასარგებლო და აუცილებელია. ინდუსტრიალიზაციის გზით სწრაფად მიმავალი საბჭოთა კავშირი საჭიროებს ოსმალეთის სამრეწველო - ტექნიკურ ნედლეულს და მესაქონლეობის პროდუქტებს, ხოლო სამაგიეროდ ჩვენი მრეწველობა მიაწვდის მას შაქარს, ნავთის ნაწარმოებს, ნაჭერს და სხვ. დღემდეც აღებ-მიცემობა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის საკმაოდ ფართოდ იყო დაყენებული. სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგ კი, რომელიც ამ მხრივ ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელ და ნათლად ჩამოყალიბებულ პირობებს ჰქმნის, ვაჭრობა და საერთოდ ეკონომიური თანამშრომლობა მათ შორის გაცილებით უფრო გაიზრდება, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ორივე ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას და მათი მეგობრობის გაღრმავებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა სწორედ მაშინ, როცა ჩემბერლენი ჟენევაში კანიდან ძვრება ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად. სხვათა შორის, ეს ფაქტი მოწმობს ჩემბერლენის დამარცხებას, ისე, როგორც საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ წინასწარი შეთანხმება ლატვიასთან, რის შესახებ ამ დღეებში გვაუწყეს დეპეშებმა. სამშვიდობო პოლიტიკის მტკიცედ გაგრძელება და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება სხვა ქვეყნებთან—აი მერმისშიაც, როგორც წინედ, ჩვენი გზა, რომელიც გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

ხელმოწერილია ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

იაპონია და უნგრეთი წინააღმდეგი არიან ბესარაბიის ოქმის დამტკიცების

გერმანიის დამარცხება ერთა ლიგის სესიაზე

კანტონის ჯარები უახლოვდებიან ნანკინს

შეტაკება კანტონის ჯარებსა და შანდუნელებს შორის.—ინგლისმა ახალი დესანტი გადასხა შანხაიში

სავაჭრო ხელშეკრულება

ოსმალეთთან დადებულია

ანგორა, 13 მარტი. 11 მარტს ხელი მოაწერეს ოსმალეთ საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებას. ხელშეკრულება შესდგება ორ ნაწილისაგან. პირველი შეეხება ერთი სახელმწიფ. მოქალაქეთა ცხოვრებას, მეორე სახელმწიფ. ტერიტორიაზე, მეორე—ვაჭრობის ნაოსნობის საკითხი. ხელშეკრულებას დართული აქვს ოქმები საბაჟო შეღავათების და უპირატესობის მქონე ერის უფლებების შესახებ, რომლებსაც ორივე მხარე აძლევს ერთი მეორეს.

რას აძლევს ხელშეკრულება ორივე მხარეს

ანგორა, 13 მარტი. სავაჭრო ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერის დროს ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის შორის წარმომადგენლებმა სიტყვებით მიმართეს ერთი-მეორეს. ოსმალეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ალი-ჯენანიბეიმ განაცხადა: „ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირის ელჩმა სურიცმა, აღნიშნა რა, რომ ხელშეკრულება საბოლოოდ განამტკიცებს მეგობრობას საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის, გამოსთქვა რწმენა, რომ ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება მომავალში. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შემდეგ

ჩემბერლენის პოლიტიკა დამარცხდა

ლონდონი, 13 მარტი. ლიბერალურ „ვესტმინისტერ გაზეტ"-ის ჟენეველი კორესპონდენტის სიტყვით, ცნობა ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ინიციალებით ხელმოწერის შესახებ სრულიად მოულოდნელი იყო ერთა ლიგის საბჭოს წევრებისათვის.

„საერთო აზრით, სწერს გიოტე, მოსკოვმა მოიგო მეტი, ვინემ დაჰკარგა უკანასკნელ კვირაში, ვინაიდან ბესარაბია მას არ ეკუთვნის უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩემბერლენი კი თავის პოლიტიკაში რუსეთის მიმართ დამარცხდა.

რეაქციონურ „მორნინგ პოსტ"-ის აზრით, ხელშეკრულების ინიციალებით ხელის მოწერა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობის შერყევის უშუალო შედეგს. ის უმთავრესად გამოწვეულია ჩემბერლენის ნოტით.

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული „დეილი ტელეგრაფ" სწერს: „თუ ლატვია ჩათრეულ იქნა ასეთ ხელშეკრულებაში, შესუსტდება ლატვიის კავშირი ესტონეთთან. სწორედ ამაში მდგომარეობს მოსკოველ აგენტების მიზანი". (ადს).

ვინ არის ლატვიის ცუდი მრჩეველი

რიგა, 13 მარტი. ლატვიის სოც.-დემოკრატების ორგანო „სოციალ დემოკრატს", უკეთებს რა ანალიზს პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის ერთის მხრივ და ლატვიის, ერთა ლიგის და ესტონეთს შორის მეორეს მხრივ, წინანდებურად გადაჭრით მხარს უჭერს ლატვია—საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებას. „ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები—სწერს გაზეთი—ვერაკითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ისინი, ვინც გვაშინებს ჩვენ საბჭოთა კავშირით და ცდილობს ხელ-ფეხი შეგვიკრას ჩვენი ინგლისის დიპლომატიის საშუალებით, არიან ლატვიის მტად ცუდი მრჩევლები. (ადს).

პოლონეთის პოლიტიკის მარცხი

ვარშავა, 14 მარტი. ლიტვა - საბჭოთა კავშირს შორის დადებულ და ინიციალებით ხელმოწერილ ხელშეკრულებას „რეჩ პოსპოლიტა" უწოდებს „არალოიალობის და შანტაჟის" აქტს ლატვიის მხრივ. გაზეთი აცხადებს, რომ ხელშეკრულებაზე ინიციალებით ხელისმოწერა ამჟღავნებს ლატვიის არალოიალობას ერთა ლიგის მიმართ, რომლის წევრიც არის ლატვია და რომელსაც უფლება არ ჰქონდა ამ ხელშეკრულების დადების, ვინაიდან იგი ერთა ლიგის წესდებას ეწინააღმდეგება.

გარდა ამისა, ამ ხელშეკრულებაზე ინიციალებით ხელისმოწერა, გაზეთის მიხედვით, არალოიალობის გამომჟღავნებელი ფაქტია პოლონეთის მიმართაც. გაზეთი ამბობს, რომ პოლონეთმა უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის ამგვარსავე წინადადებაზე, ვინაიდან მას არ სურდა „ლატვიის გამართლებულათ დატოვება". გაზეთი ხელშეკრულებას სთვლის შანტაჟით იმიტომ, რომ თავის დროზე პოლონეთმა არ მოახდინა ლატვიასათვის ექვსი თემის შეერთების აქტის რატიფიკაცია, იმ დღიდან, რაც 1920 წელს ლატვიის ჯარებმა დაიპყრეს ეს ექვსი თემი.

„სანამ რატიფიკაცია მოხდებოდა — სწერს გაზეთი — ლატვიამ შანტაჟი გაუწია პოლონეთს ლატვია - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით".

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" იტყობინება, რომ ლატვია - საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულებაზე ინიციალებით ხელისმოწერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის მმართველ წრეებში, სადაც მას აფასებენ ისე როგორც პოლონეთის პოლიტიკის მარცხს ბალტიის განაპირა მხარეში. (ადს).

„თავისუფალი ხელების პოლიტიკა"

ბერლინი, 13 მარტი. ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა, 4 ნოემბერს ჟენევაში მოიწვიოს მთავრობების წარმომადგენელთა კონფერენცია იმ მიზნით, რომ შესდგეს საერთაშორისო კონფერენცია საგარეო ვაჭრობის შეზღუდვათა გაუქმების შესახებ. კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან აგრეთვე იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში. (ადს).

ერთა ლიგის სესია

გამარჯვებულნი და დამარცხებულნი

ბერლინი, 13 მარტი. ჟენევაში მდგომარეობა გართულდა იმასთან დაკავშირებით, რომ წინასწარი შეთანხმება გერმანიის საკითხის გარშემო ჯერჯერობით არ არის მიღწეული.

გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი შეთანხმების არავითარ სურვილს არ იჩენს. მემარჯვენე პრესა ხაზ გასმით აღნიშნავს პოლ-ბონკურის განცხადებას, რომ „გერმანია უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ ერთხელ ხმების უმრავლესობა იქნება მის წინააღმდეგ".

შტრეზემანის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ვერსალის ხელშეკრულების 431 მუხლის თანახმად გერმანია მოითხოვს დაკავებულ ოლქების განთავისუფლებას, გამოიწვია მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება. რაც, გაზეთ „დერ ტაგ"-ის სიტყვით, შეიძლება დამთავრდეს აშკარა კონფლიქტით გერმანიასა და საფრანგეთს შორის. (ადს).

გერმანიამ ვერც ერთ საკითხში ვერ გაატარა თავისი თვალსაზრისი

ბერლინი, 13 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ირჩეოდა ის საკითხები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გერმანიას შეეხებიან; საარის საკითხი, საკითხი სკოლების შესახებ ზემო - სილეზიის პოლონურ ნაწილში და, აგრეთვე, საკითხი გერმანიის საავიაციო სიების შესახებ. სხდომის წინ. ამ საკითხების წინასწარ. განხილვის დროს. გერმანიის დელეგაციამ ვერ მოახერხა თავის თვალსაზრისის გატარება ვერც ერთ საკითხში. როგორც ჩანს. ეს საკითხები გამოყენებულია გერმანიაზე ზეგავლენის მოსახდენად.

ზემო - სილეზიის სკოლების საკითხში გერმანია სცდილობს მიიღოს საბჭოს გადაწყვეტილება, ხოლო მოკავშირე სახელმწიფოები კი თანახმა არიან ამ საკითხის განხილვა მიანდონ ნეიტრალურ ექსპერტს. რაც უდრის გადაწყვეტილების გამოტანის გადადებას. დავა საავიაციო სიების გარშემო მდგომარეობს იმაში რომ პარიზში დადებული საფრანგეთ - გერმანიის საავიაციო შეთანხმების თანახმად. გერმანია ვალდებულია წარუდგინოს ლიგის საბჭოს თავის საჰაერო ძალების სია. გერმანიის მთავრობის ეს ვალდებულება ესმის ისე. რომ სიები წარდგენილ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური გამოკვლევის დროს. რომელსაც დანიშნავს ერთა ლიგა; ხოლო ლიგის სამხედრო კი მოითხოვს. რომ სიები წარმოდგენილ იქნას ყოველგვარ გამოკვლევისაგან დამოუკიდებლად.

უთანხმოებას საარის საკითხში იწვევს იმ ჯარების რაოდენობა, რომელიც უნდა დარჩეს საარის ოლქში რკინის გზების დასაცავად და, აგრეთვე, ის თუ ვისგან უნდა შესდგებოდეს ეს კონტინგენტი: საფრანგეთის თუ საერთაშორისო ჯარებისაგან. თუ კომპრომისი ვერ იქნება მიღწეული, მაშინ საკითხს, ყოველ ეჭვს გარეშე, ლიგის საბჭო გადასწყვეტს საფრანგეთის სასარგებლოდ. (ადს).

გერმანია დათმობაზე წავიდა

ბერლინი, 13 მარტი. 12 მარტს ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს დილის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი გერმანული სკოლების შესახებ ზემო სილეზიის პოლონურ ნაწილში. კოლუმბიის წარმომადგენლებმა გააკეთა მოხსენება რომელშიაც მოითხოვდა სამედიატორო კომისიის დაარსებას პოლონურ სილეზიის საკითხის განმხილველ ერთა ლიგის კომისიის თავმჯდომარის მეთაურობით. კომისიამ, რომელშიაც შევლენ შვეიცარიელი პედაგოგები, უნდა გადასწყვიტოს, თუ რამდენად შეიძლება გადაყვანილ იქნეს არსებულ სკოლებში უმცირესობათა ბავშვები, რომლებიც ლაპარაკობენ გერმანულად ან 2 ენაზე (გერმანულად და პოლონურად). შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა ამ წინადადებას ღებულობს, როგორც გამოსავალს დაბრკოლებიდან, მაგრამ მომავალში, თუ საჭირო გახდა ამ საკითხის ხელახლა განხილვა. გერმანია კვლავ მოითხოვს მისი იურიდიული მხარის მოწესრიგებას.

ზალესკის განცხადების შესახებ. რომ „პრუსიის მთავრობა შლეზვიგ-გოლშტინიაში მოიქცა სწორედ ისევე, როგორც პოლონეთი ზემო-სილეზიაში", მოხსენება მიღებულ იქნა ერთხმათ.

შემდეგ შალოიამ გააკეთა მოხსენება საარის საკითხის შესახებ. მომხსენებელს არ შემოუტანია არავითარი წინადადება. საარის საკითხის განმხილველი კომისიის თავმჯდომარემ სტეფენსონმა წამოაყენა კომპრომისული გადაწყვეტილება—საარის ოლქში არსებულ სარკინიგზო კომისიის დატოვება, რკინისგზის სამხედრო დაცვის ორგანიზაცია საერთაშორისო ძალებით. შტრეზემანმა განაცხადა. რომ შეთანხმება საარის ოლქის შესახებ არ იძლევა რკინისგზის სამხედრო დაცვის ორგანიზაციის [illegible] და აღნიშნა. რომ ეს საკითხი შედის ერთა ლიგის და არა მოკავშირე ან მატერიალურად დაინტერესებულ სახელმწიფოების კომპეტენციაში. შტრეზემანის სიტყვით გერმანიის დელეგაცია მზადაა წავიდეს დათმობაზე.

„გერმანიის დელეგაცია,—განაცხადა შტრეზემანმა,—რკინისგზის დაცვის ორგანიზაციას მისცემს თანხმობას იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულ იქნება საფრანგეთის ჯარების ევაკუაციის გარკვეული ვადა, სამხედრო მცველ რაზმის შემადგენლობა განისაზღვრება რამოდენიმე ასეული კაცით. რკ. გზის დამცველი რაზმი არ ჩაერევა მოსახლეობის საქმეში და დამცველ რაზმს არ ექნება საზღვარო ხასიათი.

საკითხის შემდგომი განხილვა გადადებულია მეორე სხდომისათვის. (ადს).

ერთა ლიგის სესიის უკანასკნელი სხდომა

ბერლინი. 14 მარტი. 12 მარტს ჟენევაში ერთა ლიგის საბჭ. დღის სხდომა. საარის ოლქის საკითხის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბრიანმა, შტრეზემანმა, ჩემბერლენმა და ვანდერველდემ.

ბრიანმა გაილაშქრა გერმანიის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ და განაცხადა, რომ „საარის ოლქის მმართველი—ერთა ლიგის კომისიის ავტორიტეტის დაცვის ინტერესებისათვის" მისი წინადადება უნდა იქნას მიღებული.

ჩემბერლენმა ფორმალურად „შემარიგებელი" პოზიცია დაიჭირა. მაგრამ არსებითად მხარი დაუჭირა კომისიის წინადადებას.

შტრეზემანმა ჩამოყალიბებული სახით წამოაყენა გერმანიის მოთხოვნილებანი; ამასთანავე მან უარი განაცხადა ყველაზე უფრო მთავარ მოთხოვნილებებზე, კერძოდ რკინის გზის დაცვის საერთაშორისო შემადგენლობაზე და მისი რიცხვის შემცირებაზე. შტრეზემანი მოითხოვდა მხოლოდ იმას, რომ საფრანგეთის ჯარების საარის ოლქიდან საბოლოო ევაკუაციის ვადა განსაზღვრული ყოფილიყო სამი თვით.

ერთა ლიგის საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„კომისიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ორგანიზაცია უნდა განხორციელდეს სამი თვის განმავლობაში; საარის ოლქში მყოფი ჯარები იმავე ვადისათვის უნდა იქნან გაყვანილი. საერთაშორისო დაცვის ჯარები ემორჩილებიან ოლქის მმართველ კომისიას. ამასთანავე ამ ჯარების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებშია დასაშვები. რაოდენობა—რვაასი კაცი წარმოადგენს მცველი ჯარების მაქსიმალურ ციფრს. თუ ოლქის მმართველი კომისია შესაძლებლად სცნობს ამ ჯარების რიცხვის შემცირებას, მას უფლება აქვს მიიღოს სათანადო ზომები ერთა ლიგის საბჭოს დაუკითხავად".

შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება, რომ გადაიდოს გერმანიის საავიაციო სიების საკითხის განხილვა.

შტრეზემანის საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთა ლიგის საბჭოს სესია დაიხურა.

დახურულ სხდომაზე სესიამ მიიღო დადგენილება საარის ოლქის მმართველი კომისიის მანდატის გაგრძელების და მისი შემადგენლობის შესახებ ერთი წლის ვადით.

ერთა ლიგის საბჭოს შემდეგი სესია დანიშნულია 13 ივნისისათვის. სესიის მოწვევის ადგილი ჯერ არ არის გამორკვეული. (ადს).
გერმანიის წინადადება უარყვეს.

ბესარაბიის საკითხი

ამხ. ვორონოვიჩის განცხადება

ბალტა, 14 მარტი. მოლდავიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ვორონოვიჩმა უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„ცნობამ იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის შესახებ დიდი აღშფოთება გამოიწვია მოლდავიის და ბესარაბიის მშრომელთა შორის. ბესარაბიის მუშებს და გლეხებს, რომელნიც გმინავენ მემამულეების ტერორის ქვეშ, არა ერთხელ გამოუცხადებიათ მთელი ქვეყნის წინაშე თავისი ულრმესი სიძულვილი რუმინელ მოძალადეების მიმართ, რომელთაც სრულ განადგურებამდე მიიყვანეს ბესარაბია. იტალიის მიერ რუმინეთის ძალმომრეობის რატიფიკაცია ხელს შეუწყობს ბესარაბიის მშრომელთა მჭიდროთ შეკავშირებას და ბრძოლას ბოიარების უღლისაგან განსანთავისუფლებლად".

უნგრეთი რუმინეთის წინააღმდეგ

ვენა, 13 მარტი. იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციამ უნგრეთის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია.

მემარჯვენე „მადიარშაგ" სწერს: **უნგრეთის საზოგადოებრივი აზრი უკმაყოფილოა იტალიის პოლიტიკის შეცვლით საბჭოთა კავშირის მიმართ. რუსეთი, რასაკვირველია, არასოდეს არ შეურიგდება ბესარაბიის ანექსიას.** ეხლა ერთა ლიგა იღებს თავის თავზე ვალდებულებას დაიცვას რუმინეთი საბჭოთა კავშირის თავდასხმისაგან. მაგრამ, ერთა ლიგის წევრი—უნგრეთი ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამს რუმინეთის დასაცავად". (ადს).

იაპონია თავს იკავებს

ტოკიო, 13 მარტი. იაპონიის სააგენტო შინბურენგო იუწყება: „წინააღმდეგ რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადებისა, რომ თითქოს ამ უახლოეს ხანში მოხდება ბესარაბიის ოქმის რატიფიკაცია იაპონიის მიერ, სააგენტომ ავტორიტეტული წყაროებიდან მიიღო ცნობები, რომ ამჟამად იაპონიას არ აქვს განზრახვა გადასდგას ამგვარი ნაბიჯი". (ადს).

ლონდონის გაზეთები უარჰყოფენ

ლონდონი, 13 მარტი. ლონდონის გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები ერთსულოვნად ხაზ-გასმით აღნიშნავენ, რომ შტრეზემანის სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელიც, როგორც ფიქრობენ, საბოლოოდ უარჰყოფს იმის მტკიცებას, რომ ინგლისი ამზადებს ანტი საბჭოთა ბლოკს".

მხოლოდ ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს მოწინავე წერილში იმ ერთსულოვნებას, რომლითაც საფრანგეთის, გერმანიის და საბჭოთა პრესა უხვევს გვერდს ჩემბერლენის უარყოფას და იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციას ინგლისის ზეგავლენას მიაწერს. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

ჩან-კაი-შის დეკლარაცია გომინდანის შესახებ.

ხანკოუ, 14 მარტი. ნაციონალური დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

„ხანკოუში გამოქვეყნდა ჩან-კაი-შის დეკლარაცია, რომელშიაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ცალკე პირები აუცილებლად უნდა დაემორჩილონ გომინდანის პროგრამას. ნაციონალური არმიის მთავარსარდალი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მხარი დაუჭირონ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა შესაძლებელი გახდეს პარტიულ საქმეების ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. შემდეგ ჩან-კაი-ში მოუწოდებს პარტიის წევრებს ყოველივე ძალღონე იხმარონ იმისათვის, რომ არმია პარტიის ხელმძღვანელობის და მართვა-გამგეობის ქვეშ დააყენონ და ამ ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციით მიაღწიონ იმას, რომ ჯარები ემორჩილებოდნენ პარტიას და არა ცალკე პირებს.

ჩან-კაი-ში აცხადებს. რომ ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მომავალ პლენუმიდან მოელის ძირითად საკითხების გადაჭრას, რათა ისეთი ინსტრუქციების გაცემის საშუალება ექნეს რომლებითაც იხელმძღვანელებენ თავის მოქმედების დროს ცალკე პირები და აგრეთვე მთელი კოლექტივი.

„უკვე ოც წელზე მეტია,—ნათქვამია დეკლარაციაში,—რაც მე ვემსახურები ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის ახ განსვენებული ხელმძღვანელის მოძღვრებას — სუნიატსენიზმის პრინციპებს. მე პარტიაზე მაღლა არაფერი არ წარმომიდგენია და არავითარ სხვა მიზანს არ ვისახავ, გარდა რევოლიუციისა. მე არავითარი პირადი ინტერესი არა მაქვს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამხანაგები გულწრფელად მიიღებენ პარტიის პროგრამას, შემჭიდროვდებიან, შეჰქმნიან ერთ მთლიან ერთეულს და მტკიცე ბაზას პარტიისათვის" (ადს).

ჩჟან-ცზუ-ჩანი კრიტიკულ მდგომარეობაშია

ნიუ-იორკი, 14 მარტი. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ცნობით ჩჟან-ცზუ-ჩანის ჯარებში თანდათან იკიდებს ფეხს დიდი სიმპატია ნაციონალურ ჯარებისადმი. ამის გამო ჩჟან-ცზუ-ჩანს განზრახვა აქვს დასტოვოს ცზიანსუს და ანხოის პროვინციები და დაბრუნდეს შანდუნში.

ჩრდილოეთ ჯარების სარდლობაც დღითი დღე უფრო და უფრო ჰკარგავს გავლენას თავის ჯარებზე. შანხაის თავდაცვის რწმუნებული ცუ-სუ-ჩენი, მიღებული შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, მოლაპარაკებას აწარმოებს ჩან-კაი-შისთან მასზე ქალაქის გადაცემის შესახებ.

შანხაიში მყოფმა უცხოეთის ჯარებმა მიიღეს ბრძანება დაუზოგველათ დასაჯონ აგიტაციისა და დემონსტრაციებისათვის. (ადს).

ინგლისის ახალი დესანტი შანხაიში.

შანხაი, 14 მარტი. 11 მარტს ინგლისის სამხედრო სატრანსპორტო გემმა გადმოსხა გვარდიის პოლკის ახალი რაზმი 840 კაცის შემადგენლობით (ადს).

ანხოის ფრონტზე.

შანხაი, 14 მარტი. ხმების მიხედვით, ჩენ-ჩჟოუსა და ვუსის შორის (შანხაის და ნანკინის რკინისგზის ხაზზე) მოხდა შეტაკება ეროვნულ ჯარებსა და შანდუნელებს შორის. ბრძოლის შედეგები გამოურკვეველია.

ანხოის პროვინციიდან იუწყებიან, რომ ეროვნული ჯარები განაგრძობენ წინსვლას მდინარე იან-ცზის მიმართულებით, ვუხუდან ჩრდილოეთით, ნანკინის მიმართულებით.

იუწყებიან, რომ მოხდა შეტაკება ტაიპინის მახლობლად, 80 კილომეტრზე ნანკინიდან. ტაიპინი პირველი მნიშვნელოვანი ქალაქია იან-ცზა-ცზიანზე, რომელიც მდებარეობს ვუხუს ქვემოთ, სადაც, როგორც ფიქრობენ, შანდუნელები გამართავენ ბრძოლას.

იუწყებიან, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანმა თავისი შტაბი გადაიტანა პენფუში, რომ უხელმძღვანელოს ოპერაციებს პროვინცია ანხოიში (ადს).

ბონკონგი—კანტონის მახლობლად მდებარე კუნძული ქ. ვიქტორიათი, ინგლისის იმპერიალიზმის ინტრიგების ბუდე

ინგლისელები შეტევაზე გადასვლას მოითხოვენ

ლონდონი, 13 მარტი. „დეილი ტელეგრაფ"-ის შანხაელი კორესპონდენტი ინგლისის მთავრობას ურჩევს უარი სთქვას ხანკოუს შეთანხმებაზე. „შეთანხმებაზე უარის თქმა,—სწერს გაზეთი,—სწორეთ იმ მომენტში, როცა ინგლისის ჯარები ჩამოდიან ჩინეთში, ლახვარს ჩასცემდა რუსეთს და დიდ გავლენას მოახდენდა მთელს აღმოსავლეთში. (ადს).

გაფიცვა შანხაიში.

შანხაი, 14 მარტი. მიუხედავად საზღვაო ქვეითი ჯარის გადმოსხმისა და ფაბრიკებში განაწილებისა, 11 მარტს მოხდა ახალი გაფიცვა იაპონიის ქაღალდის სართავ ფაბრიკაში. გაფიცულია 5000-ზე მეტი მუშა (ადს).

ხანკოუს კონცესიის გადაცემა ჩინელებისათვის

შანხაი, 13 მარტი. ხანკოუში გამოქვეყნებულია დებულება ინგლისის კონცესიის მართველობის შესახებ ხანკოუში. ადმინისტრატიული ხელისუფლება გადაეცემა საბჭოს, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა (დანიშნული იქნება გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ) და ექვსი წევრისაგან—სამი ჩინელი და სამი ინგლისელი. გაუქმებულია ყველა განსაკუთრებული დადგენილებანი ჩინელების შესახებ, რომლებიც გამოცემული იყო ინგლისელების მიერ. (ადს).

ნიღაბი ახდილია.

შანხაი, 14 მარტი. ინგლისის სამხედრო ძალების შანხაიში ჩასვლის გამო, შანხაის უცხოეთის პრესამ სავსებით შესცვალა ტონი. წერილების სახით რედაქციები აწარმოებენ კამპანიას ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა ომის სასარგებლოდ (ადს).

ლია-ხუ-შენის განთავისუფლება.

შანხაი, 14 მარტი. გაანთავისუფლეს ცნობილი ჩინელი ჟურნალისტი „ჩაინა კურიერ"-ის ყოფილი რედაქტორი ლია-ხუ-შენი, რომელიც დაპატიმრებული იყო უცხოეთის კვარტალის ტერიტორიაზე სუნ-ჩუან-ფანის აგენტების მიერ და რამოდენიმე კვირის განმავლობაში იჯდა ციხეში (ადს).

ჩჟან-ძო-ლინის პრემია.

პეკინი, 14 მარტი. „ჩენბაოს" ცნობით, ჩჟან-ძო-ლინი შეჰპირდა 1 მილ. დოლარს მუკდენის იმ არმიას, რომელიც პირველად გადალახავს ყვითელ მდინარეს ხუანგოუსთან (პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზეა, ყვითელი მდინარის მარჯვნივ). ამ ადგილას მუკდენის მთავარი ძალები სცდილობენ გადავიდნენ. თუ ეს მათ მოახერხეს, მაშინ მთავარი ძალები თავს მოიყრიან ჩენჩჟოუს ახლო, რომელიც ჯერ კიდევ ჩინ-იუნ-ბოს ჯარების ხელშია, თუმცა ჩჟან-ძოლინის ბრძანების თანახმად, ეს ქალაქი უნდა აეღოთ 10 მარტამდე (ადს).

საწარმოო თათბირების მუშაობის დეფექტები

თუ რა მიღწევები გვაქვს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობაში, ეს უკვე აღვნიშნეთ*). თუმცა თათბირების მუშაობა საგრძნობლათ გამოცოცხლდა და რიცხობრივათ გაიზარდა, მაგრამ თვისების მხრივ მათი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე. ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, რომელნიც ნამდვილ მასსიურ ეკონომიურ მუშაობას ხელს უშლიან და ხდიან მას უფრო ნაკლებ ნაყოფიერს.

თათბირების მუშაობის დეფექტები უმთავრესათ შეიძლება მივაწეროთ იმას, რომ ადგილებზე არ არიან გაცნობილი მასსიურ ეკონომიურ მუშაობის დარგში გამოცემულ დირექტივებს. დირექტივები კი ამ დარგში საკმაო არის, როგორც პარტიული ხაზით (ყრილობების და კონფერენციების დადგენილებებით), ისე პროფესიონალური და სამეურნეო ხაზითაც. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენი სამეურნეო მუშაკების უმეტესობამ სრულებით არ იციან უმაღლესი სამეურნეო ორგანოების ამ საკითხზე არსებული დირექტივები. მათ არც პროფესიონალური მუშაკები არიან საკმაოთ გაცნობილი. შედეგათ ამას ის მოსდევს, რომ ყველგან ამ მუშაობაში თავისებურება შექმნეს. თვითონ იგონებენ მუშაობის მეთოდებს, ვის როგორც მოესურვება, და თითქმის ყველგან ადგილი აქვს მასიურ ეკონომიური მუშაობის საგრძნობლათ დამახინჯებას.

აი, მაგალითად, თათბირების მოწყობის საკითხი. არსებული დირექტივები სრულიად არ საზღვრავს თათბირების მოწყობას წარმოება-დაწესებულებაში მომუშავე რიცხვის მიხედვით. თათბირები უნდა მოეწყონ ყველა სახელმწიფო და საკოოპერაციო წარმოება-დაწესებულებებში განურჩევლად იქ მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვისა. მიუხედავათ ამ ფრიად ნათელი დებულებისა, ადგილზე თვითონ მიუღიათ ნორმა, რომ თათბირი ეწყობა იქ, სადაც 50 მუშა-მოსამსახურეზე მეტი არის. საიდან გამოიგონეს ეს ნორმა გამოურკვეველი არის. ამ გამოგონილმა ნორმამ ძლიერ შეუშალა ხელი თათბირების ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებაში მოწყობას.

ზოგან რიცხობრივი ნორმის მაგივრათ სხვა ხასიათის ნორმებია არის შემოღებული (გამოგონილი!) ზოგს გონია, რომ საწარმოო და ეკონომიური თათბირი ყველა სახელმწიფო და საკოოპერაციო წარმოება-დაწესებულებაში არ შეიძლება იქნეს მოწყობილი. ფიქრობენ, რომ თათბირების მუშაობას ნიადაგი ყველგან არ ექნება და მათი გასარჩევი კითხვები ყველგან არ გამოინახება. ესეც თათბირების დანიშნულების დამახინჯება არის. არ მოიძებნება ისეთი წარმოება-დაწესებულება, რა ხასიათის მუშაობაც არ სწარმოებდეს იქ (საავადმყოფო, სკოლა, მაღაზია, თეატრი, სეზონური მუშაობა და სხვა), რომ არ გამოინახოს თათბირის გასარჩევათ აუარებელი საკითხები.

გაიგონებთ კიდევ ამგვარ მოტივებს: „ჩამორჩენილი მუშები არიან ამ წარმოებაში", ან „ხელფასს დროზე ვერ იღებენ", ან კიდევ „მცირე ხელფასი აქვთ და თათბირები მათთვის საინტერესო არ არის" და სხვ. ყველა ეს მოსაზრება პირდაპირ უვიცობაზე არის დამყარებული. პირიქით, იქ სადაც მუშები ჩამორჩენილი არიან თავის განვითარებით და წარმოებაც ვერ არის დაყენებული თავის რიგზე, რაც ხელფასის დაგვიანებას ხელს უწყობს და ხელფასის მომატების შესაძლებლობას არ იძლევა, საჭიროა საწარმოო თათბირების უფრო ენერგიული მუშაობა, ვიდრე სხვაგან.

საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობაში ერთ დიდ გადახრას აქვს ადგილი. ეს არის მასსიური ეკონომიური მუშაობის შეზღუდვა. ზოგან თათბირების მუშაობას აწარმოებს მხოლოდ განსაზღვრული და თავის შემადგენლობით მცირე ჯგუფი, მუშა-მოსამსახურეთა მასა კი ან სრულიათ არ არის ჩაბმული ამ საქმეში, ან კიდევ მას მინიჭებული აქვს მეორე ხარისხოვანი როლი. ძალიან ხშირი მოვლენა არის, რომ საკითხების დამუშავება და გარჩევა ხდება საწარმოო და ეკონომიურ კომისიებში, თათბირებზე კი ან სრულიათ არ აყენებენ ამ საკითხებს, ან აყენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ კომისიის მიერ გამოტანილი მზა-მზარეული დადგენილება დაამტკიცოს თათბირმა. ცხადია, საკითხების გარჩევის ასეთი წესი უსპობს თათბირის მონაწილეებს ინიციატივას და საკითხის გარჩევაში ცხოველ მონაწილეობის მიღების ხალისს. კომისიის მიერ მზა-მზარეული დადგენილების თათბირზე დასმის შემდეგ აღარავითარ კამათს აღარ აქვს ადგილი. ამით საწარმოო და ეკონომიურ თათბირს სრულიათ ეკარგება აღმზრდელობითი მნიშვნელობა. თათბირების მთავარი დანიშნულება კი გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ მუშაობამ წარმოებას სარგებლობა მოუტანოს, არამედ იმაშიაც, რომ საწარმოო საკითხების თათბირზე გარჩევამ აღმზრდელობითი როლი ითამაშოს. ამიტომ დაუშვებელია, რომ ფართო თათბირების მუშაობა შეცვლილი იქნეს კომისიების მუშაობით. მასიური ეკონომიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი თათბირები უნდა იყოს. საწარმოო და ეკონომიური კომისიები კი უნდა იქნენ დამხმარე ორგანოებათ და საინიციატივო ჯგუფებათ, რომელთაც ევალებათ თათბირების მუშაობის ხელის შეწყობა და კარგათ დაყენება და არა მათი შეცვლა. ამ გადახრას უნდა მიექცეს ყურადღება და თათბირების მუშაობა უნდა იქნეს დაყენებული ნამდვილ მასიურ მუშაობის საფუძველზე.

თათბირების მუშაობა ბევრგან შემთხვევითი ხასიათს ატარებს. სხდომები არ ხდება რეგულიარულათ. გასარჩევ საკითხების შერჩევაც სრულიათ შემთხვევითი არის. იხილავენ იმ საკითხებს, რაც შემთხვევით ხელში მოხვდებათ. არ არის დაცული თანდათანობა და თანამიმდევრობა—წვრილმანი საკითხებიდან უფრო რთულ საკითხებზე გადასვლა და სხვ. ხშირათ კონკრეტიული საწარმოო საკითხების დასმის მაგიერათ დასმული აქვს საერთო საანგარიშო მოხსენებები. არ არის მიღებული ზომები, რომ ცალკე საწარმოო საკითხებზე მოხსენებით მუშები გამოვიდნენ.

თათბირების დადგენილებებს ხშირათ ზერელე ხასიათი აქვს. გამოაქვთ დადგენილება იმის შესახებ, რა დეფექტი უნდა გამოსწორდეს და რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ თუ როგორ უნდა გამოსწორდეს და როგორ უნდა გაკეთდეს ამის დამუშავება არ ხდება. თათბირების დანიშნულება ის კი არ არის, რომ მათ მხოლოდ მიუთითონ ამა თუ იმ დეფექტზე, არამედ უნდა დაამუშავონ საკითხი, თუ კონკრეტიულათ რა ზომების ჩატარება არის საჭირო, რომ ეს დეფექტი გამოსწორებული იქნეს. მაგალითად, ერთი საწარმოო თათბირი გამოიტანს ამგვარი დადგენილებას: „გამარტივებულ იქნას საწყობიდან მასალების გამოწერის საქმე, რათა ადგილი არ ექნეს გაცდენას". საკითხი ძალიან კარგია, მაგრამ დადგენილება კი არაფრად არ ვარგა. თათბირს თვით უნდა დაემუშავებია გამარტივების საკითხი და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მარტო მითითებით. საკითხისადმი ასე ზერელე მიდგომას ხშირად აქვს ადგილი.

თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებასაც არ ექცევა სათანადო ყურადღება. ხშირათ გაიგონებთ პროფმუშაკებისაგან, რომ სამეურნეო ორგანოები თათბირების დადგენილებებს ცხოვრებაში არ ატარებენ, მაგრამ ძალიან ძვირათ ნახავთ, რომ რომელიმე პროფმუშაკს დაეყენებინოს საკითხი სათანადო ორგანოებში, რომ ამა და ამ სამეურნეო ორგანომ თათბირის ეს და ეს მიზანშეწონილი დადგენილება ცხოვრებაში არ გაატარა. მართალია, რომ სამეურნეო ორგანოები ხშირათ არ ატარებენ თათბირების დადგენილებებს, მაგრამ ამას კავშირებმა უნდა ებრძოლონ არა საერთო ლაპარაკით, არამედ კონკრეტიულათ თვითეულ საკითხის გატარებისათვის მიიღონ ზომები სათანადო ორგანოების საშუალებით.

თათბირების მუშაობაში სამეურნეო მუშაკების მონაწილეობას უმეტეს ნაწილათ არ აქვს ადგილი, ზოგან მხოლოდ ფორმალურათ თათბირზე ეგზავნება ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი (მაშინ, როცა არსებული დირექტივებით ყველა უნდა დაესწროს), ზოგან მონაწილეობა აქტიური არის, მაგრამ ეს აქტივობა გამოიხატება მასში, რომ სამეურნეო მუშაკმა დაამტკიცოს მუშების მიერ ყველა წამოყენებულ წინადადებების უსაფუძვლობა და უვარგისობა. თათბირებზე კამათში ამხანაგური მოქცევის მაგივრათ, სამეურნეო მუშაკის გამოსვლას ადმინისტრატიული შეყვირების ხასიათი აქვს. ეს უკარგავს მუშებს კამათში მონაწილეობის ხალისს.

აღსანიშნავია აგრეთვე მუშების მიერ შემოტანილ სასარგებლო წინადადებების მატერიალური წაქეზების ძლიერ სუსტი გატარება. საკავშირო უმაღლესი სამეურნეო საბჭოს დირექტივებით, ყველა ის საქმიანი წინადადება და არა მარტო გამოგონებები, რომელიც შედეგათ იძლევა ეკონომიას ან ამარტივებს მუშაობის პროცესს, უთუოდ უნდა იქნეს დაჯილდოვებული. ჩვენში ეს დირექტივა შეზღუდულათ გაიგეს და სწარმოებს მხოლოდ გამოგონებათა დაჯილდოვება. საქმიანი წინადადებები კი არ ჯილდოვდება.

თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი საშუალოთ საქართველოში უდრის 20 პროცენტს. ზოგიერთ წარმოებებში კი დამსწრეთა რიცხვი უფრო ნაკლებია. მაგალითად, თამბაქოს ქარხნებში დამსწრეთა რიცხვი შეადგენს მთელი მუშების მხოლოდ 7-8 პროცენტს. დამსწრეთა ეს პროცენტი, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ თათბირების მუშაობაში უფრო მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა. ეს უნდა მოხდეს არა იძულებითი წესით, არამედ თათბირების მუშაობის ისე დაყენებით, რომ მუშა-მოსამსახურეებმა სიამოვნებით მიიღონ მონაწილეობა. მუშაობის ასეთი დაყენება კი ადვილია, თუ მონდომება იქნა.

დიდი მნიშვნელობის ამოცანები სდგას საწარმოო და ეკონომიურ თათბირების წინაშე. მათი მუშაობა ფრიად საყურადღებო არის. კავშირის და სამეურნეო ორგანოს თვითეულმა მუშაკმა უნდა მიიღოს ზომები ამ მუშაობის სათანადოთ დაყენებისათვის. მასიური ეკონომიური მუშაობა ეს არის მუშების სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მიღება. ეს მშენებლობა კი მუშების ზურგზე უკან ვერ ჩატარდება.

ს. ზ.

საბჭოთა პრესა

საკრედიტო დისციპლინა უნდა განვამტკიცოთ

სას.-სამ. კრედიტის ერთ-ერთი უდიდესი სენი, რომელიც თვით მის არსებობას ემუქრება, სესხის დროზე დაუბრუნებლობაა. ეს ერთნაირად ეხება როგორც ცალკე გლეხებს, რომელთაც სესხი, აქვთ აღებული, ისე საკრედიტო ამხანაგობებს. რით აიხსნება ვადის გადაცდენა სესხის შეტანის საქმეში და როგორ უნდა შევებრძოლოთ მას? ამხ. ფ. სერებრიაკოვი „კოოპერატივნაია ჟიზნ"-ში, ამაზე სხვათა შორის, შემდეგნაირად უპასუხებს:

„უახლოესი დამნაშავენი ვადის გადაცილებაში არიან ძირითადი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობანი. მათი დანაშაული პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ როგორც სესხი ამღების პიროვნებას, ისე მის მეურნეობის ეკონომიურ სტრუქტურას და ეკონომიურ შესაძლებლობას, და უხვად აძლევენ სახელმწიფო საშუალებებს იმას, ვისაც არ უნდა მიეცეს. მეორე მხრივ, არ წარმოებს არავითარი კონტროლი სესხის სამეურნეო გამოყენებაზე და მისი სამეურნეო ეფექტის აღნუსხვა. ასეთ შემთხვევაში კოოპერატივი იქცევა სახელმწიფო საშუალებათა უბრალო გამნაწილებლად".

ავტორი ასახელებს მრავალ სხვა მიზეზს, რომლებიც იწვევენ სესხის დროზე დაუბრუნებლობას, როგორც: მფლანგველობა და ბოროტმოქმედებანი სას. ამხ-ებში, უკანასკნელთა მიერ საშუალებათა დაბანდება სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობაში, რომელიც ხშირად ზარალით თავდება, სესხის ვადის შეუფარდებლობა გლეხის მეურნეობის საწარმოო პროცესებთან, საანაბარო ოპერაციების განუვითარებლობა და სხ. —და ასკვნის:

„კოოპერატივების გამგეობებმა ცხოვრებაში უნდა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი ვადის გადაცდენასთან ბრძოლისათვის: 1) გაცნობა როგორც სესხის ამღების პიროვნებასთან, ისე მის მეურნეობასთან; 2) კონტროლი სესხის გამოყენებაზე მხოლოდ სამეურნეო საჭიროებებისათვის; 3) გაცემულ სესხის სამეურნეო ეფექტის აღრიცხვა; 4) საკუთარ ხარჯზე სავაჭრო ოპერაციების გადაჭრით შეწყვეტა, თუ ამისათვის სპეციალური კაპიტალები არ მოიპოვება; 5) კრედიტის ვადის შეფარდება გლეხურ მეურნეობის სეზონურ ვადებთან; 6) უმარტივეს საბანკო ოპერაციების გაფართოვება; 7) საშუამავლო ოპერაციების სწორი დაყენება; 8) უკიდურესი მომჭირნეობის დაცვა ხარჯებში; 9) ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანიზაციების და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მხრით ხელის შეწყობა გაუსწორებელ მოვალეთაგან სესხის დროზე აღებაში და 10) საანაბარო ოპერაციების განვითარება შესაძლებელ ფარგლებამდე".

ვიმეორებთ, სესხის გასტუმრების ვადის გადაცილებას და მის სრულიად დაუბრუნებლობასაც კი მასიური ხასიათი აქვს მიღებული საკრედიტო კოოპერაციაში. ეს მოვლენა მეტად აფერხებს როგორც საკრედიტო კოოპერაციის, ისე სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეს, რისთვისაც კრედიტი მოწოდებულია. მტკიცე საკრედიტო დისციპლინის შექმნა—ასეთია ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა. ზევით ჩამოთვლილი ზომები ამას ხელს შეუწყობენ.

დიპლომატიური გრიპი

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ ინგლისი და გერმანია საფრანგეთის ზურგს უკან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებენ. ბრიანი ამის გამო არ დაესწრო შტრეზემანის მიერ გამართულ სადილს, ოფიციალურად ბრიანი ამას ხსნის გრიპით ავად გახდომით.

დეპეშებიდან.



გემ „ლენინის ხსოვნა"-ს დაბრუნების გარშემო

საბჭოთა კავშირის რწმუნებულის ნოტა

პეკინი, 14 მარტი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა პეკინში ამხ. ჩერნისმა გადასცა პეკინის მთავრობას საპროტესტო ნოტა საბჭოთა კომერციული გემის—„ლენინის ხსოვნა"-ს დაკავების, გემზე მყოფ დიპლომატიურ კურიერების, მგზავრების და გემის მცველების დაპატიმრების გამო.

საბჭოთა კავშირის საელჩო სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩინეთის მთავრობას დიპლომატიურ კურიერების და სხვა დაკავებულ პირთა სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის საქმეში.

პეკინის მთავრობისთვის გადაცემულ ნოტაში საელჩო აცხადებს, რომ მისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საშუალება პირადი დამოკიდებულება იქონიონ გემ „ლენინის ხსოვნაზე" დაკავებულ პირებთან. (ადს).

პეკინის გარეშე საქმეთა სამინისტროს პასუხი

პეკინი, 14 მარტი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულს გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხამინისტრომ დეპეშით გადასცა ნანკინში და ცინან-ფუში ბრძანება მოახდინონ გამოძიება. პასუხად მიღებულია შენდუნის პროვინციის სპეციალურ დიპლომატიურ კომისრის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბოროდინის მეუღლე და სამი კურიერი ჩავიდნენ ცინანში, რომ მათ გზაში კარგად ეპყრობოდნენ და არავითარი საფრთხე არ მოელით (ადს).

დაპატიმრებულებს საფრთხე არ მოელით

პეკინი, 14 მარტი. სააგენტო „ნიპონ დემპო"-მ მიიღო ცინან-ფუდან დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ გემ „ლენინის ხსოვნა"-ს დაპატიმრებულებს ბოროდინის მეუღლეს და დიპლომატიურ კურიერებს კარგად ეპყრობიან და მათ არავითარი საფრთხე არ მოელით. (ადს).

დაპატიმრებულების სანახავად

პეკინი, 14 მარტი. საბჭოთა საელჩოს საკონსულო ნაწილის გამგე სპილვანეკი გაემგზავრა ცინან-ფუში დაპატიმრებულების სანახავად. 13 მარტს მიღებულია დეპეშა, რომ ის უვნებლად ჩავიდა (ადს).

რა ხდება პოლონეთში

უმუშევართა დაპატიმრება

ვარშავა, 13 მარტი. 10 მარტს პრუშკოვში (ვარშავის მახლობლად) გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. უმუშევრები, მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, შეიჭრნენ ქალაქის თვითმართველობის შენობაში. დემონსტრანტებმა თვითმმართველობის შენობა გაანთავისუფლეს მხოლოდ იმის შემდეგ როცა ქალაქის თავისაგან მიიღეს დაპირება მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესახებ.

ამის შემდეგ ვარშავიდან ჩამოსულმა პოლიციამ დააპატიმრა 9 უმუშევარი. (ადს).

შრომის სამინისტრო არბიტრაჟს მოითხოვს

ვარშავა, 13 მარტი. შესდგა ლოძის ფაბრიკანტების თათბირი ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის კვიატკოვსკის თანადასწრებით. ლოძში მიემგზავრება შრომის სამინისტროს მთავარი ინსპექტორი, რომელიც გაფიცულ ფეიქრებსა და მწარმოებლებს მისცემს წინადადებას, რომ კონფლიქტი არბიტრაჟის გზით გადასწყდეს.

მიღებულია ცნობები, რომ ჟირარდის მანუფაქტურა არ მიემხრო გაფიცვებს იმის გამო, რომ წარსული წლის ხანგრძლივმა ლოკაუტმა დაასუსტა მუშები. (ადს)

მასარიკი ჟენევაში

ბერლინი, 13 მარტი. ჟენევაში ჩავიდა ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მასარიკი. (ადს).

ბანდიტიზმი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 14 მარტი. პიტსბურგში ბანდიტებმა ააფეთქეს ჯავშნიანი ავტომობილი, რომლითაც მიჰქონდათ ფული მემაღაროეთათვის ჯამაგირის დასარიგებლად. ბანდიტებმა გაიტაცეს 100.000 დოლარი. (ადს).

ხიკსის გულახდილობა

ხიკსი იცავს მენშევიკებს

ლონდონი, 13 მარტი. თემთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც კრძალავს „ამბოხების და ღვთის შეურაცხმყოფელ მოძღვრებათა" სწავლებას ბავშვებისათვის.

კანონ-პროექტის ირგვლივ გამართულ კამათში გამოსულმა ჯოინსონ ხიქსმა განაცხადა, რომ კანონ-პროექტი არ არის მიმართული საკვირაო სოციალისტური სკოლების წინააღმდეგ, რომელნიც კეთილ საქმეს აკეთებენ, არამედ კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ ბავშვებს შორის.

მუშათა პარტიის წევრმა დევისმა მოითხოვა კანონ-პროექტის უარყოფა და განაცხადა, რომ პალატას სწორი შეხედულება არა აქვს კომუნიზმზე. ერთად-ერთი განსხვავება სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის მდგომარეობს მეთოდებში: სოციალისტები მშვიდობიანი რევოლუციის მომხრენი არიან, კომუნისტების მიხედვით კი სოციალიზმი უნდა დამყარდეს ძალის საშუალებით დევისმა განაცხადა, რომ კანონ-პროექტი წარმოადგენს კონსერვატიულ პროპაგანდის იარაღს მრავალ არჩევნებში. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. კობეცკის გამგზავრება

მოსკოვი, 14 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დანიაში ამხ. კობეცკი გაემგზავრა კოპენჰაგენში (ადს).

გზათა სახ. კომისრის მოადგილე

მოსკოვი, 14 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. ხულიმოვი დანიშნოს გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ და ამ თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნეს ამხ. პოხტნიკოვი (ადს).

ერთადერთი შედეგი

ბერლინი, 14 მარტი. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჟენევის საიდუმლო მოლაპარაკების ერთადერთი ხელშესახები შედეგი არის პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების განახლების პერსპექტივა. გერმანიის პოლიტიკურ წრეების აზრით, ინგლისი ამ მოლაპარაკებასაც გამოიყენებს, როგორც ბაზას იმისათვის, რომ მომავალში კვლავ შეეცადოს საბჭოთა კავშირის გარემოცვის მიღწევას. (ადს).

გამოძახილი გერმანიაში

ბერლინი, 14 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს სესიის შედეგებს გერმანიის საზოგადოებრივ წრეებში არ შეხვდნენ კმაყოფილებით. ერთა ლიგისადმი მეგობრულად განწყობილი პრესაც კი ხაზს უსვამს, რომ ამ სესიამ გერმანია ვერ დააკმაყოფილა. მთავრობის პრესა სესიის შედეგებს აფასებს, როგორც კომპრომისს. „დეიჩე-ტაგესცეიტუნგ" (ნაციონალისტების უკიდურესი მემარცხენე ფრთის ორგანო) მოითხოვს შტრეზემანის გადადგომას და გერმანიის გამოსვლას ერთა ლიგიდან. (ადს).

განიარაღების გარშემო

ტოკიო, 14 მარტი. იაპონიის მთავრობამ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა სამი სახელმწიფოს (შეერთებული შტატები ინგლისი და იაპონია) კონფერენციაში, რომელიც უნდა მოხდეს საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის საკითხის შესახებ. (ადს).

ტოსკანელი კომუნისტების პროცესი

რომი, 14 მარტი. საგანგებო ტრიბუნალმა, რომელიც სახელმწიფო დაცვის კანონის მიხედვით არის დაარსებული, დაამთავრა რამოდენიმე ტოსკანელი კომუნისტის საქმის გარჩევა. ყველა ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ კლასიური მძულვარების გაღვივებაში და მთავრობის ჩამოგდებისაკენ მისწრაფებაში. ტრიბუნალმა ბრალდებულებს მოუსაჯა დაპატიმრება სხვადასხვა ვადით: 1 წ. 10 თვიდან 14 წლამდე. (ადს).

დონეცის აუზის მოწყობა

ნიუ-იორკი, 14 მარტი. ცნობილი ინჟინერი ჩარლზ სტიუარტი და სამი სხვა ამერიკელი ინჟინერი გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირში, მათ [illegible] მონაწილეობა მიიღონ იმ მუშაობაში, რომელიც სწარმოებს დონეცის აუზის სანახშირო წარმოებათა ახალ ტექნიკურ ნიადაგზე მოწყობისათვის. (ადს).

ფრანგ მრეწველების შემოტევა

პარიზი, 14 მარტი. საფრანგეთის ქვა-ნახშირის მრეწველები იწყებენ კამპანიას სამუშაო ხელფასის შესამცირებლად. საარის ოლქის და ტარნის დეპარტამენტის მემაღაროეთა კავშირმა დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა (ადს).

ბრიანის დაბრუნება

პარიზი, 14 მარტი. ბრიანი დაბრუნდა ჟენევიდან. (ადს).

მოლაპარაკება სპარსეთ-საბჭოთა კავშირს შორის

თეირანი, 14 მარტი. 20 მარტს მოსკოვში მიემგზავრება მაშავეროლ მამალეკი, რომელსაც სპარსეთის მთავრობა აგზავნის საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად სპარსეთ-საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ (ადს).

სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკა ხარბინში

ხარბინი, 14 მარტი. 11 მარტს პოლიციის რაზმმა ალყა შემოარტყა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობას ხარბინში. წარმომადგენლობის შენობაში მოხდა ჩხრეკა. წარმომადგენლობის რწმუნებულს განუცხადეს, რომ მათ მიღებული აქვთ ცნობა თითქოს სავაჭრო წარმომადგენლობაში ინახება კომუნისტური ლიტერატურა და იარაღი. ჩხრეკამ ვერაფერი აღმოაჩინა, რის შესახებაც შედგენილ იქნა შესაფერი ოქმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩხრეკა უშედეგოთ მოხდა (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 14 მარტი. ომის საფრთხის გაძლიერების გამო საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება; კომპარტიის ცეკა მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ იმათ წინააღმდეგ ვინც ხელს უწყობს ბურჟუაზიის შეიარაღებას, არ დაუჯერონ ყალბ განცხადებებს, თითქოს ომის თავიდან აცდენა შეეძლოს ერთა ლიგას; მუშები დამოუკიდებლად უნდა გამოვიდნენ ომის წინააღმდეგ ჩინეთის რევოლუციის და საბჭოთა კავშირის დასაცავად. „ჭეშმარიტ მშვიდობიანობას, ნათქვამია მოწოდებაში, დაამყარებს მხოლოდ მუშურ - გლეხურ მთავრობების დიქტატურა ევროპის ქვეყნებში, რომელნიც გაერთიანებული იქნებიან სოციალისტურ შეერთებულ შტატებში. (ადს).

ფაშისტები ჩინეთში მიდიან

რომი, 13 მარტი. გაზეთების ცნობით კარანტოდან, ჩინეთში გაემგზავრა სამხედრო გემი „ვოლტა" სან-მარკოს პოლკის ნაწილებით რომლის ერთი ბატალიონი უკვე იმყოფება ტიან-ცზინში განზრახულია ახალი სამხედრო ტრანსპორტების გაგზავნა შანხაიში. (ადს).

მღელვარებანი ვუხაში

ლონდონი, 14 მარტი. ლონდონის გაზეთების შანხაელი კორესპონდენტები დაწვრილებით ეხებიან ვუხაში მომხდარ ანტიინგლისურ მღელვარებას.

ბრბომ დაანგრია ჩინეთის საბაჟო და შენობაში ჩაკეტა რამდენიმე ევროპიელი. ევროპიელების ცოლ-შვილი გადახსნეს ინგლისის გემზე. ანხოის პროვინციის სამხედრო გუბერნატორმა გენ. ჩენ-ტია-სუანმა გაგზავნა მღელვარების ადგილას ჯარისკაცთა მცირე რაზმი, რომელმაც ვერ შესძლო წესიერების აღდგენა. გენ. ჩენ-ტია-სუანი შეუერთდა ნაციონალურ არმიას.

ნანკინიდან ვუხაში გაიგზავნა ინგლისის კრეისერი „ემროლდი" ინგლისელი მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების დასაცავად.

ლონდონში უკანასკნელათ მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ შესძლეს ვუხაში წესიერების აღდგენა; იქ ჩავიდა სამხრეთის ჯარების გენერალი ჩენ-ჩი-ენი (ადს).

სუნ-იატ-სენის გარდაცვალების ორი წლის თავი

ლონდონში

ლონდონი, 14 მარტი. 12 მარტს ლონდონში, სუნ-იატ-სენის გარდაცვალების 2 წლის შესრულების გამო, გაიმართა ჩინეთის რევოლუციის ბელადის აღსანიშნავი საღამო, რომელიც მოაწყო გომინდანის ინგლისურმა კომიტეტმა. საღამოს დაესწრო ბევრი ჩინელი, მათ რიცხვში ჩინეთის ელჩი ვაშინგტონში, იაპონიის საელჩოს წარმომადგენელი (არაოფიციალურათ), ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი და მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის მოღვაწენი.

მუშა-ქალთა დღე ჩინეთში

შანხაი, 13 მარტი. ეროვნული მთავრობის მთელ ტერიტორიაზე მუშა-ქალთა დღე დასვენების დღედ იყო გამოცხადებული. [illegible] მრავალმა ათასმა ფაბრიკის მუშა-ქალებმა მიიღეს მონაწილეობა 8 მარტს მოწყობილ დემონსტრაციაში. პროცესიას მისდევდნენ სტუდენტ ქალთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დელეგატ ქალთა ორგანიზაციები. პროცესიაში ფრიალებდენ დროშები ლოზუნგებით: „თავისუფლება—ქალებს"; „გაუმარჯოს ქალთა თანასწორ-უფლებიანობას". ბევრი პლაკატი შეიცავდა მოწოდებას ეროვნული მოძრაობის და გომინდანის მხარის დაჭერისაკენ. მასიურ მიტინგზე მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ათასმა ქალმა, მუშამ, სტუდენტმა და მოსახლეობის ყველა ფენების წარმომადგენლებმა. მიტინგზე გამოსული ორატორი—ქალები ხაზ-გასმით აღნიშნავდენ, რომ ეროვნული რევოლუცია და ქალთა მოძრაობა ახალ ხანას ქმნის ჩინელი ქალის ცხოვრებაში. ორატორების სიტყვებს აღფრთოვანებით ხვდებოდენ მიტინგზე დამსწრენი. (ადს).

ხაშხაშით ვაჭრობის წინააღმდეგ

კაპიტალისტებმა შემოსავლის ახალი წყარო იპოვეს

ბერლინი, 13 მარტი. ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა ხაშხაშით ვაჭრობასთან მებრძოლი კომისიის მოხსენება. ჩინეთის წარმომადგენელმა ჩომ განაცხადა პროტესტი იმ შეურაცხყოფის წინააღმდეგ, რომელიც მიაყენეს პეკინის მთავრობის ავტორიტეტს იმით, რომ ინფორმაცია ამ საკითხებზე ლიგას მიაწოდა ხაშხაშის წინააღმდეგ მებრძოლმა საერთაშორისო საზოგადოებამ. ჩომ წინადადება შეიტანა, რომ ლიგამ შემდეგში ასეთი ინფორმაციისათვის მიმართოს პეკინის მთავრობას. საბჭომ ჩოის განცხადება ოქმში შეიტანა.

შემდეგ მოსმენილ იქნა სპარსეთის მთავრობის ფინანსიური მრჩეველის მაკ-კორმიკის მოხსენება სპარსეთში ხაშხაშის კულტურის შეცვლის შესახებ სასოფლო - მეურნეობის სხვა სახის კულტურით. მაკ-კორმიკმა განაცხადა, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა უცხოეთის კაპიტალი. შემდეგი განხილვის მიზნით, საკითხი გადაეცა კომისიას. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საფრანგეთთან მოლაპარაკების მწარმოებელი დელეგაცია

მოსკოვი, 14 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საფრანგეთთან მოლაპარაკების მწარმოებელ საბჭოთა დელეგაციის შემდეგი შემადგენლობა:

დელეგაციის თავმჯდომარე: რაკოვსკი, დელეგაციის წევრები: ჩლენოვი (იგივე დელეგაციის გენერალური მდივანი), პრეობრაჟენსკი, ჯვანიძე (ფინსახკომი) და გურევიჩი (ს. მ. უ. ს.).

ამხ. კარახანის დეპეშა ტევფიკ-რუშდი ბეის

მოსკოვი, 14 მარტი. საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო, ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ტევფიკ-რუშდი ბეის გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც გამოთქვამს, რომ ამიერიდან ეკონომიური ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის წარმატებით განვითარდება. (ადს).

სრულიად რუსეთის და საკავშირო ყრილობების მომწვევი კომისია

მოსკოვი, 14 მარტი. საკავშირო ცაკის და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სამდივნოსთან შეთანხმებით გამოყოფილია სრულიად რუსეთის მე-13-ე და მე-4-ე საკავშირო საბჭოთა ყრილობების მომწვევი საერთო საორგანიზაციო კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ენუქიძე, მოადგილედ ამხ. პოლუიანი (ადს).

განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 14 მარტი. გაიხსნა განათლების მუშაკთა მეექვსე საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ჩამოვიდა 465 დელეგატი (ადს).

რკ. გზის ტრანსპორტის მუშაკთა სრ. საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 14 მარტი. გაიხსნა რკინის გზის ტრანსპორტის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. რუძუტაკის მოხსენება ტრანსპორტის ძირითად ამოცანების შესახებ.

შემდეგ, ტრანსპორტის მმართველობის წესის რაციონალიზაციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. რუდი. ორატორმა აღნიშნა, რომ გზათა სახალხო კომისარიატი შეუდგება ტრანსპორტის მმართველობის რეორგანიზაციას და შემოიღებს ისეთ წესს, როგორიც ეს გერმანიაშია. ამ ახალი სისტემით თავიდან აცილებულ იქნება პარალელიზმი და მმართველობის მექანიზმს უფრო ელასტიური და სწრაფი გახდება.

ზოგიერთ გზებზე უკვე შემოღებულია ასეთი ახალი წესი და შედეგებიც დადებითია .(ადს).

თებერვლის რევოლუციის ათი წლის თავი მოსკოვში

მოსკოვი, 14 მარტი. თებერვლის რევოლუციის ათი წლის თავი მოსკოვში უდიდეს სახალხო მანიფესტაციად გადაიქცა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა მშრომელმა. მეიერხოლდის თეატრთან, მეფის ყოფილ პოლიტკატორღელთა შეკრების ადგილას ქალაქის სხვადასხვა ადგილებიდან თავი მოიყარა აურაცხელმა ხალხმა. შუადღის 12 საათზე მთელ მოედანი და მისი მახლობელი ქუჩები ავსილი იყო ხალხით. თეატრის აივნიდან მისალმებანი და სიტყვები დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ წარმოთქვეს პოლიტკატორღელთა საზოგადოების წარმომადგენლებმა—რევოლუციის ვეტერანებმა ამხ. ფროლენკომ, ბრაგინსკიმ, იაროსლავსკიმ და სხ. მათ სიტყვებს ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა. 5 საათზე მოხდა საინტერესო ინსცენირიოვკა: ჯგუფი 60 კაცის შემადგენლობით ბორკილებ-გაყრილი, პატიმრების რუხ ტანსაცმელში, ოქროს პაგონებიანი ოფიცრებისა და ციხის ზედამხედველთა თანხლებით მიემართებოდა მოსკოვს საბჭოსაკენ.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც შესდგა მეფის ციხეებიდან, კატორღებიდან და გადასახლებებიდან რევოლუციონერთა განთავისუფლების 10 წლის შესრულების გამო, მეიერხოლდის თეატრში შეიკრიბნენ რევოლუციონერთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელნი—დაწყებული სახალხო თავისუფლების პარტიის წევრთაგან. სცენაზე მაგიდასთან ისხდნენ პოლიტკატორღელთა საზოგადოების მამასახლისები ამხ. იაროსლავსკი, ფროლენკო, შევალინი, ბრაგინსკი, იაკიმოვა-დიკოვსკაია, კორობჩინი, ვილენსკი და სხ.

სხდომა გაიხსნა ამხ. იაროსლავსკის სიტყვით შემდეგ წაკითხულ იქნა მისალმებანი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

კრებამ მიიღო მიმართვა კაპიტალის პოლიტკატორღელთადმი და მისალმება ჩინეთის რევოლუციონერთადმი ჩინეთის რევოლუციის ბელადის სუნ-იატ-სენის გარდაცვალების ორი წლის გამო. (ადს).

უკრაინის სამეცნიერო აკადემიის წლიური სხდომა

კიევი, 14 მარტი. სამეცნიერო აკადემიაში შესდგა წლიური სხდომა. სამეცნიერო მუშაკთა კრებას დაესწრნენ უკრაინის მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელნი, და ფრანგი სტუდენტები—პროფესორი მაზონი და მარტელი. სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ლიპსკიმ აღნიშნა ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აქცევს აკადემიას. შევჩკომ აღნიშნა შევჩენკოს გარდაცვალების 65 წლის თავი და სთქვა:

„ის, რასაც ჩვენ დიდი ხანი ველოდით, განხორციელდა: სამეცნიერო აკადემიამ გამოსცა შევჩენკოს თხზულებათა სრული აკადემიური კრებული".

მოხსენება აკადემიის წარსული წლის მუშაობის შესახებ გააკეთა აკადემიის მუდმივმა მდივანმა აკადემიკოსმა კრიმსკიმ. (ადს).

ალექსანდრე 3-ე ზე თავდასხმის მონაწილეთა მოგონებანი

მოსკოვი, 14 მარტი. 14 მარტს რევოლუციის მუზეუმში შესდგა საზეიმო სხდომა ორი დღესასწაულის აღსანიშნავად: 1887 წლის 1 მარტის 40 წლის თავის თავდასხმა ალექსანდრე მესამეზე და თებერვლის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად. კრებაზე დამსწრეთა შორის იყვნენ ალექსანდრე მე-3-ზე თავდასხმის ცოცხალი მოწამენი: გოვორუხინი, შმელევა, ანანინა, შლისელბურგელი შებანინი, 1881 წლის 1 მარტის საქმის მონაწილე იაკიმოვა.

1887 წლის 1 მარტის თავდასხმის მონაწილეთა გამოსვლამ კრებაზე მხურვალე და ხანგძლივი ტაში გამოიწვია. ამხ. გოვარუხინმა კრებას გაუზიარა თავისი მოგონებანი 1887 წ. 1 მარტის თავდასხმის შესახებ, ამხ. რასკოლნიკოვმა—მოგონებანი თებერვლის რევოლუციის შესახებ. ამხ. ვილენსკი—სიბირიაკოვმა ილაპარაკა კატორღელების განთავისუფლების შესახებ 1917 წელში.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მოხდა მუზეუმის ახალ განყოფილებათა გახსნა. (ადს).



„დნეპროსტროი" (ჰიდრო - ელექტრო სადგური და ჯებირი მდ. დნეპრზე)

მოსკოვი აღმოსავლეთ საქართველოს ნავთის შესახებ

მოსკოვი, 14 მარტი. 11 მარტს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მიმართა შრომის და თავდაცვის საბჭოს მოხსენებით ნავთიანი ადგილების გამოკვლევის ორგანიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირში. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გამოკვლევების მოსახდენად იმ რაიონებში, რომლებიც არ ეკუთვნის ნავთის ტრესტებს, საჭიროა მოეწყოს სპეციალური წარმოება სახელმწიფო კონტროლის სახით, რომელიც დაექვემდებარება საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პირველ რიგში გამოკვლევები უნდა მოხდეს ისეთ რაიონებში, რომლებიც მნიშვნელოვან შანსებს იძლევიან გარეგნულ ნიშნების მიხედვით. ასეთ რაიონებს ეკუთვნის კახეთის ნავთიანი ადგილები.

პარტიული ცხოვრება

ოთხშაბათს, 16 მარტს, საღამოს 6 საათზე, [illegible] ცენტრალურ კლუბში შესდგება

პარტორგანიზატორთა საერთო საქალაქო თათბირი

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები

1, შემდეგი პარტორგანიზატორების მოხსენებები ადგილებიდან: მთავარ სახელოსნოების სახარატო ცეხის, მთავარ სახელოსნოების ამკრეფი ცეხის, „26 კომუნარის" სახელობის ქარხნის სახარატო ცეხის, ტრამვაის მექანიკურ სახელოსნოს, საფეიქრო ფაბრიკის, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკონტროლო განყოფილების და რეზინის ტრესტის

2. პარტორგანიზატორთა მუშაობის ამოცანების შესახებ.

სავალდებულოა რაიკომების ყველა პარტორგანიზატორების და ინსტრუქტორების დასწრება.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

მისალმება

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ ცხინვალიდან, სამხრეთ-ოსეთის საბჭოების ყრილობისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის მისალმება:

„სამხრეთ-ოსეთის საბჭოების ყრილობა გიგზავნით თქვენ მხურვალე სალამს კაპიტალის ლაქიების, მენშევიკების ახალი ბინძური მახინაციების მომენტში სამხრეთ-ოსეთის ყველა მშრომელი მასების სახელით ყრილობა გაძლევთ სიტყვას, რომ სამხრეთ-ოსეთის რევოლუციონური გლეხობა, პირველ გამოძახებისთანავე, მზად არის დადგეს, როგორც ერთი კაცი, საბჭოთა საქართველოს თავისუფლების სადარაჯოზე."

ყრილობის პრეზიდიუმი.

პარტსტატისტიკის მდგომარეობა და ამოცანები

ჩვენი პარტსტატისტიკა, წარსულ წლებთან შედარებით, სულ უფრო და ძლიერდება და დგება მტკიცე ლიანდაგზე. 1922—23 წლ. ის ითქმის სულ არ არსებობდა ჩვენს პარტკომიტეტებში და ყოველგვარი ციფრობრივი მასალები მუშავდებოდა კუსტარული წესით, რაც არ იძლეოდა ნამდვილ სურათს. ეს გარემოება იხსნებოდა ჩვენი მუშაკების მოუმზადებლობით ადგილებზე, რადგან მუშაობის ეს დარგი მაშინდელ წლებში იყო რაღაც ახალი, მეორე მიზეზი იყო აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, რომლის გარეშეც სტატისტიკას არ შეუძლია ნორმალური არსებობა. ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე არასაკმაო ყურადღება პარტსტატისტიკისადმი და ყალბი შეხედულება მასზე. მას უყურებდნენ, როგორც უბრალო ტექნიკურ მუშაობას, რომელიც მარტო ჯამს უკეთებს ციფრებს. გეგმიან მუშაობას ხელს უშლიდა აგრეთვე პარტკომების დატვირთვა სტატფორმებით. 1923 წელში უკანასკნელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს უდრიდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მუშაობა არანაყოფიერად მიმდინარეობდა.

მას აქეთ განვლო 3 წელიწადმა და პარტსტატისტიკამაც ღირსეული ადგილი დაიჭირა აღრიცხვასა და ინფორმაციასთან ერთად. ყველასათვის გასაგები გახდა, თუ რა როლს თამაშობს ის პარტიულ ცხოვრებასა და მის ყოველდღიურ მუშაობაში გამოჭრილ ამა თუ იმ საკითხების გაშუქებაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 100 პროცენტით ყველაფერი რიგზეა. ნაწილობრივ დეფექტებს დღესაც აქვთ ადგილი.

1927 წლის დასაწყისში ყველგან პარტკომიტეტები გადავიდნენ კომუნისტების აღრიცხვის საბარათო სისტემაზე. ეს სისტემა იძლევა გარანტიას, რომ ის სიძნელენი, რომლებიც დღემდე არ იძლეოდენ სწორი აღრიცხვის წარმოების საშუალებას (წმინდა ტექნიკური მოსაზრებით)—ამჟამად დაძლეულია.

პარტსტატისტიკის წინაშე ყოველთვის და მით უმეტეს დღეს, როდესაც პარტია შეუჩერებლივ იზრდება, სდგას ამოცანა—ჩვენი პარტიის შემადგენლობის რიცხობრივი და თვისობრივი მხარის გაშუქება.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარტსტატისტიკა დაკმაყოფილდეს მხოლოდ მშრალ, არაფრის მთქმელ ციფრების შეკრებით და დამუშავებით. თვითეულ ციფრს საჭიროა გაუკეთდეს ანალიზი. სათანადო მნიშვნელობის გარეშე ციფრი არაფერს არ ნიშნავს.

ამჟამად პარტსტატისტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარტიის ზრდისა და შემადგენლობის მოწესრიგების საკითხში. ის უნდა გახდეს მოწესრიგების მტკიცე ბერკეტად. უფრო სერიოზულ საკითხებს პარტია სწყვეტს დამუშავებულ ციფრების ნიადაგზე.

საბარათო სისტემის შემოღებით, პარტსტატისტიკაზე მომუშავე ჩვენს ადგილობრივ მუშაკთ ფართე საშუალება ეძლევათ იმუშაონ იმ საკითხების გამოკვლევაზე, რომლებიც პარტკომებს აინტერესებს.

იმედი გვაქვს, რომ აღრიცხვის ახალი სისტემა გამოიღებს ნაყოფს როგორც საღრიცხვო აპარატების დაყენების მხრივ, ისე პარტსტატისტიკის დარგში დღემდე არსებულ ნაკლულევანებათა აღმოფხვრის მხრივაც.

ა. მ—ი.

თბილისის კომიტეტის

პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის 11 მარტის სხდომაზე იდგა საკითხი მასიური მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში პარტიულ ორგანიზაციაში მასიური მუშაობა შესუსტდა და საჭიროთ სცნო გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1) აქტივის მორიგ რაიონულ კრებებზე დასმულ იქნას საკითხი მასიური მუშაობის შესახებ, რის შემდეგ იგივე საკითხი გადატანილ იქნას განსახილველად უჯრედების სხდომებზე. ამ საკითხის დამუშავება მოხდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო ბიუროს დადგენილების მიხედვით.

უჯრედებს დაევალოს გაახშირონ ღია კრებები. დახურული კრებები უნდა მოწვეულ იქნან აუცილებელ შემთხვევებში. მოწვეულ იქნან კრებებზე უპარტიოების რაც შეიძლება მეტი მასა.

მოგვარდეს უპარტიოთა მიერ ღია კრებებზე დასწრების აღრიცხვა.

3) გაძლიერდეს პარტორგანიზატორების და ინდივიდუალების მუშაობა პარტიასთან დაახლოებულ უპარტიოთა შორის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი საკითხების ახსნა-განმარტებას, რომლებიც აინტერესებენ უპარტიო მუშებს.

4) შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში უჯრედებისათვის საინფორმაციო წერილების დაგზავნა პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.

5) შემცირებულ იქნეს წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების რაოდენობა და გაუმჯობესებულ იქნას მათი შინაარსი (დღის წესრიგი, მომხსენებელი, კრების რეგლამენტი). შემოღებულ იქნას პრაქტიკაში კრებების მოწვევა ცალკე ცეხებში, განყოფილებებში და სხვა.

6) მასიური კამპანიის ჩატარება გადატანილ იქნას კლუბებში და წითელ კუთხეებში იმავე დროს შემცირდეს ჩასატარებელი კამპანიების რიცხვი.

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. ასრიევის მოხსენება კომუნალურ წარმოებათა მდგომარეობის შესახებ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა აღიარა, რომ კომუნალურმა წარმოებამ მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას და ზოგიერთ ადგილას კი გადააჭარბა მას (ტრამვაი, წყალსადენი, თბილ. ელსადგური, სამმართველო და აბანოები.)

საერთო პროდუქციის და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად ხდებოდა მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გამოიხატა ხელფასის მომატებაში და უკან ჩამორჩენილ ჯგუფების წინ წაწევაში.

ი. რ—ძე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა

ინდუსტრიალიზაციის პრობლემასთან ერთად ჩვენი დროის მთავარ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღდგენის დამთავრება და მისი შემდეგი სოციალისტური განვითარება, მისი პროდუქციის საერთო გადიდება და განსაკუთრებით კი მრეწველობისათვის საჭირო ძვირფას სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურ კულტურების.

ამ ამოცანის გადაჭრა კი შესაძლებელია მხოლოდ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირებით, მთელი სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების და, პირველ რიგში კი—მთელი მიწოდება-გასაღების და კრედიტის კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობით. ეს მუშაობა უნდა შეასრულოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ, რომლის ჯანსაღ და გეგმიან განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური განვითარების საქმეში.

სამწუხაროდ, ჩვენში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებამ დაიგვიანა; თუმცა 1923—24 წლებში ის სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ეს ზრდა არ იყო სავსებით ჯანსაღი და გეგმიანი. არ იყო საკუთარ ძალთა და საშუალებათა ზრდასთან შეფარდებული. ამიტომ წარსულ სამეურნეო წელში ის მწვავე ფინანსიურ და ორგანიზაციულ კრიზისს განიცდიდა და მისი, როგორც მთლიანი კოოპერატიული სისტემის, არსებობა საფრთხეში იყო. ჩავარდნილი წარმოკავშირის კრიზისმა და ლიკვიდაციამ უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მთელი ქსელი, შეჩერდა მისი ზრდა და მრავალი არსებული ძირითადი ორგანიზაციაც სრულებით მოისპო.

მაგრამ უკვე დღესაც ცხადათ სჩანს, რომ ეს იყო მხოლოდ დროებითი შეფერხება, დროებითი კრიზისი, რომლის შემდეგ უნდა დაიწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელი სისტემის გეგმიანი აღორძინება და განვითარება. დაახლოებით ორი თვის წინათ შემდგარმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ახალი ცენტრის „სოფლის კავშირი"-ს დამფუძნებელმა ყრილობამ გვიჩვენა, რომ ძირითადი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა შესძლო კრიზისის დაძლევა და სავსებით ჯანსაღ კოოპერატიულ ნიადაგზე აწარმოებს თავის საქმიანობას.

„სოფლის კავშირი"-ს დამფუძნებელ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სულ 54 კოოპერატიული ორგანიზაცია. მათ შორის 31 სასოფლო - სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობა 20.582 წევრით, 10 სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობა 5450 წევრით, სპეციალური ამხანაგობანი: 3 მეცხვარეთა—6450 წევრით, 1 მეფუტკრეთა—113 წევრით, 4 მერძევეთა არტელი—150 წევრით, 1 კოლექტიური მეურნეობა და 4 კავშირი (აჭარწარმოკავშირი, სამხრეთ - ოსეთის კავშირი, „ბეღნოსტან-კავშირი" და „საქართველოს ღვინო") 9273 წევრით. სულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 42.224 კოოპერატიულათ შეკავშირებული სოფლის მეურნე (პროცენტულათ საქართველოს მოსახლეობის 10 პროც. მეტი). მას შემდეგ კიდევ მრავალმა ორგანიზაციებმა განაცხადეს „სოფლის კავშირი"-ს წევრობის სურვილი, სცდილობენ მასთან საქმიანი კოოპერატიული ურთიერთობის დამყარებას.

ყრილობაზე წარმოდგენილ ამ 53 ორგანიზაციის საერთო საპაიო თანხა უდრიდა 198.187 მან. და სხვა საკუთარი თანხები 262.380 მან., საერთო ბალანსი—5.685.920 მან. განვლილი მძიმე კრიზისის შემდეგ ეს ციფრებიც დამაკმაყოფილებელია და ნათლად ამტკიცებენ, რომ არსებობს ძირითადი დასაყრდენი ჩვენი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის აღორძინებისათვის. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობას ამტკიცებს აგრეთვე მე-14-ე პარტკონფერენციის რეზოლუციის საფუძველზე საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ გამოცემული დადგენილებანი და სულ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული კანონი კოოპერატიული კრედიტის შესახებ.

ამ დადგენილებით საბოლოოთ გადაჭრილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სასოფლო სამეურნეო კრედიტის დამოკიდებულების კარდინალური საკითხი, აღიარებულია სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციის ერთიანი სისტემის არსებობა და აღმოფხვრილია პარალელიზმი სასოფლო-სამეურნეო ბანკების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირების მუშაობაში. ეს დიდი მიღწევაა და ამიერიდან ჩვენი სოფლის მეურნეობის კოოპერატიული შეკავშირება უფრო მეტი გეგმიანობით იწარმოებს და უფრო მეტ შედეგებს მოგვცემს.

უკანასკნელ დრომდე ვერ იყო მოწესრიგებული აგრეთვე დამოკიდებულება მრეწველობასთან, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სოფლის ნედლეულობის მთავარ მომხმარებელს. მრეწველობის წარმომადგენლები გვერდს უვლიდენ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას, მისი აპარატის ნაცვლად ზოგიერთ შემთხვევებში კერძო აგენტების აპარატსაც კი სარგებლობდენ ნედლეულობის დასამზადებლად. ასეთი მდგომარეობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის კოოპერატიული შეკავშირების და მისი სოციალისტური განვითარების საქმეში. ასეთი მდგომარეობის დატოვება მომავლისათვის შეუძლებელი იყო, და საკავშირო კომპარტიის ცეკას წარსული წლის 19 აგვისტოს დადგენილებებში ნათქვამია: „აუცილებლად იქნას ცნობილი, რათა ნედლეულობის დამზადება მრეწველობამ აწარმოვოს პირველ ყოვლისა სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემის საშუალებით. ამ დამზადებისათვის ფინანსების მიწოდება უნდა მიმართულ იქნას სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხაზით და აგრეთვე კოოპერატიული ბანკების საშუალებით".

მართლაც, უკანასკნელ ხანებში მრეწველობა მთელ საბჭოთა კავშირში თანდათან უფრო ახლოს მიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან და სასოფლო - სამეურნეო ნედლეულობის დამზადებას უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით აწარმოებს. ჩვენში რუსეთთან შედარებით გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო, — სამრეწველო ორგანოები გაცილებით უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევდენ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას, ამჟამად კი არის ნიშნები, რომ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის პოზიციები ჩვენშიც განმტკიცდება, გაიზრდება მისი სამეურნეო მოქმედების ასპარეზი და ის მართლაც გახდება სოფლის მეურნეობის ნაწარმოების მთავარ დამამზადებლად. მატყლის, თამბაქოს, აბრეშუმის, ბამბის, კენაფის, ღვინის, ხილის, კვერცხის, რძის ნაწარმოების და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოებთა დამზადება მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციის საშუალებით უნდა სწარმოებდეს, ნაწილობრივ მისი საშუალებით უნდა სწარმოებდეს ამ ნაწარმოებთა გადამუშავებაც. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ ამ მიმართულებით უნდა განამტკიცოს თავისი პოზიციები, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ნაწარმოებთა დამზადება - გასაღებას და მათი ხარისხის გაუმჯობესებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მომარაგებას იარაღ - მანქანებით, საწარმოო მასალით, თესლეულობით და სხვ. გაზაფხულის დასაწყისში ეს მუშაობაც ფართოვდება და ის დაკისრებული აქვს მხოლოდ „სოფლის კავშირს", რომელმაც ამ დღეებში დაუგზავნა სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციის ქსელს „ზაკსელმაშ"-ის საშუალებით მიღებული საკმაო დიდი რაოდენობის იარაღ-მანქანები და შაბიამან-გოგირდი.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის [illegible]ლი კრედიტის მოწყობა. საბჭოთა ახალი კანონმდებლობა ამ დარგშიც დიდ გასაქანს აძლევს კოოპერაციას, რომელმაც უნდა შესძლოს არა მარტო სახელმწიფოს მიერ გაღებული კრედიტების მიწოდება და განაწილება, არამედ თვით მოსახლეობის საშუალებათა დაგროვება და გამოყენება სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ახლად დაარსებული ცენტრის „სოფლის კავშირი"-ს მიერ დაწყებული მუშაობა ჩვენი სოფლის მეურნეობის კოოპერატიული ხელმძღვანელობისა სწორია, მისი თანდათანობითი გეგმიანი გაფართოება უეჭველად მიგვიყვანს სოფლად სოციალისტური ელემენტების გაძლიერებისაკენ, სოფლის მეურნეობის საერთო აღორძინებისაკენ, რაც ხელს შეუწყობს აგრეთვე ინდუსტრიალიზაციის პრობლემის გადაჭრას.

ი. ბუაჩიძე.

სოფლის ვაჭრობის გამოკვლევა

თანახმად სსკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, ამ მოკლე ხანში მთელი კავშირის მასშტაბით უნდა ჩატარდეს სოფლის ვაჭრობის გამოკვლევა. სოფლის ვაჭრობის გამოკვლევა ჩატარებულ იქნა 1923 წ., ხოლო 1924 და 1925 წლებში სხვადასხვა მიზეზების გამო ასეთი ხასიათის გამოკვლევას ადგილი არ ჰქონია ამიერ-კავკასიაში. თავისი გეგმითა და შინაარსით ეხლანდელი გამოკვლევა როგორც კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში, ისე ამიერ-კავკასიაში ხდება უფრო გაფართოებულ პროგრამით, ვიდრე წინად ჩატარებული გამოკვლევა. ამ გამოკვლევას დიდი თეორეტიული და განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. თუ შედარებით სწორი ცნობები მოგვეპოვება ქალაქის კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობის შესახებ, სოფლის ვაჭრობის შესახებ ცნობები ან სრულებით არ მოიპოება, და ან მეტად არა სანდო მასალას წარმოადგენს.

როგორია კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა საცალო ვაჭრობაში, რა მდგომარეობაშია განსაკუთრებით საბაზრო ვაჭრობა და რა მნიშვნელობა აქვს მას სოფლის ეკონომიკაში,—აი პრაქტიკულ პოლიტიკისათვის საჭირო წინასწარი ცნობები, რომლებიც უნდა მოგვცეს გამოკვლევამ. ამასთან ერთად აღნიშნულმა გამოკვლევამ უნდა მოგვცეს: ცნობები კოოპერატიულ, სახელმწიფო და კერძო სავაჭრო აპარატის დანაწილების შესახებ სოფლად, ცალკე სავაჭრო წამოწყებათა სიდიდის, სტრუქტურისა და ხასიათის შესახებ, სოფლის ვაჭრობაში დაბანდებულ კაპიტალების სიდიდესა და ხასიათზე, სოფლის სავაჭრო ორგანიზაციების ფულადი და საქონლის კრედიტზე, სავაჭრო დაგროვებაზე, ზედნადებ ხარჯების სიდიდეზე, საბითუმო და საცალო ფასების მოძრაობაზე ვაჭრობის სხვადასხვა ფორმის და საფეხურის დროს. განსაკუთრებით საყურადღებოა საცალო და საბითუმო ფასების საკითხი, რომლის გამოკვლევა ხელს შეუწყობს საცალო და საბითუმო ფასებს შორის არსებულ „მაკრატლის" პრობლემის გადაჭრას.

დასახელებულ საკითხების გამოსაკვლევად საქართველოსთვის ნავარაუდევია 11 სამაზრო ქალაქი. სიღნაღი, თბილისი, ახალციხე, ჭიათურა, ონი, ზუგდიდი, ქუთაისი, ოზურგეთი, დუშეთი, ბათომი და სოხუმი. ამ ქალაქებთან ერთად გამოკვლეული იქნება სოფლის 20 პუნქტი, რომელთა სავაჭრო წამოწყებათა სტრუქტურა და ფორმა მთელი რესპუბლიკისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ პუნქტებათ მიჩნეულია: ლაგოდეხი, გურჯაანი, საგარეჯო, წალკა, აწყური, სედე, ჩხარი, ხარაგოული, ჭრებალო, შედიაგელი, ხაბუმე, ხობი, ხონი, ვანი, ჩოხატაური, ნაგომარი, მუხრანი, კობი, ქედა და გუდაუთი.

ამ პუნქტების გამოკვლევამ უნდა მოგვცეს მთლიანი წარმოდგენა სოფლის ვაჭრობაზე. გამოკვლევას დასახელებულ პუნქტებში ექნება არა ერთდროული, არამედ ყოველწლიურად სისტემატიური ხასიათი, რაც საშუალებას მოგვცემს ვაჭრობის დინამიკის შესწავლისათვის. გამოკვლევის ეკონომიური უზრუნველყოფა იკისრა შინა ვაჭრობის კომისარიატმა, მაგრამ თანხები, რომლებიც ამისთვის იქნა გადადებული, მეტად მცირე აღმოჩნდა.

გამოკვლევის ნაყოფიერ ჩატარებისთვის საჭიროა ჩვენმა ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ მას. მეორე მხრივ საჭიროა ამ საქმისათვის კვალიფიციურ ძალების შერჩევა, ვინაიდან ამაზე არის დამოკიდებული სწორი მასალის და ჩვენი სოფლის ვაჭრობის არსებულ მდგომარეობისა და დინამიკის სწორი სურათის მოცემა. კვალიფიციურ ძალების შეკრება უნდა მოხდეს ჩვენი კოოპერატიულ და სავაჭრო ორგანიზაციების დახმარებით, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ქალაქისა და სოფლის ვაჭრობასთან. ამნაირად მიღებული მასალა საფუძვლად დაედება ჩვენს გეგმიან მუშაობას შინა-ვაჭრობის დარგში.

ვ. ბ—ძე.

საბჭოთა ყრილობები

ბათომის მაზრის საბჭოთა ყრილობა

ბათომი, 14 მარტი 11 მარტს საღამოს 6 საათზე ყოფილ პარტკლუბის შენობაში შესდგა ბათომის მაზრის საბჭოთა ყრილობა. საანგარიშო მოხსენება სამაზრო აღმასკომის მოქმედების შესახებ გააკეთა ამხ. ჯინჭარაძემ (ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე).

მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც აღმასკომის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს. გამოტანილ იქნა დადგენილებანი მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების შესახებ. შემდეგ მოხდა სამაზრო აღმასკომის და სრ. აჭარისტანის საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ქალაქ ბათომიდან აჭარისტანის საბჭოთა ყრილობაზე დელეგატებად არჩეულ იქნა 222 დეპუტატი და 45 კანდიდატი (ადს).

შორაპნის მაზრის საბჭოთა ყრილობა

ჭიათურა, 14 მარტი. 11 მარტს გაიხსნა შორაპნის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობა. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საქართველოს ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს და ამხ. ორჯონიკიძეს.

ყრილობის დღის წესრიგში სდგას: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში, სამაზრო აღმასკომის ანგარიში, ტერიტორიალურ ნაწილების აღმშენებლობა, საარჩევნო და სამანდატო კომისიის ანგარიში.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ბუხარინი, ვოროშილოვი ცხაკაია, მახარაძე, ელიავა, ქართველიშვილი, კახიანი და ორახელაშვილი.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ჟულელმა. ამხ. ჟულელის მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც იწონებს მთავრობის პოლიტიკას.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამაზრო აღმასკომის მოხსენება, რომლის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

საარჩევნო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საარჩევნო კამპანიის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლიდა ცუდი ამინდები. გლეხური მასსა—ღარიბი გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა არჩევნებში და ყოველგან აშავებდა სოფლის შეძლებული ფენების კანდიდატთა სიებს. იყო შემთხვევები, როცა სამღვდელოება უქადაგებდა მორწმუნე გლეხებს, რომ ისინი პასსიურად მოპყრობოდენ საბჭოთა არჩევნებს. მაგრამ გლეხობა ყურს არ უგდებდა მღვდლებს. არჩევნებში მონაწილეობა გამოიხატა 53,1 პროცენტში.

საბჭოში არჩეულ იქნა 45 დელეგატი. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე 23 დელეგატი (ადს).

ქუთაისის მაზრის საბჭოთა ყრილობა

ქუთაისი, 14 მარტი. 12 მარტს ქალაქის თეატრის შენობაში გაიხსნა ქუთაისის მაზრის საბჭოთა ყრილობა. საბჭოთა ყრილობაზე ესწრება 396 დელეგატი. ყრილობას ესწრება გლეხობა მაზრის შორეული თემებიდან. პრეზიდიუმის საპატიო წევრებად ერთხმად იქნენ არჩეული ამხ. სტალინი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ორახელაშვილი, ლევანდოვსკი, ცხაკაია, ნაზარეტიანი, ფ. მახარაძე, ალამალი-ოღლი, კარინიანი, ქართველიშვილი და ელიავა.

დღის წესრიგში სდგას: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება, 3) სამაზრო აღმასკომის ანგარიში, 4) ტერიტორიალური აღმშენებლობა, 5) სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების მოხსენება, 6) განათლების განყოფილების მოხსენება, 7) სამაზრო აღმასკომის და საქართველოს საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევნები.

პრეზიდიუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა: ამიერ-კავკასიის ცაკს, საქართველოს ცაკს, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს, სომხეთის და აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებს. ყრილობის პირველი დღე დამთავრდა მისალმებებით. ყრილობის მეორე დღეს ამხ. კახიანმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე (ადს).

ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა

ქუთაისი, 14 მარტი. ქუთაისის ქალაქის საბჭოს პირველ სხდომაზე პარტიულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 17 კაცი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ერასტი ლვამიჩავა.

კრებამ გამოჰყო ქალაქის საბჭოს ექვსი სექცია (ადს).

მისალმებები

ა.-კ. ცაკს

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

აფხაზეთიდან

სრულიად აფხაზეთის საბჭოთა მეოთხე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის უზენაეს ხელმძღვანელ ორგანოებს. აფხაზეთის მშრომელებმა ჯამი გაუკეთეს იმ მუშაობას და მიღწევებს, რომლებიც მივიღეთ ამიერ-კავკასიის ერების და ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობით და დახმარებით. ვისახავთ რა შემდგომი აღმშენებლობის პერსპექტივებს, ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ა.-კ. მშრომელთა დახმარებით განვამტკიცებთ სახალხო მეურნეობას და საბოლოოთ უზრუნველვყოფთ ოქტომბრის მონაპოვართ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელებს, საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

სამხრეთ-ოსეთიდან

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მეშვიდე ყრილობა მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ და ესალმება თქვენს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების აყვავებისაკენ და ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა შორის ძმური კავშირის განმტკიცებისაკენ. მსოფლიო ბურჟუაზიის და მისი ლაქიების ახალ თავხედურ გამოსვლის მომენტში, სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ყრილობა მტკიცედ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მასა თქვენ პირველ დაძახებისთანავე პირველ რიგებში ჩადგება ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

გაუმარჯოს თავისუფალ საბჭოთა ამიერ-კავკასიას! გაუმარჯოს მშრომელთა მთავრობას!

მოსკოვიდან

დღეს ამიერ-კავკასიის მშრომელნი დღესასწაულობენ ამიერ-კავკასიის ერების გაერთიანების ხუთი წლის თავს. ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებს და ა.-კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის მთავრობას უდრეკი კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნონ ეს შესანიშნავი დღე 12 მარტი, რომელმაც სამკვიდრო ჩაუყარა გალატაკებული ქვეყნების აღორძინებას, მტკიცე მშვიდობიანობას და ამიერ-კავკასიის ხალხთა ეკონომიურ თანამშრომლობას.

მამულია.

საქ. ცაკს

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

ახალციხიდან

ჯამს უკეთებს რა წარსულ პერიოდში ჩვენს მაზრაში ჩატარებულ მუშაობას სასოფლო მეურნეობის აღდგენის, ჩვენი მაზრის ჩამორჩენილი მშრომელი მასების ეკონომიურ კეთილდღეობის და კულტურულ დონის ამაღლების და მშრომელთა [illegible]ლობის დაცვის ფრონტზე, ახალციხის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობა, ჩვენს მაზრაში მცხოვრებ ყველა ეროვნებებთან ერთად მისალმება თქვენის სახით საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახ. კომისართა საბჭოს. წითელი მესხეთის მშრომელი მასების ახალციხის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობა ერთსულოვნათ უცხადებს მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომ შემდეგში, ისე როგორც დღემდე, ჩვენ მტკიცედ დავიცავთ თქვენს დირექტივებს და კომპარტიის ხელმძღვანელობით ვივლით წინ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შემდგომ განმტკიცება-გაღრმავების გზით. ჩვენი მაზრის მშრომელი მასების მთლიანობა და დარაზმვა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო უფლებას გვაძლევს განუცხადოთ ჩვენს მთავრობას, რომ ჩვენ არ გვაშინებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მუქარა და, რომ ყოველ წუთს, თქვენ პირველი მოწოდებისთანავე, ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ აღმოსავლეთის კარი ყოველგვარ თავდასხმისაგან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირზე.

გაუმარჯოს საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას! გაუმარჯოს ს. ს. რ. კ.-ს! გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას!

ყრილობის პრეზიდიუმი.

ქუთაისიდან

ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა, რომელიც გაიხსნა დღეს, მხურვალედ ესალმება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს ორგანოებს. მშრომელ ხალხში—მუშებსა და გლეხებში საბჭოთა ხელისუფლების ექვსი წლის არსებობამ საბოლოოთ განმტკიცა ის შეგნება, რომ ხალხის ეკონომიური და კულტურული აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა წყობილების საფუძველზე. ყრილობა მთელი მაზრის მშრომელთა სახელით ადასტურებს იმ დიდ გამარჯვებას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველის აღორძინების და კულტურულ აღმშენებლობის საქმეში. ვისურვებთ, რომ მომავალშიც საბჭოთა ხელისუფლების უზენაესმა ორგანოებმა ამაყად, ქედმოუხრელად და ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვით წინ წაიყვანონ მშრომელები ახალი ბრწყინვალე ცხოვრების აღმშენებლობის გზით—სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ყრილობის პრეზიდიუმი.

თემსაბჭოების საპატიო თავმჯდომარეები

საბჭოების საპატიო წევრებათ არჩეული არიან: სიღნაღში ამხ. მიხა კახიანი, ი. ვარძიელი, ლავრენტი მორჩილაძე.

მაჩხაანში—ფილიპე მახარაძე, ქედში—მამია ორახელაშვილი, ყანდაურაში—სილოვან თოდრია, ბუკრაინში—ვარო ჯაფარიძე. წითელ წყაროში—მიხა ცხაკაია, შაქრიდოვა სუსანა, საქობოში—ლავრენტი ქართველიშვილი, არაშენში—კუპაიძე ვრ. დუშეთის მაზრის ბაზალეთის თემში—ამხ. ფ. მახარაძე.

შეცდომის გასწორება

ახალ-სენაკის მაზრის საბჭოთა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმის სია, რომელიც ჩვენი გაზეთის 12 მარტის ნომერში იყო მოთავსებული არაა სრული. იგი უნდა ყოფილიყო მოთავსებული ამ სახით: „საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, ელიავა, მახარაძე, კახიანი, ქართველიშვილი, ორახელაშვილი, ლომინაძე და ტომსკი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექ. სარევიზიო გამოკვლევები

საუბარი ამხ. დოლიძესთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ამხ. დოლიძემ ინსპექციის მიერ ჩატარებულ სარევიზიო გამოკვლევების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შემოწმების მიზნით, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა მოახდინა რამოდენიმე ორგანიზაციის და დაწესებულების სარევიზიო გამოკვლევა. მიღებულ მასალებიდან სჩანს, რომ ჩვენს დაწესებულებებს აქამდის არა აქვთ შეგნებული გეგმაშეწონილი მუშაობის აუცილებლობა, აქამდი ადგილი აქვს უპასუხისმგებლობას, დაუდევრობას და დაუზოგველობას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩვენს დაწესებულებებს, განზრახ ცუდათ მუშაობენ. გამოკვლევის მიერ აღნიშნულ ნაკლულევანებათა მიზეზი უნდა ვეძიოთ მუშაობის საერთო სისტემაში, ჩვენი ცალკე ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებაში.

საქმე იმაშია, რომ არც ერთი ჩვენი დაწესებულება ერთი რომელიმე უმაღლესი ორგანოს წინაშე თავს არ გრძნობს პასუხისმგებლათ. ის ვითომ გარეგნულად რამოდენიმე უმაღლესი ორგანოს წინაშე არის პასუხისმგებელი, მაგრამ სწორეთ სიმრავლე ამ პასუხისმგებლობისა ქმნის ყოველგვარ უპასუხისმგებლობას.

კონტროლის და პასუხისმგებლობის სიმრავლე აზრს უკარგავს ყოველგვარ კონტროლსა და პასუხისმგებლობას. და აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ მდგომარეობით ბევრი სარგებლობს, როგორც განზრახ, ისე უნებლიეთაც.

იმ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩვენს დაწესებულებებს, მოეთხოვებათ სრული თავდადება საქმისადმი.

თვითეული უნდა იყოს თავის-თავის კონტროლი, თვითეული უნდა ცდილობდეს პარტიის და მთავრობის დირექტივების სწორად გატარებას.

უყაირათობის და დაუდევრობის თვალსაჩინო ნიმუშები

საქართველოს საბამბო კომიტეტის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილმა გამოკვლევამ გამოარკვია, რომ საბამბო კომიტეტის მთავარი კანტორის ფაქტიური ხარჯები 1925-26 წელში აღემატებოდა ხარჯთაღრიცხვის ნავარაუდევ ხარჯებს 8.186 მანეთით. ზედმეტ თანხების დახარჯვა აიხსნება ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევ ხარჯების მთავარი მუხლების შეუსრულებლობით. მაგალითად, ხელფასზე დახარჯულია 18.061 მანეთი, ხარჯთაღრიცხვით კი უნდა დახარჯულიყო 15.186 მანეთი; ნარდ სამუშაოზე დახარჯულია 1.734 მანეთი, უნდა დახარჯულიყო 600 მანეთი, მივლინებებზე დახარჯულია 3.327 მანეთი, უნდა დახარჯულიყო 2.100 მანეთი.

ამავე დროს რევიზიამ გამოარკვია, რომ 25-26 წლის განმავლობაში საქართველოს საბამბო კომიტეტის მიერ გაწეული იყო უკანონო ხარჯები. ასეთია, მაგალითად, ხარჯები თანამშრომლების მოწვევაზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან; ამასთანავე დაცული არ იყო შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის გამოცემული კანონები. თანამშრომლების მოწვევაზე დახარჯული იყო 1.120 მანეთი. ასეთია აგრეთვე ხარჯები იმ ჟურნალების გამოწერაზე, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქართველოს საბამბო კომიტეტის მუშაობასთან, ხარჯები სტენოგრაფისტკების მოწვევაზე, საუზმეების და ვახშმების გამართვაზე და სხვა.

ცუდათ იყო დაყენებული თანამშრომელთა მივლინების საქმე. იმ პირებს, რომლებსაც თავისი მუშაობის ხასიათის გამო სისტემატიური მოგზაურობა უხდებოდათ, ჯამაგირზე მტკიცე დანართის მაგივრად ეძლეოდათ დღიური. მაგალითად, ერთმა ინჟენერმა, რომელიც 1925-26 წელში მივლინებაში იყო შვიდი თვის განმავლობაში დღიურის სახით მიიღო 1.341 მანეთი. ტეხნიკოსები, რომლებიც მუდმივად ქარხნებში მუშაობენ, ჯამაგირს გარდა იღებდენ დამატებით გასამრჯელოს. ორ ასეთ ტეხნიკოსს მიეცა 2.227 მანეთი.

ფართოდ იყო განვითარებული თანამშრომლებისათვის ავანსების მიცემა. ერთი წლის განმავლობაში გაცემული იქნა ავანსად 5.814 მანეთი. ავანსების განაღდება ნელის ტემპით მიმდინარეობდა და თანამშრომლებს ახალი ავანსები ეძლეოდა მიუხედავათ იმისა, გაანაღდეს თუ არა მათ წინეთ წაღებული ავანსი.

გამოკვლევამ აღნიშნა აგრეთვე, რომ ბუღჰალტერია და ანგარიშწარმოება ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მიუხედავათ იმისა, რომ საანგარიშო წლის გათავებიდან ექვსი თვე გავიდა, საბამბო კომიტეტს გამოკვლევის დაწყების დროს კიდევ არ ჰქონდა შედგენილი საოპერაციო ბალანსი.

ბუღჰალტერიის სუსტად დაყენებას, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე და სათანადო კონტროლის უქონლობას შედეგად მოჰყვა 17.176 მანეთის გაფლანგვა სამტრედიის შემყიდველ პუნქტზე. გამფლანგველი, სამტრედიის პუნქტის გამგე, მოქალაქე ახმედოვი დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული.

ბამბის საწმენდ ქარხნების აგება (შულავერში, ყარაიაში და ქუთაისში) და წყალსაქაჩავის მოწყობა სოფელ ილმანზლოში საქართველოს საბამბო კომიტეტმა ჩაატარა პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შეუთანხმებლად.

საამშენებლო მუშაობა შულავერის და ყარაიას ქარხნებში სწარმოებდა იმ ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებული იყო მხოლოდ ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის მიერ; ამასთანავე ქარხნების აგების პროცესში მთელი რიგი სამუშაოები—19.853 მანეთისა შესრულებულ იქნა წინასწარი გეგმის შეუდგენლად, მხოლოდ საქართველოს საბამბო კომიტეტის ადმინისტრაციის სიტყვიერი განკარგულების თანახმად.

რაც შეეხება ქუთაისის ქარხანას, მის ასაგებად წინასწარ შედგენილი არ ყოფილა საჭირო დოკუმენტები.

გაეცნო რა გამოკვლევის მასალებს, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შემჩნეული დეფექტების აღმოფხვრას; ეს ღონისძიებები გადაეგზავნა ა.-კ. საბამბო კომიტეტის საქართველოს განყოფილებას, აუცილებელ განხორციელებისათვის.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის მუშაობა 1925 წლის იანვრიდან 1926 წლის ოქტომბრამდე; გამოირკვა, რომ სატყეო მრეწველობის ტრესტში ადგილი არ ჰქონია მმართველობის განსაზღვრულ სისტემას და ცალკე განყოფილებების და მათ ქვემდებარე წარმოებების უფლებების და მოვალეობების სისწორით განსაზღვრას.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს დაარსების დროს არ მიუღია საჭირო საბრუნავი კაპიტალი, ამიტომ ის მუშაობდა ნასესხები თანხებით. არ ჰქონდა რა განსაზღვრული ფინანსიური ბაზა, ის თავის მოღვაწეობაში სცილდებოდა იმ არსებულ თანხების ფარგლებს, რის გამო სატყეო მრეწველობის წარმოებები გაცხოველებული მუშაობის დროს უფულოდ რჩებოდენ. ამას შედეგად მოყვა ის, რომ სეზონის განმავლობაში შეუსრულებელ მუშაობაზე შემდეგ გაცილებით მეტი იხარჯებოდა. საოპერაციო წლის ბოლოს სატყეო მრეწველობის ტრესტის დავალიანება ღია ანგარიშებზე, დებიტორების გამოკლებით, უდრიდა 611.000 მანეთს, საბანკო კრედიტის გარდა.

1925-26 წლის განმავლობაში სატყეო მრეწველობის ტრესტმა დაამზადა 2.418.000 მანეთის პროდუქცია. აქედან 88 პროცენტი სამეურნეო წესით და 12 პროცენტი კერძო პირების საშუალებით. გამოკვლეულ რაიონებში სატყეო მასალის დამზადება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, გარდა წნორის რაიონისა, სადაც დამზადება მინდობილი აქვს „სპეც" მ. ზუნცაძეს. გუნცაძის მუშაობას არ უწევდენ სათანადო მეთვალყურეობას. მის მიერ დამზადებულ 8.795 წიფელის შპალიდან 20 პროცენტი დაწუნებული იქნა. გაფუჭდა 2.000 ფუთი ნახშირი.

იმის გამო, რომ დაგვიანდა ბორჯომის სატკეჩე ქარხნის და მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის აგება, და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ მიღებული არ იყო საჭირო ზომები ამ წარმოებებისათვის დამზადებულ ნედლი მასალის დასაცავად, ამ უკანასკნელის 83 პროცენტი გაფუჭდა, რამაც 20 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა სატყეო მრეწველობის ტრესტს.

რაც შეეხება კერძო პირებს, არც ერთ მათგანს არ შეუსრულებია თავის-თავზე აღებული ვალდებულება.

ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალის დამზადების დროს გამოჩენილ იქნა დიდი უთადარიგობა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ტრესტს. ნიგვზის მორების დამზადებას პირველად განაგებდა ტრესტის კომერციული განყოფილება. შემდეგ ეს გადაეცა დამამზადებელ განყოფილებას. ერთ დროს დამზადებას ხელმძღვანელობდა ორივე განყოფილება. ბოლოს დამზადება ისევ კომერციული განყოფილების ხელში გადავიდა, ხოლო ფაქტიური ხელმძღვანელობა იკისრა სატყეო მრეწველობის ტრესტის მმართველის ყოფილმა მოადგილემ დ. იაქრაძემ, რომელმაც საბოლოოდ დაღუპა დამზადების საქმე და 28 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა ტრესტს.

სატყეო მრეწველობის ტრესტის წარმოებებისათვის საჭირო მასალების, მანქანების და ინსტრუმენტების მიწოდება ხდებოდა განსაზღვრულ გეგმის და სისტემის გარეშე. ზოგიერთ საგნებს ყიდულობდენ გაცილებით უფრო ძვირად, ვიდრე ის ბაზარზე ფასობდა. ადგილი ჰქონდა კერძო პირებისაგან ყიდვის ტენდენციას.

ზედმეტ საათებში მუშაობაზე 1925-26 წელში საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტში დაიხარჯა 24.678 მანეთი. მივლინებებზე დაიხარჯა—62.103 მანეთი.

ფართოდ იყო განვითარებული ავანსების გაცემა. თანამშრომლებზე ავანსის სახით ითვლებოდა 85.000 მანეთი. ამასთანავე მარტო ბაქრაძეზე ითვლებოდა 1.278 მანეთი ანგარიშ ქვეშ წაღებულ თანხების გარდა. საერთოდ, სატყეო მრეწველობის ტრესტის სხვადასხვა დებიტორებზე, თანამშრომლების გამოკვლევით, 1926 წ. ოქტომბრისათვის ითვლებოდა 248.584 მანეთი. აქედან არანაკლებ 15 პროცენტისა უიმედოა.

შენიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები.

საკითხი სატყეო მრეწველობის ტრესტის ყოფილი ხელმძღვანელობის შესახებ, რომელმაც მეტის-მეტი წინდაუხედაობა და უთადარიგობა გამოიჩინეს, გადაწყვეტილია განსახილველად გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატის გამოკვლევა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ფაქტიური ხარჯები შრომის ხელფასზე 1925-26 წელში აღემატებოდა ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევ ხარჯებს 20.767 მანეთით. ეს ზედმეტი ხარჯები გამოწვეული იყო შტატის გადიდებით და ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის ჯამაგირის მომატებით; ამასთანავე იგი დაფარული იქნა კურსანტებისათვის ხელფასის შემცირებით და სპეციალური დანიშნულების იზოლიატორის შტატის შემოკლებით.

კომისარიატის დანარჩენი ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯები 1925-26 წელში უდრიდა 46.891 მანეთს. ხარჯთაღრიცხვით კი გათვალისწინებული იყო 27.828 მანეთი, ამრიგად ზედმეტი ხარჯები გამოიხატა 16.068 მანეთში.

გამოკვლევის მიერ აღნიშნულია მთელი რიგი უნაყოფო ხარჯები, რომელთაც ეკუთვნის, მაგალითად, სამი ავტომობილის შენახვა და სამი ახალი ავტომობილის ყიდვა 25.000 მანეთად ძველი ავტომობილების მაგივრად, რომლებიც გაყიდული იქნა 5.500 მანეთად.

თანამშრომლებზე ჯამაგირის ანგარიშში გასული წლის განმავლობაში ავანსად გაცემული იყო 24.360 მანეთი. აქედან 1926 წლის პირველი ოქტომბრისათვის დაუფარავი დარჩა 6.278 მანეთი, ამ თანხიდან 1.695 მანეთი ითვლება დათხოვნილ თანამშრომლებზე.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა სათანადო ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს გამოკვლევის მიერ აღნიშნულ არანორმალურ მოვლენების აღმოფხვრას; ამასთანავე გადაწყვეტილია ეს საკითხი განსახილველად გადაეცეს საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

საბჭოთა საქართველო

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ქართული ენის არმცოდნე ექიმების შესახებ

დაბა წესიდან (რაჭა) გლეხკორი პეტრე ელბაქიძე შემდეგს გვწერს: „ჩვენს მაზრაში მსახურობს ხუთამდე რუსი ექიმი. თავის დარგის მიხედვით ექიმები ძალიან კარგები არიან, მხოლოდ ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ შორის მხოლოდ ორს ეყურება ქართული"... აქედან გლეხკორ ელბაქიძეს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ქართული ენის არმცოდნე ექიმები, ჩვენს დაბა-სოფლებში, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს, უსარგებლო და მიზანშეუწონელია.

ცხადია პ. ელბაქიძის მოსაზრებანი ყურადღების ღირსია. ვერავინ უარყოფს იმას, რომ ქართულად მოლაპარაკე მოსახლეობაში ქართული ენის მცოდნე ექიმი უნდა იყვეს. და არა მარტო ექიმი. ასე უნდა ხდებოდეს ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიულ მართვა-გამგებლობის ყველა დარგში. ამ საკითხს საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ამიტომაა, რომ ადგილობრივი ენის დაწესებულებებში განმტკიცებისათვის ხელისუფლება დიდ მუშაობას აწარმოებს.

ამავე ხაზს ატარებს მოსახლეობის მკურნალობის დარგში ჩვენი ჯანმრთელობის კომისარიატიც. მაშ, რატომ მოხდა, რომ რაჭაში ყოფილან პროფესიულად კარგი, მაგრამ ქართულის არმცოდნე ექიმები? და არა მარტო რაჭაში, ჩვენ ვიცით, რომ ასეთ მოვლენას ადგილი აქვს რესპუბლიკის სხვა მაზრებშიაც. 1926 წლის განმავლობაში ჯანსახკომისარიატის მიერ გაგზავნილია მაზრებში სამუშაოდ 70 ექიმი. ამავე დროს ჩვენს მაზრებში თავისუფალია 73 ექიმის ადგილი. ეს მიუხედავად იმისა, რომ წელს ექიმის ხელფასი შედარებით წინანდელთან გადიდებულია. ექიმები ხშირად არჩევენ ქალაქად ყოფნას და უმუშევრობას, ვიდრე სოფლად წასვლას.

ცხადია, მოსახლეობის საექიმო დახმარების გარეშე დატოვებას და მისი ექიმბაშების ხელში ჩაგდებას, ჩვენი ხელისუფლება არჩევს გაგზავნოს სოფლად სამუშაოდ ქართული ენის არა მცოდნე ექიმი. მართალია ენის არცოდნა ექიმს ხელს უშლის მუშაობაში, მაგრამ კარგი ექიმები, როგორც ამას თვით აცხადებს გლეხკორი ელბაქიძე, უქართულოდაც გაუძღვებიან როგორმე თავის საქმეს. შემდეგ და შემდეგ ექიმი შეისწავლის ადგილობრივ ენას და ის იმუშავებს სოფლად.

სანამ ქართული ენის მცოდნე უმუშევარი ექიმების საკმაო რიცხვი არ გვეყოლება, ჩვენ რომ მოსახლეობა აქიმბაშების და ბებია-ქალების საწყალ ფურად არ დარჩეს, იძულებული ვიქნებით ნაწილობრივ მაინც ვაგზავნოთ ჩვენს მაზრაში ქართულის არამცოდნე ექიმებიც.

ადგილობრივ მუშკორებმა და მოწინავე გლეხობამ ასეთ ექიმებს ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი, რომ ისინი დაახლოვონ მოსახლეობას და ამით გაუადვილონ საპასუხისმგებლო და თავისთავად ძნელი საქმე, რომელიც დაკისრებული აქვს სოფლის ექიმს.

ბ. რ—რი.

„სამეგრელოს თამბაქო"

(ს. წალენჯიხა, ზუგდ. მ.)

თვე იქნება მას შემდეგ, რაც სოფ. წალენჯიხაში დაარსდა კოლექტივი „სამეგრელოს თამბაქო". ამას წინად კოლექტივს ჰქონდა კრება, სადაც არჩეულ იქნა გამგეობა და დროებითი საბჭო. ეხლა სწარმოებს გაცხარებული მუშაობა, დასამუშავებელი მიწა უდრის 25 დესეტინას. კოლექტივმა შეიძინა ერთი უღელი ხარი, და ერთი ცხენი, აგრეთვე სახნავი გუთანიც. და სხვა საჭირო ნივთები.

უნდა ითქვას, რომ „სამეგრელოს თამბაქო" კოლექტივი პირველი მაგალითია სამეგრელოს ცხოვრებაში და ამისათვის საჭიროა ხელი მოუმართოს და აუცილებელი დახმარება აღმოუჩინოს მას „სოფლის კავშირმა". აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივი შესდგება უღარიბეს გლეხებისაგან.

რატომ შესწყდა მუშაობა.

(ქუთაისის მაზრა).

ქუთაისის აღმასკომის საგზაო სექციას თავის წლიურ გეგმაში შეტანილი აქვს წყალტუბოს გზატკეცილის გაგრძელება სოფ. გორდამდე, რამაც გლეხობა ისე აღაფრთოვანა, რომ თავის შრომით გადასწყვიტეს ამ გზის გაყვანა. გლეხების ასეთმა მოქმედებამ გამოაფხიზლა ადგილობრივი აღმასკომები.

შეუდგენ ამ სანატრელი საქმის დაწყებას. დაიწყო უკვე მუშაობა, ინგრევა ლობე-ყორები, ტყდება კლდეები.

მაგრამ ასეთ ღირსშესანიშნავ საქმეს წინ ეღობება რაღაც დაბრკოლება.

გზა მდ. ცხენის-წყლამდე ნამუშევარია, იმას იქეთ კი გორდამდე ადგილობრივი აღმასკომი სრულებით ყურადღებას არ აქცევს მას. მდ. ცხენის-წყლის იქეთ გლეხობა არა ნაკლებ მონდომებულია ამ მათთვის სანეტარო საქმის დამთავრებას. ერთი გლეხიც არ დარჩენილა ისე, რომ არ შეპირებოდა საგზაო კომისიას 5-დან 30 მანეთამდე ამ გზის გაკეთებისათვის და ხელიც ბევრმა მოაწერა მათ წინაშე დაპირებაზე.

საინტერესოა იცოდეს ამ რამოდენიმე თემის უღარიბეს მშრომელ გლეხობამ: ეს სანატრელი საქმე მათთვის მოჩვენება იყო, თუ მართლა ეღირსებიან ამ გზის დამთავრებას, რომ ამრიგათ გზისათვის დაჭრილი მამულები არ ეზარალოთ?

კოჩი.

ჩვენს შეფს ხომ არ ჩამოუვლია

(ს. წყნეთი, თბილისის მაზრა)

შეფობას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლებისათვის. შეფი ზრუნავს სოფლის ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის. მაგრამ ამას ვერ ამართლებს ზოგიერთი საშეფო ორგანიზაცია. მაგალითისათვის ავიღოთ წყნეთის შეფები.

გასული წლიდან ჩვენს სოფელს მომაგრებული ჰყავდა შემდეგი საშეფო ორგანიზაციები: ტყავტრესტი, მეორე სტამბის უჯრედი, გემოკვების კავშირი და ქართულ მეთაურთა სკოლის უჯრედი.

ამ ოთხში, გარდა სამხედრო სკოლის უჯრედისა, ჩვენ არც ერთი ერთხელ მეტად არ გვინახავს წყნეთში. საქმის გაკეთების მაგივრად თავიანთი ნახვაც მოგვანატრეს. სამხედრო უჯრედი სანამ ჩვენთან ახლოს იყო, ესე იგი, სანამ მათი სკოლა ვაკეში იყო, კარგათ მუშაობდა, მაგრამ რაკი აღნიშნულ ადგილიდან გადავიდა, იმათაც თავი მოგვანატრეს. საჭიროა ჩვენი სოფლის წყნეთის შეფათ მომაგრებული იქნას ისეთი საშეფო ორგანიზაცია, რომელიც პირნათლად და ხალხის საკეთილდღეოთ იმუშავებს. მხოლოდ ძველი შეფები თუ ვინმეს შეგხვდეთ გთხოვთ მოუთითოთ ჩვენი სოფლისაკენ, რომლის დანახვაც თბილისიდან ძალიან ადვილია.

სოფლის მეთვალყურე

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

საგარეჯო, (გარე-კახეთი)

— **მოხედეთ ტყეს** საგარეჯოს თემში მშვენიერი ტყეებია. მაგრამ მას თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა სავსებით განადგურდება და საგარეჯოს ნაქები „სათავი"-ს წყალი სავსებით დაშრება. გლეხობა ვერაა რიგიანად გარკვეული ტყის მნიშვნელობაში. სატყეო უწყებას მმართებს თვეში ერთხელ მაინც მოაწყოს საუბრები. ქურდობა ჩვენ ტყეებში მეტად გავრცელებულია. დარაჯთა მცირე შტატი, რომელიც დილიდან-გათენებამდე სდარაჯობს ტყეს, ვეღარ ახერხებს ქურდების დაკავებას. საჭიროა შტატის გადიდება.

გ. გარსიაშვილი.

ეკონომიურ საბჭოში

ხელფასის ნორმის განმსაზღვრელი კომისიის დაარსება

შრომის სახ. კომისარის ამხ. ა. მიქაძის მოხსენების თანახმად ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნეს ხელფასის ნორმის გამსაზღვრელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ა. მიქაძე (თავმჯდომარე), ს. გოდაბრელიძე (პროფსაბჭო) და ნ. ოკუჯავა (ფინსახკომი).

სახ. მეურნეობის 15 წლიანი გეგმის დამტკიცება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მეურნეობის გენერალური (15 წლიანი) გეგმა.

აბრეშუმის პარკის ფასის განმსაზღვრელი კომისიის დაარსება

დაევალა კომისიას ამხ. ვ. ავაქოვის (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილის, მ ძამანაშვილის, ა. ათაბეგოვისა და ბ. გოგიას შემადგენლობით განსაზღვროს 1927 წ. მოსავლის აბრეშუმის პარკის შესყიდვითი და აბრეშუმის თესლის გასაყიდი ფასი და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს.

ს. მ. უ. ს. აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის სახელწოდება

ს. მ. უ. საბჭოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის „საქართველოს აბრეშუმს" ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით ეწოდა—„აბრეშუმი".

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ეკონომიურმა საბჭომ დამტკიცა შინავაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი 1927 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

ფასების დაკლება

ფასების დაკლების შედეგები აჭარისტანში

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლობასთან აჭარისტანში შესდგა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიკვლია ფასების დაკლების შედეგები აჭარაში. გამოკვლეული ქნა ბათომის მუშკოოპის, „აჭარტორგი" და „ბოეცი". კომისიის გამოკვლევიდან აშკარად სჩანს, რომ მრავალ საქონელზე შემცირებული იქნა ზედნართი და ზედნადები ხარჯები, თუმცა საბიუჯეტო შენაკრების ღირებულება სხვადასხვა მიზეზების გამო მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. კომისიის აზრით შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება მარტის 1-ისათვის ფასების 3 პროცენტით შემცირებისა უმტკივნეულოდ გატარებულ იქნება კოოპერატივ „ბოეც"-ში და „აჭარტორგში". რაც შეეხება მუშკოოპს აქ ფასების დაკლება უნდა მოხდეს უმთავრესად აპარატის შემჭიდროებისა და რაციონალიზაციის ნიადაგზე, ვინაიდან ამჟამად მუშკოოპის აპარატი ფართოა და თანამშრომლებიც სათანადოთ ვერ არიან დატვირთულნი.

შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველომ სათანადო ინსტრუქციები მისცა თავის წარმომადგენელს აჭარაში, რათა დირექტივა ფასების დაკლების შესახებ აუცილებლად იქნეს შესრულებული.

ფასების შემცირება ტყავის საქონელზე

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახკომისარიატი ამუშავებს ტყავის საქონელზე და ფეხსაცმელებზე ფასების შემცირების პროექტს.

ეს მუშაობა სწარმოებს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოწერილობით, რომელიც წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომ 20 მარტისათვის გაატაროს საცალო ფასების შემცირება ტყავის საქონელზე და ფეხსაცმელებზე, იმ შემცირების მიხედვით, რომელიც საბჭოთა კავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა და სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გაატარეს ამ საქონლის საბითუმო ფასებზე.

საბჭოთა არჩევნების შედეგები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, საბჭოების ხელახალი არჩევნების დაწყებიდან -30 იანვრიდან დღემდე საბჭოების გადარჩევის კამპანია იძლევა შემდეგ სურათს:

ბორჩალოს მაზრაში

საბჭოებში არჩეულია 877 წევრი; მათ შორის 67 ქალი, 150 კომუნისტი, 86 კომკავშირელი, 641 უპარტიო; აღმასკომებში: 33 კომუნისტი, 4 კომკავშირელი, 35 უპარტიო; მათგან ერთი ქალია.

ახალქალაქის მაზრაში

საბჭოებში სულ არჩეულია 834 დეპუტატი, აქედან 150 კომუნისტი, 95 კომკავშირელი, 639 უპარტიო, 82 ქალი; აღმასკომებში 38 კაცი, აქედან 17 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 19 უპარტიო.

ახალციხის მაზრაში

მაზრის ყველა საბჭოებში არჩეულ იქნა 1.000 წევრი. მათ შორის 19 ქალი; 212 კომუნისტი, 87 კომკავშირელი, 701 უპარტიო. აღმასკომებში: 4 ქალი, 27 კომუნისტი, 3 კომკავშირელი, 22 უპარტიო, სულ 52.

გორის მაზრაში

საბჭოებში გავიდა 1.784 კაცი; მათ შორის—103 ქალი. 372 კომუნისტი, 225 კომკავშირელი. 1.187 უპარტიო; აღმასკომებში 1 ქალი, 73 კომ., 5 კომკავშირელი, 39 უპარტიო, სულ 117.

დუშეთის მაზრაში

საბჭოებში არჩეულ იქნა სულ 807 წევრი ამათში 36 ქალი, 169 კომ.; 66 კომკავშირელი, 372 უპარტიო; აღმასკომებში 46 წევრი, აქედან 1 ქალი, 26 პარტიული, 5 კომკავშირელი; 18 უპარტიო.

თელავის მაზრაში

საბჭოებში აირჩიეს 1.094 კაცი; მათ შორის 129 ქალი, 231 კომუნისტი, 117 კომკ. 701 უპარტიო; აღმასკომებში—71 წევრი; მათ შორის 42 პარტიული, 4 კომკავშირელი, 25 უპარტიო.

სიღნაღის მაზრაში

არჩეულია 1.516 წევრი: აქედან 196 ქალი, 405 კომუნისტი. 143 კომკ.; 968 უპარტიო; აღმასკომებში—1 ქალი, 54 პარტიული, 5 კომკავშირელი, 34 უპარტიო; სულ 93.

თბილისის მაზრაში

სულ არჩეულია 1.661 კაცი, ამათში 175 ქალი, 428 კომ., 128 კომკ.; 1.105 უპარტიო; აღმასკომებში—6 ქალი, 88 კომ.; 9 კომკავშირელი; 55 უპარტიო სულ—152.

სამხრეთ-ოსეთში

სულ აირჩიეს 888 წევრი; ამათში 78 ქალი. 252 კომ.; 117 კომკ.; 519 უპარ.; აღმასკომებში 48 კომ.; 4 კომკავშ.; 11 უპარტიო.

აფხაზეთში

მთელ აფხაზეთის საბჭოებში აირჩიეს 4.245 წევრი. აქედან 358 ქალი. 439 კომ.; 405 კომკ. 3.401 უპარტიო.

ლეჩხუმის მაზრა

აირჩიეს 484 დეპუტატი. მათ შორის 44 ქალია, 88 კომ., 66 კომკავშირელი, 230 უპარტიო; აღმასკომებში—1 ქალი, 36 პარტიული, 3 კომკავშირელი, 15 უპარტიო, სულ—54.

ოზურგეთის მაზრაში

არჩეულია 1.247 კაცი, აქედან 140 ქალია; 495 კომ.; 58 კომკავშირელი; 694 უპარტიო, აღმასკომებში—78 კომ.; 42 უპარტიო სულ—120.

რაჭის მაზრაში

საბჭოში აირჩიეს 725 წევრი, ამათში 61 ქალი, 206 კომუნ.; 41 კომკ.; 478 უპარტიო; აღმასკომებში 48 პარტიული, 1 კომკ.; 27 უპარტიო სულ—76.

სენაკის მაზრაში

არჩეულია 1.063 კაცი, აქედან 118 ქალი, 372 კომუნისტი; 74 კომკ.; 617 უპარ.; აღმასკომში— 46 პარტიული 4 კომკ.; 27 უპარტიო, სულ 77.

ქუთაისის მაზრაში

სულ არჩეულია 1.194 წევრი. მათ შორის 97 ქალი, 246 კომ.; 106 კომკავშირელი, 842 უპარტიო.

შორაპნის მაზრაში

აირჩიეს 1.509 კაცი. ამათში 122 ქალი; 405 კომუნისტი, 124 კომკავშირელი; 977 უპარ.; აღმასკომებში—45 პარტიული, 2 კომკავშ.; 18 უპარტიო.

ფოთის რაიონი

არჩეულია (ქალაქის გამოკლებით) 12 დეპუტატი. მათ შორის 1 ქალი, 8 კომკავშ.; 4 უპარ., აღმასკომებში 2 კომუნისტი, 1 უპარ.; სულ—3.

ზემო სვანეთში

საბჭოებში აირჩიეს სულ 124 წევრი; მათ შორის 3 ქალი.; 30 კომუნისტი; 7 კომკავშირელი; 87 უპარტიო ; აღმასკომებში—8 კომ.; 6 კომკავშირელი, 28 უპარტიო, სულ 42 წევრი.

ზუგდიდის მაზრა

მაზრის ყველა საბჭოებში აირჩიეს 1.349 წევრი; აქედან 120 ქალია, 353 კომ.; 120 კომკავ 876 უპარტიო; აღმასკომებში გაიყვანეს სულ 119 [illegible] 5 კომკ. 46 უპარტიო.

სულ მთელ რესპუბლიკაში

სულ მთელ რესპუბლიკაში, აჭარისტანის გამოკლებით (საიდანაც ჯერ ცნობები არ არის მიღებული), იყო 948.702 ამომრჩეველი. აქედან საარჩევნო კრებებს დაესწრო 501.493, ანუ ამრჩევლების 52.8 პროც., სულ საბჭოებში არჩეულია 22.168 დეპუტატი, მათ შორის 2.025 ქალი, 5.114 კომუნისტი და კომპარტიის კანდიდატი, 2.015 კომკავშირელი და 15.039 უპარტიო.

საბჭოების აღმასკომებში არჩეულია 1.269 კაცი; მათ შორის 18 ქალი, 748 კომ., 69 კომკავშირელი, 459 უპარტიო.

ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

ფოთი.

5 მარტს შესდგა ქ. ფოთის ყოფ. ახ. მარქსისტთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. კობახიძის მოხსენება შემდეგ თემაზე: ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მუშაობა და ახალი გზა. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა ამხ. კობახიძის მოხსენება ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის „მუშაობის" და ახალი გზის შესახებ, ფოთის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრები ვაღიარებთ საქართველოს მშრომელთა გასაგონათ, რომ ჩვენი ხელმძღვანელი—მენშევიკური პარტიის წყალობით ჩვენმა ორგანიზაციამაც გაიზიარა ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელმაც მშრომელი ხალხი მიიყვანა აგვისტოს ავანტიურამდე. ვალად ვსთვლით ჩვენს თავს ერთხელ და სამუდამოდ უკუვაგდოთ ჩხირკედელაობის პოლიტიკა, რაც დიამეტრიულად ეწინააღმდეგება როგორც რევოლიუციას, აგრეთვე ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესს. ამ დროს, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით გადამწყვეტი ბრძოლა ხდება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ჩვენი ვალია გვერდში ამოვუდგეთ იმ პარტიას და ხელისუფლებას, რომელიც უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძვის მუშათა კლასის და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ასეთ მომენტში დანაშაულად ვსთვლით სიჩუმეს და განზე დგომას, და ვაცხადებთ, რომ მზად ვართ გვერდში ამოუდგეთ კომუნისტურ პარტიას როგორც ჭირში, ისე ლხინში.

ძირს მენშევიკების ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია რევოლიუციის და ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მშრომელ ახალგაზრდობის მთლიან ფრონტს.

გაუმარჯოს კომინტერნს!"

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოხდა ბიუროს არჩევნები, რომელშიაც არჩეულ იქნა სამი კაცი.

აბაშა.

2 მარტს დაბა აბაშაში მოწვეულ იქნა აბაშის ყოფ. ახ. მარქსისტთა და თანაგრძნობთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ჩომახიამ და კ. კობახიძემ, რომლებმაც კრებას გააცნეს ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიუროს მიზნები და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებლებმა მიიღეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს. დაბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ ჩომახიძის და კობახიძის მოხსენება, ჩვენ, დაბა აბაშის ყოფ. ახ. მარქსისტები ვაღიარებთ, რომ მენშევიკურმა პარტიამ, რომელიც სამი წლის განმავლობაში ბატონობდა საქართველოში, ვერ მისცა ქართველ ხალხს როგორც ეკონომიური, ისე კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება,

ეროვნული საკითხი მენშევიკების დროს ვერ იქნა გადაჭრილი სწორად, რამაც გამოიწვია მეზობელ სახელმწიფოებს შორის მუდმივი შუღლი და მტრობა. საქართველო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შესდგა ეკონომიურ აღორძინებისა და ეროვნული კულტურის განვითარების გზაზე.

საბჭოთა ხელისუფლება საუკეთესო გამომხატველია მშრომელი ხალხის ინტერესების, ამიტომ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს მშრომელი ხალხის დამღუპველად. ჩვენი ვალია ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნის აყვავება-აღორძინებას.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალურ რევოლიუციას! გაუმარჯოს ახალგაზრდათა მთლიან ფრონტს! გაუმარჯოს სოციალიზმს!"

ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს.

ზუგდიდის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა სამაზრო თათბირი, იზიარებს რა თქვენ მიერ აღებულ ხაზს, გიგზავნის მხურვალე სალამს.

თათბირის თავმჯდომარე ცხაკაია.

მუშათა ცხოვრება

ხულიგნობის წინააღმდეგ

ქალაქის განაპირა უბნებში კვლავ იჩინა თავი ხულიგნობამ. ქუჩებში და ქუჩის კუთხეებში შეგროვილი არიან ჯგუფ-ჯგუფად ხულიგნები და გამვლელსა და გამომვლელს აწუხებენ. თუ ქალი დაინახეს, ხო მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს,—როგორი სიტყვებით არ მიმართავენ. ვინც თავშეკავებულია და ხმას არ გასცემს ხომ კარგი, როგორც ერთი მუშკორი სწერს, თუ გამოეხმაურე, მაშინ არის მათი დღესასწაული—მოგვარდებიან ყველა ერთად და ლანძღვა-გინებას და ცემა-ტყეპას საზღვარი აღარ ექნება.

ხულიგნების ასეთ თავაშვებულობას შიშის ქვეშ ყავს განაპირა უბნების მცხოვრებლები; თავისუფლად ვერ გაუვლიათ ქუჩებში, მუდამ იმის შიშში არიან, რომ ვინმემ შეურაცყოფა არ მიაყენოს სიტყვით ან საქმით. ხშირად უსაყვედურებენ მილიციას, რომ არავითარ ზომებს არ იღებს ხულიგნების წინააღმდეგ.

ეს დაუშვებელია. ასეთ რაიონებში მილიცია გაძლიერებული უნდა იყვეს, მას ინსტრუქცია უნდა ქონდეს, თუ როგორ და რა საშუალებით ებრძოლოს ხულიგნებს. მილიცია ასეთ შემთხვევებში ყოველთვის თავის ადგილზე უნდა იდგეს. მაგრამ მარტო მილიცია ვერაფერს გააწყობს, მას გვერდში უნდა ამოუდგეს ადგილობრივი მცხოვრები, და პირველ ყოვლისა მუშები. მუშებმა უნდა აღიმაღლონ თავისი ხმა ხულიგნების წინააღმდეგ. აქტიურად უნდა დაიხმარონ მილიცია ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლაში. გაუსწორებელ ხულიგნების წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ე.

ეკსკურსია სარევოლიუციო მუზეუმში

12 მარტს, კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის" კულტკომისიამ მოაწყო მუშების ეკსკურსია სარევოლიუციო მუზეუმში.

დღის პირველ საათზე მუზეუმში ვიყავით. მისვლისთანავე დაგვინიშნეს ხელმძღვანელი—ამხსნელი — შენგელაია, რომელმაც დაგვატარა მუზეუმის ყველა ოთახები და გასაგები ენით გვიხსნიდა ყველაფერს, რაც კი მუშების ყურადღებას იპყრობდა.

ჩვენ იქ ვნახეთ: — რევოლიუციონერების მიერ, თვითმპყრობელობის დროს მოხდენილი აქტების სურათები, რევოლიუციონერების სხვადასხვა ადგილას გადაღებული და აგრეთვე ლიტერატურა; არსენ ჯორჯიაშვილის კუთხე და მრავალი სხვა, რასაც დიდის ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდენ მუშები.

მუშების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ ოთახმა, სადაც მოწყობილია ყოფ. ბარიატინის ქუჩა და გრიაზნოვის აფეთქება ჯორჯიაშვილის მიერ. ამავე ოთახში გამართულია ციხე, საიდანაც გადმოიყურებიან ტუსაღები და ამავე ციხეში გამართული საკანი, სადაც ზაქარია ჩოდრიშვილი ხელ-ფეხ შეკრული ბორკილებით სკამზე ზის და ფიქრობს რევოლიუციის მომავალზე; ეს ცოცხალი სურათი მართლაც საგანგებოდაა მოწყობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუზეუმმა ჩვენზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მუშკორი ვანო.

გვიპასუხოს რკინისგზის პროფკავშირმა.

რკინისგზის სამმართველოს განკარგულებით 1 იანვრიდან მძღავრი ორთქლმავლები იგზავნებიან სადგ. განჯამდე. როდესაც ორთქლმავალთა გუნდი იგზავნება დაწესებულ საზღვარს იქით სამუშაოთ, მას ეძლევა დღიური. ეს ყველასათვის კანონია. თებერვალში ეს დღიურები მოსპეს. რით ხელმძღვანელობს ადმინისტრაცია, ან-და რატომ დათანხმდა პროფკავშირი ამ დღიურების მოსპობაში.

საინტერესოა ვიცოდეთ, დღიურს რომ სპობენ. რით, ან რომელი კანონით ხელმძღვანელობენ. შემდეგ დღიურის ნაცვლად რა მიეცემათ მუშებს?

პროფკავშირმა გვიპასუხოს.

მუშკორი შავხოფლელი.

საჭიროა მოწესრიგება.

ნავთლუღიდან წამოსული რონოდა და ნავთლუღის ქუჩის დასაწყისიდან გასული რონოდები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ბრუნდებიან უკან ასაქცევამდე. ნუ თუ ასე გაუძნელდა ტრამვაის დირექციას. რომ შუა მაღლობზე გააკეთონ ერთი ასაქცევი, რომელიც არც ძვირი დაჯდება და არც ასეთი წვალება იქნება საჭირო, მგზავრებს რომ თითო ვერსის მანძილზე აქეთ-იქით ატარებენ.

ვ. ნავრუზაშვილი.

მიიღეთ ზომები.

ქ ქუთაისის „ზაკპოგრუზ"-ის მუშებს წლიურად 12 სამგზავრო ბილეთი უნდა მიეცემოდა, მაგრამ ამ წელში თორმეტის მაგივრად ერთიც არ მიუღიათ. გასულ წელს ბილეთის მაგივრად მუშები ყოველთვიურად ღებულობდენ 6 მანეთს. წელს არც ფული მიუღიათ და არც ბილეთი, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშებში. პროფკავშირმა უნდა გამოასწოროს ეს საქმე.

მ. გძელი.

მუშათა ქრონიკა.

— **კულტფონდის დეცენტრალიზაცია.** საქართველოს პროფკავშ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩაატაროს რკინის გზაზე კულტფონდის დეცენტრალიზაცია.

— **საღამო.** დღეს ორჯონიკიძის და პლეხანოვის სახ. კლუბებში თებერვლის რევოლიუციის 10 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება საღამო.

— **კედლის გაზეთი.** აღმასკომის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მე-16-ე ნომერი „აღმასკომის მეთვალყურე"-ს სახელწოდებით.

— **ვადის დაწესება.** საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სასეზონო-საამშენებლო მუშაობის ვადათ დააწესა 9 თვე.

— **წარმოდგენა.** კვირას, 13 მარტს, ტრამვაის მუშათა კლუბში წარმოდგენილი იქნება „ვის არის დამნაშავე".

— **კლუბის წევრთა რიცხვი.** ხაშურის კლუბში ითვლება 350 წევრი.

— **წარმოდგენები.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში რვა თვის განმავლობაში დადგმულ იქნა 115 საღამო-წარმოდგენა.

— ამავე კლუბის წევრთა კონფერენციამ დაადგინა საწევრო ანარიცხები გაადიდოს 100 პროცენტით.

— **დამსწრეთა რიცხვი.** ამავე კლუბში გამართულ წარმოდგენებზე რვა თვის განმავლობაში დამსწრეთა რიცხვი უდრის 119.316 კაცს.

— **შუამდგომლობა.** ახალქალაქის სამპროფბიურომ აღძრა შუამდგომლობა პროფსაბჭოს წინაშე შრომის ინსპექტორის მოვალეობის ასრულება დაეკისროს დამზღვ. სალაროს გამგეს. პრეზიდიუმმა ეს შუამდგომლობა დაამტკიცა.

დაუდევრობის ბრალია.

თითო ფეხის გადადგმაზე გვესმის მოწოდება წარმოების აყვავების შესახებ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამას ვერ ვამართლებთ. რა არის მიზეზი? ცხადია, სხვადასხვა დაბრკოლებები და დაუდევრობით წარმოშობილი ზარალი. მაგალითად, აუარებელი წყალი იღვრება თბილისის დეპოში მილების გახეთქის გამო. საიარაღო განყოფილებაში იარაღი არ არის სათანადო ხარისხის, რის გამო თითეულ რამეზე საათობით საჭიროდება ხელოსანს უბრალოდ სიარული და დროის დაკარგვა. ამავე დეპოს ადმინისტრაციამ რომ ზემოაღნიშნული ნაკლი გამოასწოროს, ცხადია წარმოებაც არ იზარალებდა.

კოჟანდარი.

პროლეტ. მწერალთა

ასოციაციის პლენუმი

პირველი სხდომა

კვირას, 13 მარტს, ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პირველი გაფართოებული პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის შესახებ, 2) ორგანიზაციული საკითხი, 3) თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურულ პოლიტიკის საკითხები.

პლენუმი გახსნა ამხ. ნ. ზომლეთელმა. პირველი ორი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. ბუაჩიძე.

მომხსენებელი ეხება იმ გადახრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პროლეტარულ მწერლობაში უკანასკნელი დროის განმავლობაში და აღნიშნავს, რომ პროლეტარულ მწერალთა კლასიური თვითშეგნება ამჟამად განმტკიცებისა და გაჯანსაღების გზით მიდის.

ძირითადი საკითხები, რომლებიც სდგას პროლეტარულ მწერალთა წინაშე, არის სწავლის, თვით-კრიტიკის და შემოქმედების საკითხები. სწავლა აუცილებელია წარსული კულტურის დასაძლევად და ძირითადი საფუძველი შესაქმნელად პროლეტარული მწერლობის განვითარებისათვის; თვითკრიტიკა აუცილებელია პროლეტარულ მწერალთა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ორგანიზაციის საკითხებს და აღნიშნავს, რომ აუცილებელია შეთანხმებული მუშაობა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირთან.

მწერალთა კავშირი უნდა მოეწყოს ფედერაციის საფუძველზე. ამავე დროს საჭიროა გადაჭრელი ზომების მიღება ფრაქციული კონკლაობის წინააღმდეგ თვით პროლეტარულ მწერალთა შორის.

აუცილებელია აგრეთვე ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერლების შემოქმედებითი დაახლოება, რისთვისაც უნდა გადაიდგას სათანადო პრაქტიკული ნაბიჯი.

საქართველოს პროლეტარულ მწერლებს აქამდი იდეოლოგიური პლატფორმა არ ჰქონდათ. ამ მიზეზით ზოგიერთი ამხანაგების ავანტიური სტული მოხერხება ქმნიდა ილიუზიას, თითქოს საქართველო იღებდა რუსეთში დაგმობილ იდეოლოგიურ პლატფორმას.—ვარდინიზმის „ვაპის" მემარცხენე უმცირესობის სახით. აუცილებელია გამიჯვნა ასეთი პლატფორმისაგან. უარყოფილი უნდა იქნეს შეურიგებლობა თანამგზავრებისადმი, როგორც მიუღებელი სახე კლასიური ბრძოლის ახალი ფორმისა.

ყურადღება უნდა მიექცეს ზეპირ მუშაობას. ცენტრი სასახლიდან გადატანილი უნდა იქნეს მუშათა უბნებში. საჭიროა ყველა რაიონებში წრეების დაარსება. აუცილებელია აგრეთვე მუშაობის გაძლიერება მუშკორებში. დაბოლოს, საჭიროა მუშაობა თვით პროლეტარულ მწერლებში სწავლის საკითხის სათანადო დონეზე გაყენებით. რაც უნდა გამოიხატოს თვითკრიტიკის საღამოების გამართვაში, რისთვისაც წინასწარ მოსპობილი უნდა იქნეს ფრაქციული კონკლაობის შესაძლებლობა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქიქოძემ, რონდელმა, ესაკიამ, ხოშტარიამ, სამსონიძემ, ზომლეთელმა, სალუქვაძემ და ლისაშვილმა.

მეორე დღე, საღამოს სხდომა

14 მარტის საღამოს სხდომაზე ამხ. ბ. ბუაჩიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. გ. მუშიშვილის მოხსენება

პარტიის სახელოვნო პოლიტიკის შესახებ

მომხსენებელი ემყარება რა საქ. კომ. პარტიის (ბ) ცკას რეზოლიუციას, არკვევს პარტიის თვალსაზრისს სახელოვნო პოლიტიკის სფეროში საჭიროდ მიაჩნია, რომ საქ. კომ. პარტიის ცკას რეზოლიუციის საფუძველზე დამუშავდეს კერძოთ სახელოვნო პოლიტიკის საკითხები საქართველოში, გამომუშავდეს ჩვენი ქვეყნის სინამდვილესთან შეფარდებით საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გარკვეული პოლიტიკური ხაზი ხელოვნების და კერძოთ მწერლობის მიმართ. ეხება რა სათითაოდ ცალ-ცალკე მიმდინარეობას ქართულ მწერლობაში, მომხსენებელი ამბობს, რომ პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მწერლობის ყველა მიმდინარეობათა შემოქმედებით მუშაობას იმ მხრივ, რომ გააძლიეროს მათში საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოვება,—თანამედროვეობის ტენდენციები. რაც შეეხება კერძოთ პროლეტარულ მწერლობას, მას მიუხედავათ იმისა, რომ ემჩნევათ აშკარა პროგრესი და აქვთ სავსებით სწორი და გამართლებული იდეოლოგიური მიდგომა მოვალეობისადმი, ჩამორჩენილია ფორმალური მიღწევების თვალსაზრისით და საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა და წარსულ ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა და მათი ფორმალური მიღწევების გამოყენება.

კამათი ამხ მუშიშვილის მოხსენების გარშემო გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

სხდომა დამთავრდა შუაღამის 12 საათზე.

ხის დამამუშავებელთა

კავშირის ყრილობა

13 მარტს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა ხის დამამუშავებელთა კავშირის სრ. საქართველოს ყრილობა.

საქმიანი პრეზიდიუმის და სამდივნოს არჩევის შემდეგ ყრილობამ მიიღო დღის წესრიგი, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი საკითხები: ც. გამგეობის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებანი; კავშირის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელის მოხსენება; ტყის მრეწველობის ტრესტის საანგარიშო მოხსენება და არჩევნები.

ცენტრ. გამგეობის მუშაობა

პირველად ყრილობამ მოისმინა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ხ. დიმიტრაშვილის მოხსენება ც. გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ორატორი ახასიათებს ხის დამამუშავებელთა კავშირის მდგომარეობას და მოჰყავს ციფრები კავშირის წევრთა რიცხვის, უმუშევართა მდგომარეობის და სხვ. შესახებ. სულ ამჟამად კავშირი აერთიანებს 2532 წევრს. აქედან უმუშევართა რიცხვი უდრის 460 კაცს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საწარმოო თათბირების საქმიანობაზე და აღნიშნავს, რომ ამ დარგში მიღწეულია დიდი შედეგები.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი ვ. ჩხაიძე, რომელმაც დაახასიათა კავშირის ც. გამგეობის საქმიანობა, მის მიერ გაწეული ხარჯები და სხ.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ დაიწყო კამათი.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე, 14 მარტს დილით, გრძელდებოდა კამათი ამხ. ხ. დიმიტრაშვილის და ვ. ჩხაიძის მოხსენებათა გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ცაგურიამ, მურადოვმა, ხოფერიამ და სხ.

გამოსული ორატორები ეხებოდენ სპეცტანისამოსების დარიგების დაგვიანებას, საწევრო ვადასახადების შეკრების მოუწესრიგებლობას, საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლების საჭიროებას და სხ.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მომხსენებლის საპასუხო სიტყვა, რის შემდეგაც ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულია ცენტრ. გამგეობის მუშაობა, ხოლო დაწვრილებითი რეზოლიუციის გამომუშავება მიენდო ყრილობის პრეზიდიუმს.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა კავშირის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. სიდოროვი. ამხ. სიდოროვი აღნიშნავს, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ხის დამამუშავებელთა პროფკავშირი ითვლება ერთ-ერთ ძლიერ კავშირად, რომელიც აერთიანებს 170.000 წევრს.

შემდეგ ორატორი ეხება ცკას მუშაობის დანარჩენ მომენტებს და ამბობს, რომ გასული სამუშაო პერიოდის განმავლობაში ცენტრ. კომიტეტს აქვს მეტად დიდი მიღწევები, როგორც საორგანიზაციო, ისე სატარიფო-საეკონომიო მუშაობაში.

ა.-კ. ფინკონტროლის

მუშაკთა თათბირი.

13 მარტს სექციების მიერ შემუშავებული რეზოლიუციების მიღების შემდეგ დამთავრდა ამიერ-კავკასიის ფინკონტროლის მუშაკთა თათბირი.

ვინაიდან საბიუჯეტო და საანგარიშო დისციპლინა რესპუბლიკებში განმტკიცდა, თათბირმა დროულად სცნო ფინკონტროლის რეფორმა და დოკუმენტალური რევიზიიდან სხვა ფორმებზე (ფაქტიურ) გადასვლა.

თათბირმა აუცილებლად სცნო სათემო, საუბნო აღმასკომების სარევიზიო კომისიების მუშაობის გაძლიერება და ანგარიშ-წარმოების მოწესრიგება მაზრებში.

თათბირმა დაადგინა გააძლიეროს სარევიზიო საქმიანობა ირიგაციის დარგში. სასურველად იქნა ცნობილი, რომ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველომ გააძლიეროს ინსტრუქციების მიცემა რესპუბლიკანურ საკონტროლო განყოფილებებისათვის.

თათბირმა აუცილებლად სცნო, რომ დებულებას სახელმწიფო-საფინანსო კონტროლის შესახებ დაერთვას განსაზღვრული დამატებები ადგილობრივი პირობების მიხედვით.

კატასტროფა აჭარის წყალის ჰიდრო ელსადგურზე

(საუბარი ინჟ. გ. შახ-ბუდაგოვთან)

თბილისში დაბრუნდა კომისია, რომელმაც გამოიკვლია კატასტროფის მიზეზები აჭარისწყლის ჰიდრო - ელსადგურზე.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა იყო მიზეზი კატასტროფისა, კომისიის წევრმა ინჟ. გრ. შახ - ბუდაგოვმა განაცხადა:

უბედურ შემთხვევის მიზეზი მდგომარეობს ერთის მხრივ არა ხელსაყრელ მდგომარეობათა თავმოყრაში. სახელდობრ — კლდის სისუსტე შემჩნეულ იქნა და ჩამონგრევა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ტეხნიკური პერსონალი ათვალიერებდა კლდის გაბზარვის ადგილს „საფსკერო" გვირაბში.

გამოირკვა, რომ პირველად ბზარვა შემჩნია ათისთავმა, რომელმაც გამოუძახა ინჟ. კალაშნიკოვს. ინჟ. კალაშნიკოვი ჩავიდა გვირაბში ინჟ. სტალინოვთან და სხვებთან ერთად. ამ დროს მათ შემჩნიეს გაბზარულ კლდის მოძრაობა, ასტეხეს ყვირილი „თავს უშველეთ"-ო, ზოგიერთებმა მოასწრეს გაქცევა შემთხვევის ადგილიდან და თავს უშველეს. დაღუპულ ამხანაგებმა ვერ მოასწრეს გაქცევა და მოჰყვენ ნანგრევებში.

ინჟ. კალაშნიკოვი მისრესილი იყო კლდეზე, იგი უცბად არ გარდაცვლილა და მოკვდა დიდ წვალებაში. იგი ნახევრად იყო ჩაფლული ნანგრევებში, [illegible]

მეორეს მხრივ კატასტროფა მოხდა იმის გამო, რომ მდინარის გასაშვებად „საფსკერო" გვირაბში იყო მუშაობის დაჩქარება. უამისოდ შეუძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება ჯებირის ასაგებათ.

ამასთანავე გამოირკვა, რომ სადგურის აშენების დროს სარგებლობდენ მუშაობის ისეთი გეგმებით და მეთოდით, რომლებსაც არ შეეძლო უზრუნველეყოთ მუშაობის წარმატება და უშიშროება. ეს მით უმეტეს, რომ აჭარისწყლის ჰიდრო - ელსადგურის შენების პირობები გაცილებით ძნელია, ვინემ „ზაჰესი"-ს და გათვალისწინებულ რიონის ჰიდრო - ელსადგურის.

დაწვრილებითი დასკვნა კომისიამ წარუდგინა საქართველოს მთავრობას.

დაღუპულთა გვამები დიდის პატივით დაკრძალეს. დაკრძალვას დაესწრენ აჭარისტანის მთავრობის წევრები და ყველა მუშა, რომლებიც მუშაობენ სადგურის აგებაზე. ინჟ. კალაშნიკოვი და სხვა დაღუპულები დიდის პატივისცემით სარგებლობდენ მუშებში.

გვამები დაკრძალეს სადგურთან, ამაღლებულ ადგილზე ძმურ სამარეში. განზრახულია მათ საფლავზე ძეგლის აგება.

დაღუპულთა დაკრძალვა

ბათომი, 14 მარტი. 12 მარტს სოფელ მახუნცეტში სადაც შენდება აჭარის წყალის ჰიდრო ელსადგური, შესდგა 9 მარტს კატასტროფის დროს დაღუპულთა: სამუშაოთა ხელმძღვანელი ინჟინერის ი. მ. კალაშნიკოვის, გვირაბის ინჟინერის ა. ა. სტალნოვის, ამომხვრელ ხელოსანის ბ.ბუფმისტენკოს და პოლიანსკის დაკრძალვა. დაკრძალვაზე დასასწრებლად მახუნცეტში ბათომიდან ჩამოვიდნენ აჭარისტანის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები, ყველა ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენლები და აგრეთვე ჰიდრო-სადგურის სამმართველო მთელი შემადგენლობით, მუშები, მოსამსახურეები, პრესის წარმომადგენლები და სხვა.

დაკრძალვის დღეს მუშაობა ჰიდროსადგურზე შეწყვეტილი იყო.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ ცხელიშვილმა, რომელმაც განაცხადა: „ისინი დაიღუპენ თავისი მოვალეობის აღსრულების დროს, როცა მუშაობდნენ ყველასათვის, მომავლისათვის". აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გამყრელიძემ სთქვა: „მათი სიკვდილი სახელოვან პოსტზე ნათელი მაგალითი უნდა იყოს ყოველი მუშისათვის, შრომის არმიის ყოველი სინდისიერი წევრისათვის, რომელიც იბრძვის სოციალიზმის განხორციელებისათვის".

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ხარაბაძემ, ინჟინერმა აბდულინმა, ცეკმა და სხვებმა. წაკითხულ იქნა სამძიმარის დეპეშები სრულიად საქართველოს ინჟინერთა და ტეხნიკურ ძალთა მესამე ყრილობისაგან, ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგურის სამუშაოთა უფროს ინჟინერ ჰეპინაძისაგან, ამხ. ლუკაშენისაგან და სხ.

დაკრძალვის ადგილას მთის წვერზე, რომლის ქვეშაც უნდა გაიროს გვირაბმა, გარდაცვლილთა კუბოები წაიღეს ხელით: მთავრობის წევრებმა ამხანაგებმა და თანამოსამსახურეებმა.

საფლავზე დადგმულ იქნა დროებითი ძეგლი.

მთავრობის კომისიამ დაადგინა უზრუნველჰყოს დაღუპულთა ოჯახები მუდმივი პენსიით. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

წევრთა წლიური კრება

კვირას, 13 მარტს, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის დიდ დარბაზში შესდგა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებაზე საზოგადოების გამგეობის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა აგრ. ი. ლომაური. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ჩატარებული მუშაობა, შეჩერდა იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიდენ საზოგადოების მუშაობის გაფართოებას და აღნიშნა, რომ მიუხედავათ ბევრნაირი დამაბრკოლებელი მიზეზებისა წარსული წლის განმავლობაში მაინც ბევრი რამ გაკეთდა.

მომხსენებლის აზრით მუშაობის გამოსაცოცხლებლად საჭირო გახდება გამგეობის შემადგენლობის მიზანშეწონილი შერჩევა, თანხების შოვნა და საზოგადოების განყოფილებების გახსნა მთელ რიგ რაიონებში. წარსული საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებამ უკვე გაუხსნია თავისი ფილიალური განყოფილება აჭარისტანში.

მომხსენებლის აზრით საზოგადოების მუშაობას ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდა აგრონომიული მეცნიერებების გაცხოველებისა და განვითარებაზე. ცენტრში სისტემატიურად ეწყობოდა მოხსენებები სხვადასხვა აგრონომიული ხასიათის საკითხებზე. საზოგადოების მუშაობის წყალობით, ჩვენში უკვე სრულიად ჩამოყალიბებულია აგრონომიული აზროვნება, რაც ხელს უწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის შესწავლას.

საზოგადოების ახალი გამგეობა

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია საზოგადოების ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ვ. კანდელაკი (თავმჯდომარე), ი. ლომაური, ვ. ლვალაძე, გ. ახათიანი, ვ. ჯაში, შ. ნადარეიშვილი, გ. რცხილაძე, ნ. იაშვილი და შ. მეხხი.

ქრონიკა

პროფ. მელიქიშვილის ავადმყოფობა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი 12 მარტს მიიყვანეს სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში მარცხენა ხელის მაჩვენებელ თითის განგრენის გამო, რაც თითში დანის შესობითაა გამოწვეული.

ჭრილობის ამგვარი გართულება შედეგია შაქრის დიაბეტის, რითაც პროფ. პ. მელიქიშვილი უკვე რამდენიმე წელიწადია შეპყრობილი.

კონსილიუმმა პროფესორების ალადაშვილის, მიქელაძის, მაჭავარიანის, მუხაძის და კახიანის შემადგენლობით მდგომარეობა მძიმეთ იცნო. 14 მარტს საღამოთი მაჯა 110 არითმიით, სიცხე—38,8; დროგამოშვებით ბოდავს.

პროფ. პლეტნევის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პროფესორი პლეტნევი.

პოლონეთის კონსულის მილოცვა

გუშინ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიის მთავრობასთან ამხ. კარკლინმა პოლონეთის გენერალური კონსულის მოვალეობის აღმასრულებელისაგან თბილისში მიიღო შემდეგი მისალმებელი დეპეშა:

„ბატონო რწმუნებულო! თვითმპყრობელობის დამხობის ათი წლის თავზე, რომლის დღესასწაულსაც უერთდება ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის ხუთი წლის თავის დღესასწაული, კეთილ ინებეთ ბატონო რწმუნებულო გადასცეთ ამიერ-კავკ. სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას ჩემი სურვილი ნათელი მომავლისა ამიერ-კავკასიის ერების გაფურჩქვნისა და კეთილდღეობის გზაზე.

მიიღეთ ბატონო რწმუნებულო ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

პოლონეთის გენერალური კონსულის მოვალეობის აღმასრულებელი თბილისში **მოსტოვსკი**".

ზაჰესის სამუშაოთა დათვალიერება

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფინსახკომის საბიუჯეტო სამმართველოს ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. ს. გურევიჩი.

ამხ. გურევიჩის გადმოცემით, ამ დღეებში თბილისში ჩამოვა საბჭოთა კავშირის ფინსახკომისარიატის თათბირის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია.

კომისიის ჩამოსვლის მიზანია ზაჰესის სამუშაოთა დათვალიერება და მისი ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა.

კომისიის ჩამოსვლის მიზანია აგრეთვე გამოარკვიოს საკითხი—ზაჰესის საბოლოოდ ამუშავების შესახებ.

საზამთრო საკურორტო კამპანია

რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველოს ცნობებით, საზამთრო საკურორტო კამპანია დამთავრდა. სულ საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებზე და სანატორიუმებში ზამთრის განმავლობაში საქართველოდან გაიგზავნა 405 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე. მათ შორის არაზინდოში — 245. აბასთუმანში — 24, ქობულეთში — 120, სოხუმში — 24, კისლოვოდსკში — 15. არაზინდოში ავადმყოფები იგზავნებოდენ თვენახევრით, ქობულეთში — 5 კვირით, სოხუმში — თვენახევრით, კისლოვოდსკში — 5 კვირით და აბასთუმანში თვენახევრით.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიაში შემდეგი ახალი წიგნები: სანდრო შანშიაშვილი — „დრამები" 422 გვერდი, ფასი 3 მ. წიგნი შეიცავს შემდეგ დრამებს: „ჰერეთის გმირები", „სპარტაკ", „ლატავრა", „ბერდო ზმანია", „უგვირგვინო მეფენი" და „როდამ".

კ. ორაგველიძე — ქართველ მენშევიკების აგრარული „რეფორმა", ფასი 50 კაპ., 94 გვერ.

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ

მიმდინარე წლის პირველ კვარტალის ანგარიშში საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა უმუშევრობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად ფინანსთა კომისარიატიდან მიიღო 51.240 მანეთი. ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: თბილისის უმუშევართა კოლექტივებისათვის და საზოგადო სამუშაოებისათვის გადადებულია 41.000 მანეთი, ქუთაისისთვის — 6.240 მანეთი, ბათომს — 2.904 მანეთი. სათადარიგო თანხაში გადაირიცხა 596 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ სანიტარულ პირობების დაცვის მიზნით სანიტსექციას დაევალა შეუდგეს ეზოების დათვალიერებას.

◆ კეთილმოწყობა. კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა გარეუბნებში ქუჩების შეკეთება-გაფართოებას.

◆ ქოხ - სამკითხველოებთან მაზრაში განზრახულია მოეწყოს სანიტკუთხეები.

◆ მეეზოვეებს წინადადება მიეცათ სასტიკათ დაიცვან ქუჩებში სისუფთავე და ქუჩები დაგვის შემდეგ მორწყონ დღეში ორჯერ.

სხვა და სხვა

◆ ახალი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები სახელმწიფო ბანკის ცნობით, დარიგდება 25 მარტიდან.

◆ კეთრი. თებერვალში აღრიცხული იქნა კეთრის დაავადების შემთხვევა სულ 19. აქედან თბილისში 11.

◆ კბილის საექიმო კაბინეტების რიცხვი ამჟამად მთელ რესპუბლიკაში უდრის 80.

შეცდომის გასწორება

ამხ. მიხა ცხაკაიას წერილში, „თებერვალ-მარტის რევოლიუციის 10 წ. თავი და ა.-კ. ფედერაციის 5 წ. თავი", რომელიც ჩვენი გაზეთის № 57-ია მოთავსებული, შემდეგი შეცდომები გაიპარა, ფელეტონის მეორე სვეტში სწერია: „...მასთანავე არ დაივიწყებენ, თუ იმ განვლილ ხანს, დიდი ოქტომბრის მზადობიანობის დროს" უნდა იყოს „...დიდი ოქტომბრის მშობიარობის დროს"... ფელეტონის უკანასკნელ (მეთორმეტე) სვეტში აბზაცში „გაუმარჯოს მოძმე ხალხებს—აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს, სომხებს, ქურთებს, თურქებს და მრავალთა სხვათა"—შეცდომით გამოტოვებულია—ქართველებს.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

შრომის ბირჟის კვალიფიციურ მუშათა სექცია დღეს სამუშაოზე გზავნის, შემდეგ პირებს: კ. ბალდახაროვი, ვ. არჩუაძე, ლ. პოგოსოვი. გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: ნ. უზნაძე და მ. დიდებულიძეს. ფიზიკურ მუშაკთა, მესამე სექცია ი. ბროინიკოვსკაია, გ. გრიგორიევი. ამასთან შრომის ბირჟის მედიკური სექცია აგზავნის რესპუბლიკის მაზრებსა და ქალაქებში მსურველ მუშაკებს. საჭიროა ქ. სოხუმში ერთი გამოცდილი პროვიზორი (აფთიაქის გამგეთ) ჯამაგირი — 150 მანეთი და ამასთან მიეცემა გზის ხარჯების დასაფარავი ფული.

ქ. ახალქალაქის აფთიაქში — ერთი ასისტენტი ჯამაგირი 71 მ.—40 კაპ., მსურველებს დაწვრილებითი პირობების გაგება შეუძლიათ შრომის ბირჟაში.

შემთხვევები

◆ დაჭრა. 13 მარტს კახეთის ქუჩაზე უცნობმა ბოროტმოქმედმა დანით დასჭრა წალკის მცხოვრები აბრამ აკოფის ძე მოსესიანი.

◆ ბავშვის გვამი. 13 მარტს კამოს ქუჩაზე ღობის ძირას ნაპოვნი იქნა ახლად დაბადებული ბავშვის გვამი. ბავშვი, როგორც სჩანს, დაღუპულა [illegible].

◆ მორგებული გასაღების საშუალებით ბელგის ქ. 1 მარიამ მიქაძის ბინიდან მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

◆ რკინისგზის მე-10 ათასეულიდან სახაზინო ნივთების მოპარვისათვის დააპატიმრეს ოსიპ ზანზაზოვი.

◆ მე-2 შრომის სკოლიდან უცნობმა ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვადასხვა სასკოლო ნივთები.

◆ სახელოსნოს გაქურდვა. 13 მარტს კირკის ქ. № 4, ღამით გაქურდეს ლონგულაშვილის სახელოსნო.

◆ სასადილო „სიცოცხლე"-დან პლეხ. გამზირი 116 13 მარტს მოიპარეს 250 მ. ნივთები. ეჭვით შეპყრობილია ვახე ფაშა.

◆ კირკის და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში მოქ. იაქსიმოვს ამოაცალეს სხვადასხვა საბუთები და ფული.

◆ ბოქლომის გატეხვის საშუალებით ანდრეევის ქ. № 53, გაქურდეს იაკობ სიმონოვის ბინა.

◆ ვერ მოასწრეს. 12 მარტს ბაქოს ქ. № 1, უცნობმა ბოროტმოქმედებმა გატეხეს ივანე ჩემიას ბინა, მაგრამ ნივთების წაღება ვერ მოასწრეს. დააპატიმრეს გიორგი ვასილიანცი.

◆ სადგურის მოედანზე ანნა ცხოვრებაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე. მიღებული ზომებით ჯიბგირი თემურ შენიძე იქნა დაპატიმრებული.

◆ ზაჰესში ბიქტორ ნიკოლოზის ძე ლებერტს ღია ოთახში მოპარეს 75 მანეთი.

◆ თივის მოედანზე. 12 მარტს გლეხს იოსებ პაპუაშვილს მოპარეს ერთი ტომარა სხვადასხვა ნივთებით სავსე. ქურდები გიორგი ლაჩინაძე და ლევან ნასყიდაძე დააპატიმრეს.

◆ სოფ. დიღომში ჭერის ანგრევის საშუალებით გაქურდეს კოოპერატივი. დააპატიმრეს გიორგი ხოსიტაშვილი და ასტანა კოტორიშვილი.

◆ კარების შემტვრევის საშუალებით ბაზრის ქ. № 5, გაქურდეს გერასიმე ცაბაძის ბინა.

◆ მემწვანილეთა ბაზარში არტემ სულაგაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 23 მანეთი.

◆ პუშკინის ქუჩაზე ალექსანდრა ბარინშის ფურგუნიდან მოპარეს მანგლისის კოოპერატივის კუთვნილი ერთი ტომარა შაქარი.

100.000 ფ. სიმინდი
დასავლეთ საქართველოსათვის

ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებში (განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმის) სიმინდის ნაკლებობას აქვს ადგილი, ქუთაისის მუშკოოპმა შუამდგომლობა აღძრა შინა-ვაჭრობის სახკომის წინაშე, რათა მისთვის ნება მიეცათ უშუალოდ შემოეზიდა ჩრდილოეთ-კავკასიიდან 150.000 ფ. სიმინდი. შინა-ვაჭრობის რწმუნ. სამმართველომ შესაძლებლად დაინახა ქუთაისის მუშკოოპისათვის უფლება მიეცა თვითონ დაემზადებია და შემოეზიდა ჩრდილო-კავკასიიდან 100.000 ფ. სიმინდი, რისთვისაც სათანადო შუამდგომლობა აღძრა ქ. გროზნოს შინა-ვაჭრობის სახკომატის წინაშე.

კანაფი ამიერ-კავკასიაში

საქციო საზოგადოება „კანაფი"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების გამგემ ამხ. ზანდურინმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში კანაფის კულტურის შესახებ ამიერ-კავკასიაში განაცხადა შემდეგი:

მიმდინარე წელში განზრახული იყო კანაფი ამიერ-კავკასიაში დათესილიყო 3.000 დესეტინაზე.

მაგრამ ჩვენი ანგარიში არ გამართლდა არა ჩვეულებრივ წვიმების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა სპარსეთში. წვიმების გამო დაილუპა კანაფის ნათესების დიდ ნაწილი და ჩვენ 17 ათას ფუთ თესლის მაგივრად მივიღეთ მხოლოდ 240 ფუთი და ამიტომ გლეხების მოთხოვნილება კანაფის თესლზე დაუკმაყოფილებელი დარჩა. საკუთარ თესლის არსებულ მარაგიდან წელს ამიერ-კავკასიაში კანაფი დათესილ იქნება 55 დესეტინაზე.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პერსპექტიული გეგმის მიხედვით, ხუთი წლის განმავლობაში კანაფის ნათესების სივრცე ამიერ-კავკასიაში გადიდებული უნდა იქნეს 14 ათას დესეტინამდე.

რაც შეეხება კანაფის მოყვანისათვის საჭირო კლიმატიურ და ეკონომიურ პირობებს. ამიერ-კავკასიაში პირველ ადგილზე სდგას საქართველო.

თესვის კამპანია დაიწყება აპრილის პირველ რიცხვებში.

რკინისგზეგზე

მთავარ სახელოსნოს გადაკეთება

თბილისის მთავარ სახელოსნოების სამილე განყოფილების აგება დამთავრდება მარტი-აპრილის განმავლობაში.

ამის შემდეგ დაიწყება სახელოსნოების ამკარებ საამქროს გადაკეთება.

ეკონომიური პირობების გამომკვლევ კომისიის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკასიის რაიონის ეკონომიური პირობების გამომკვლევი კომისია.

კომისიის თავმჯდომარემ ინჟ. ე. რაბენმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში კომისიის მიმდინარე მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

აღნიშნული კომისია დაარსებულია საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რკინისგზის საამშენებლო ცენტრალურ განყოფილებასთან.

ეს კომისია არდვენს რკინისგზის აღმშენებლობის გასაფართოებელ გენერალურ გეგმებს—სახელმწიფო საგეგმო კომისიის გეგმების მიხედვით.

კომისიის მუშაობის პროგრამა განისაზღვრება იმით, რომ შეაგროვოს ცნობები ამიერ-კავკასიაში სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ.

ამჟამად კომისია დაინტერესებულია აგრეთვე გამოარკვიოს ტრანსპორტის მდგომარეობა და მისი საჭიროებანი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით.

გამომუშავებული იქნება მთელი რიგი ღონისძიებანი რკინისგზის ქსელის გასაფართოვებლად და სხვ.

კომისიის მუშაობა დასრულდება საოპერაციო წლის ბოლოს.

სასამართლო

მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საქმე

ქუთაისი, 14 მარტი. მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა და მათ დამფარველთა საქმის გარჩევა დაიწყება 17 მარტს ქალაქ ქუთაისში (ადს).

ალ. გულისაშვილის და სხვათა საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **იგიტოვის** და **დონდუაშვილის** და პროკურორ **ბესელიას** მონაწილეობით გაირჩა **ალექსანდრე გულისაშვილის, ვლადიმერ ბერგანის და ხაიმ ლეზგიშვილის** საქმე.

ბრალდებული გულისაშვილი წინედ მსახურებდა სამხედრო კომისარიატში.

გულისაშვილმა გამართა მოლაპარაკება ჯარში მიმღებ კომისიის წევრთან ექიმ კ. არდიშვილთან მოქ. ბერგანის სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ. არდიშვილი დათანხმდა.

არდიშვილმა ბერგანი სცნო უვარგისად და გაანთავისუფლა სამხედრო სამსახურისაგან. სინამდვილეში კი ბერგანი ჯანსაღი კაცი იყო.

გულისაშვილმა ბერგანისაგან „ჯილდოთ" მიიღო 120 მანეთი; ხოლო 50 მანეთი მისცა ექიმ არდიშვილს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ექიმი არდიშვილი გარდაიცვალა.

მოქ. ლეზგიშვილმა გამართა მოლაპარაკება გულისაშვილთან ამგვარი ხრიკებით. მისი სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ მათი ოინები გამომჟღავნდა.

სასამართლომ ბრალდებულ გულისაშვილს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ბერგანს და ლეზგიშვილს კი 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამნისტიის ძალით, ყველა ბრალდებულნი განთავისუფლებულნი იქნენ სასჯელისაგან.

ბოროტმოქმედება შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირში

(ედიბერიძის და ქურდოვანიძის საქმე)

მეოთხე სხდომა

სასამართლოს მეოთხე სხდომა შესდგა შაბათს, 12 მარტს, ხელოსანთა კლუბში (პლეხანოვის გამზირი № 66).

დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები.

მოწმე **ადამიანი** (სარევიზიო კომისიის წევრი) აღნიშნავს, რომ რევიზიის დროს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ **ნიკოლენკომ** ვადასცა მას წერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მოლარე ედიბერიძემ იყიდა სახლი თბილისში და საერთოდ ედიბერიძე ხელგაშლილ ცხოვრებას ეწევა. ამ წერილთან დაკავშირებით მოხდენილ იქნა სალაროს ვრცელი რევიზია, მაგრამ გაფლანგვის ფაქტი არ დადასტურდა.

რევიზიით გამოირკვა, რომ მოლარე ედიბერიძეს დაეხია მხოლოდ ერთი ორდერი.

მოწმის სიტყვით, ბუჰჰალტერი ქურდოვანიძე სუსტი მომუშავე იყო.

ქურდოვანიძე, როგორც ბუჰჰალტერი ვალდებული იყო ყოველდღიურად გადაესინჯა სალაროს წიგნები, მაგრამ ის ამას არ სჩადიოდა.

ბრალდებული ქურდოვანიძე რევიზიას გულგრილათ ეკიდებოდა.

მოწმე ნიკოლენკოს სიტყვით, ქურდოვანიძეს ეშინოდა სალაროს წიგნებში ხელის მოწერის.

მოწმე **ბუდიანცი** ლაპარაკობს, რომ მოლარეს არ შეეძლო მიეთვისებია ფული ისე, რომ ეს არ სცოდნოდა ბუჰჰალტერს.

მოწმე **ჩიქვანაია** აღნიშნავს, რომ გამსახლში ედიბერიძესა და ქურდოვანიძეს შორის იყო ლაპარაკი.

ლაპარაკის დროს ედიბერიძემ აღუთქვა ქურდოვანიძეს „ამ საქმიდან განთავისუფლება" იმ შემთხვევაში, თუ მას ქურდოვანიძე მისცემდა სახლს. პირველად ქურდოვანიძე დათანხმდა ედიბერიძის წინადადებაზე, შემდეგ კი გადაიფიქრა და უარი განაცხადა.

გუშინდელი სხდომა შესდგა ოლქის სასამართლოს დარბაზში.

მოწმე **გოგოშიძე** (კავშირის ყოფილი თავმჯდომარე) ბრალდებულ ქურდოვანიძეს ახასიათებს, როგორც სუსტ მუშაკს.

დაკითხულ იქნა აგრეთვე რამოდენიმე მოწმე.

გამოირკვა, რომ ედიბერიძე და ქურდოვანიძე კარგათ სცხოვრობდენ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

მიგაისა და სტეპანოვას გასტროლი

„სნეგუროჩკა"

საჭიროა მივესალმოთ რიმსკი-კორსაკოვის ამ მშვენიერი ნაწარმოების განახლებას სახელმწიფო ოპერის სცენაზე. მუსიკალურ ფორმებში რუსულ ხალხური ეპოსის ჩამოყალიბების უდიდესმა ოსტატმა, კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა თავისი „სნეგუროჩკა" შემოსა საზეიმო სამოსით. მთელი ეს ოპერა თავიდან ბოლომდე აღსავსეა უაღრესად ლამაზი მელოდიებით, რომლებიც ნათლად გამოხატავენ რუსულ ზღაპრულ ქვეყანას. მთელ ოპერაში დაცულია ხალხური სიმღერების მუსიკალური სტილი და გადმოცემულია ხალხური ზნე-ჩვეულება და მსოფლმხედველობა. ოპერის მოსმენის დროს ძალაუნებურად ისვენებ ხალას და ნათელ ზღაპრულ ფანტაზიაში. ოპერის სიუჟეტი აღებულია ოსტროვსკის მშვენიერ საგაზაფხულო ზღაპრიდან. სიმბოლიურად არის გატარებული მზის სითბოს, ცხოველმყოფელი გაზაფხულის ალერსის ძლევამოსილობის იდეა, რომელიც სძლევს ზამთრისა და სუსხის იდეას. მოქმედება სწარმოებს ზღაპრულ წინაისტორიულ დროს, ბერენდეევების (ზღაპრული წარმოდგენა) ბედნიერ ქვეყანაში, სადაც სიცოცხლე-სიხარულია და სადაც შესტრფიან სიყვარულს და მის გამომხატველს მზეს (ღმერთი იარილი ზღაპრულ მითოლოგიაში).

ოპერის მხატვრული გადმოცემისთვის საჭიროა არა მარტო ჩამოკვეთილი ვოკალური შესრულება, არამედ ოსტროვსკის ზღაპარში მოქმედ პირთა ნამდვილი ასახვა. ოპერის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს სნეგუროჩკა, ქალარა—ყინვის და მშვენება-გაზაფხულის შვილი. **სტეპანოვამ** თავისი შესრულებით მშვენივრად ასახა სნეგუროჩკას ეს პოეტური სახე: ცივი, უგრძნობი, ყოველგვარ ადამიანურ განცდებს მოკლებული ქალი—სნეგუროჩკა ოპერის დასაწყისში (პროლოგი და პირველი ორი მოქმედება) და მოსიყვარულე, ადამიანური ღრმა გრძნობებით აღსავსე—ოპერის შემდეგ განვითარებაში, იმის შემდეგ, რაც სნეგუროჩკამ თავისი დედისაგან—გაზაფხულისაგან მიიღო „სულიერი სითბო". მშვენიერია ვოკალური შესრულება; მისი ხმა მოგაგონებთ მხატვრული სიმებიანი ინსტრუმენტის ხმას. რამოდენიმეჯერ არღვევდა ილიუზიას მსახიობ-ქალის გარეგანი სახე-სტილიურად სუსტი და ახალგაზრდა ქალის ფიგურის შეუფერებელი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მსახიობი-ქალი იძლევა მხატვრულ, და მშვენიერ სახეს.

მშვენივრად ასრულებს დედოფალას პარტიას ბოგოლეპოვა. კარგია ბედნიერების განცდის კონსტრასტები და, აგრეთვე, საყვარელ კაცისაგან მიტოვებული ახალგაზრდა-ქალის უბედურების ასახვა. კარგია განრისხების და შერიგების ადგილები. სასურველია მეტი ხმოვანება სცენაში მიზგირთან და უფრო გამოკვეთილი დიქცია.

ახალგაზრდა მწყემსი ლელის ეპიურ და სტილიურ სახეს იძლევა **ვოლჩანეცკაია**. ორივე სიმღერა მუსიკალურად და ლამაზად არის შესრულებული, განსაკუთრებით მეორე.

შვენება-გაზაფხულის პარტია მეტად ძნელია ვოკალურის მხრივ; მას აქვს დიდი ინტერვალები და აგებულია ნახევარ ტონებზე, ამისთვის საჭიროა გაშლილი სასიამოვნო ხმა. **მაყაშვილს** ეს პარტია კარგად აქვს დამუშავებული, დეტალური დამუშავების შემდეგ ეს პარტია იქნება ერთი საუკეთესო პარტიათაგანი მომღერალი-ქალის რეპერტუარში.

კომიკური ბობილიხა—**დობრჟანსკაია** არ აშარჟებს.

მიგაი მშვენივრად ასრულებს მიზგირის პარტიის ვოკალურ მხარეს. მას დაცული აქვს ეპიური სახე. სიმღერაში ბევრი ნათელ-ჩრდილოვანი ადგილებია. ვოკალური შესრულების საუკეთესო ადგილია მე-3 აქტიდან ბოლომდე. მსახიობი მკვეთრად გადმოგვცემს მის განცდებს და გრძნობებს სნეგუროჩკასადმი და, აგრეთვე მისი დაკარგვით გამოწვეულ სასოწარკვეთილებას. ვერ არის დამაკმაყოფილებელი მსახიობის გარეგანი სახე, ის ვერ მოგვაგონებს რუს ვაჟკაცს.

დამაკმაყოფილებლად გაუმკლავდა მოხუც მეფე ბერენდეის პოეტურ სახეს **ზვიაგინი**, მაგრამ მეფის მშვენიერი არიოზო (ბუნების ჰიმნი) მოითხოვს უფრო დასრულებულ შესრულებას, უფრო მეტ კანტილენას და ამასთან ერთად ზედმეტია ვოკალურ ეფექტის გამოყენება არიოზოს ბოლოში.

კომიკურია ბურმიტის როლში **დემიანენკო**.

დამაკმაყოფილებლად ჩაატარა ბაღარა-ყინვის როლი **სოკოვნინმა**.

კარგი იქნებოდა, რომ არ აშარჟებდეს ბობილის როლს **ფასტოვსკი**.

სტოლერმანმა მრავალი ლამაზი ადგილი მოგვცა ორკესტრში.

კარგია „ყველიერის" გუნდობრივი შესრულება. ცოტა უხეშია კაცების ბალეტი, ჯამბაზების ცეკვა. მხოლოდ **ბარხუდაროვია** ნამდვილად კომიკური, ყოველგვარი შარჟის გარეშე, მთვრალი დედაკაცის როლში. კარგად ცეკვავს კორდებალეტი (ფრინველთა ცეკვა). კარგია დადგმა.

ვ. ზ.

მუშათა თეატრი

„რობერტ ტიმ", დრ. 4 მოქმ. ა. აფინოგენოვისა, დადგმა ვახ. აბაშიძისა და მ. ქორელის.

ა. აფინოგენოვის დრამის „რობერტ „ტიმ"-ის ფაბულას წარმოადგენს მანქანების შემოღების წინააღმდეგ მებრძოლი ფარული საზოგადოების ისტორია. მოძრაობა დამყარებულია მუშათა კლასის მოუმზადებლობაზე, მოძრაობა კონსერვატიული და ამდენად უიმედო და განწირული ავტორის მიერ [illegible] დრამების გმირულ-რომანტიულ სულისკვეთებაში.

ახალგაზრდა რეჟისორს ბევრი შრომა დაუხარჯავ პიესის სცენიურად გაცოცხლებისათვის და როგორც მთელ სპექტაკლში, ისე ზოგიერთ სცენებში, განსაკუთრებით მუშათა თეატრის წინანდელ დადგმებთან შედარებით, არის ერთგვარი მიღწევები.

ამ მხრივ გამოიყოფა პირველი მოქმედება. აქ როგორც გარეგნულ სცენიურ გაფორმებაში, დეკორაციების მძიმე ფერებში, ისე მოძრაობის სიტყვის ნერვიულ დინამიკაში არის გადმოცემული შეთქმულების მშფოთარე განწყობილება. კარგია როგორც დეკორატიული სურათი, ისე ჯგუფების კომპოზიცია უკანასკნელ სცენაში. სუსტია მეორე მოქმედება. ჯანყი „კულისების მიღმა", გაურკვეველი მუქარა და აღშფოთება მხოლოდ ბუნდოვან ხმაურის სახით აღწევს აუდიტორიამდის. პრიმიტიულია სცენიური ეფექტები მეოთხე სურათში. სუსტი კაკუნი აღნიშნავს მანქანების აფეთქებას. საერთოდ ეს სცენა მონოტონურად მიმდინარეობს. აქ თავისუფლად შეიძლებოდა დარაჯების მოსაწყინარი, აუდიტორიისათვის უცხო რელიგიური დისპუტის შემოკლება ან სრულიად ამოღება.

შესრულებაშიც არის ერთგვარი მიღწევები, თუმცა არა მთელი ანსამბლით. მს. დუდე ძნელაძემ თავიდანვე რბილ ლირიულ შტრიხებში მოხაზა მეამბოხეთა ბელადის ფიგურა (რობერტ). ამ მეოცნებე, რომანტიულ განწყობილებიდან გადასვლა მე-4 სურ. მოცემულ ბელადის მრისხანე, დიქტატორულ ტონზე, თავგანწირვის გმირულ პათოსზე უკვე ძნელი საქმეა. მომკვდომის გულწრფელობით, ღრმა განცდით იყო გადმოცემული მეგის როლი მს. ქალ ვერიკო ანჯაფარიძის მიერ. განსაკუთრებით კარგი იყო სცენა მექარხნესთან შეხვედრისა და უკანასკნელი სცენა. ახ. მსახ. მალალაშვილი სავსებით დაეუფლა გამცემელ ვილიამის მძიმე როლს.

სრულებით ვერ გაამართლა დესპოტ მექარხნის როლი მსახ. სიხარულიძემ. ეს ერთფეროვანი ისტერიული ყვირილი და ყალბი პათოსი არ არის საკმარისი ამ როლის მოსაცემად. ჩვეულებრივს ტემპერამენტით შეასრულა მისს ელენეს ეპიზოდიური როლი მსახ. ნ. მაჭავარიანმა. კარგია რეჯი (რომანიშვილი) დამახასიათებელია ჯონ (გვინჩიძე) და კლერკ (ოვანოვი).

შეფი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ს. მიგაი** დღეს იმღერებს „ევგენი ონეგინში".

◆ **კონსერვატორიაში** დღეს მე-107 შრომის სკოლის სასარგებლოდ გაიმართება კონცერტი ვიოლონჩელისტ ფერკელმანის მონაწილეობით.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება: „ამერიკელი ძია".

◆ **„გიული"**. აპრილის პირველ რიცხვებში თბილისის კინოებში ნაჩვენები ქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „გიული".

მეცნიერება და ტეხნიკა

მზის ულტრა-იისფერი სხივები და ოზონი

ამერიკელმა ბუნების მეტყველმა **ედისონ პეტიტმა** ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოარკვია, რომ ულტრა-იისფერი სხივების რაოდენობა მზის სინათლეში 1924 წ. შემდეგ ძლიერ გაიზარდა. ულტრა-იისფერი სხივების ეს გადიდება დაკავშირებულია მზის ლაქების გამრავლებასთან, რაც პერიოდულათ მეორდება ყოველ თერთმეტ წელიწადში.

თავისი ცდების დროს ულტრა-იისფერი სხივები გაატარა ოქროსა და ვერცხლის თხელ ფირფიტებში და ამავე დროს შეამოწმა ოზონის მოქმედება მათზე. ამისათვის მან საკონტროლო აპარატის წინ დადგა შუშის მილი და მზის სხივები ამ მილში გაატარა. ამ მილის ოზონით გავსების დროს საკონტროლო აპარატი აღნიშნავდა ულტრა-იისფერი სხივების გადიდებას ხუთი პროცენტით. ეს ცდა აშკარათ ამტკიცებს, თუ რა უდიდესი გავლენა აქვს ატმოსფერის ზედა-ფენებში დაგროვილ ოზონს იმ ულტრა-იისფერი სხივების რაოდენობაზე, რომლებიც დედამიწამდე აღწევენ.

სიყრუვის მკურნალობა

ინგლისელი ფიზიკოსი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი **გოვარდი** ცდებით დარწმუნდა, რომ ძლიერი ხმების საშუალებით, რომელიც ნორმალური სმენისათვის აუტანელია, შეიძლება სიყრუვის მოსპობა თორმეტი საათის ვადით. გოვარდმა დაამზადა შესაფერი აპარატი, რომლის მოქმედება მან შეამოწმა 20 ყრუზე. 17 მათგანის სმენა საგრძნობათ გაუმჯობესდა. საკმაო ბრის გოვარდის აპარატის მოქმედება ყრუს ყურებზე ნახევარი საათის განმავლობაში, რომ უკანასკნელს 12 საათით დაუბრუნდეს სმენა.

ხელოვნური ნავთი

ფრანგმა ქიმიკოსებმა მოახერხეს დამზადება ხელოვნური ნავთის, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ბუნებრივს. ხელოვნური ნავთი შეიძლება გადამუშავებული იქნეს ისევე, როგორც ბუნებრივი, ბენზინის, გაზოლინის და სხვა პროდუქტების მისაღებად.

ხელოვნური ნავთის მიღების წესებს საიდუმლოთ ინახავენ. საზოგადოებაში იციან მხოლოდ, რომ ახალი პროდუქტის მთავარი საფუძველია წყალბადისა და მჟავბადის ნარევი.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს, ივანე დრეიძეს

პასუხი

როგორც კავშირის უმუშევარმა წევრმა დახმარების მიღებისათვის თქვენ მიმართეთ თქვენი კავშირის ცენტრ. გამგეობას.

სოფ. პატარძეულის (გარე-კახეთი), დათა ზუკაკიშვილს

პასუხი

თანახმად საკავშირო საბჭოთა სოციალ. რესპუბ. სახკომსაბჭოს 1923 წლის 17 ივლისის დადგენილებისა, სართიჭალის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება პასუხს აგებს მატერიალურად თქვენ წინ, რადგანაც მას არ გადაუცია თქვენთვის ის ფული, რომელიც გაგზავნილია მის საშუალებით თქვენ სახელზე, თუმცა ფულის მიღების შესახებ ფ.-ტელ. განყოფილებას გაუცია სათანადო ქვითარი. გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართოთ ფოსტა-ტელეგრაფის სახკომატის რწმუნებულს საქართველოში.

სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრებ რკინისგზელს

(საკავშ. წიგნ. № 5717)

პასუხი

თანახმად საქართველოს ცაკის 1923 წლის 18 აგვისტოს დადგენილება № 51-ის მუხ. 2-ისა, არავითარი დავა იმ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის გამო, რომელიც წარმოიშვა 1921 წ. 25 თებერვლამდის, არ მიიღება განსახილველად რესპუბლიკის სასამართლოს და ან სხვა დაწესებულების მიერ. საბჭოთა კანონმდებლობა არ სცნობს დამხობილი მთავრობათა კანონ-წესებს და მათ დროინდელ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობას.

დასახიჩრების გამო პენსიის დანიშვნის შესახებ

სოფ. კურსების (ქუთაისის მაზრა) მცხ. სევერიან უკლებას.

პასუხი

მუშაობის დროს დასახიჩრების გამო (შრომის უნარის რამოდენიმე პროცენტის დაკარგვით) პენსიის დანიშვნის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ ქუთაისის დამზღვევ სალაროს სათანადო მოწმობების წარდგენით.

ბინის ქირის შესახებ

ტრამვაელ მუშას ნესტორ დიასამიძეს

პასუხი

ბინის ქირას გადაიხდით მხოლოდ ძირითადი ხელფასის მიხედვით. სახლის პატრონის მოთხოვნა უკანონოა. (იხ. საბინაო ტარიფ. მუხ. 5).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატისა

თანახმად ს. ს. ს. რ. ცაკ. და სახ. კომ. საბჭ. დადგენილებისა 1925 წ: იანვრის 30-ის ნაწ. 2, მუხ. 5. „საავტორო უფლების საფუძველი" (კან. კრებ. ს. ს. ს. რ: 1925 წ: № 7, მუხლი 67) და რ. ფ. ს. რ: ცენტრ. აღმასრ. კომ. სახ. კომ: საბჭ. დადგენილებისა 1926 წ. ოქტომბრის 1-ს, მუხლი მე-7 შესაფარდებლად (ცაკ. უწყ. 1926 წ. ნოემბერი 5, № 256) და რ. ს. ფ. ს. რ. გან. სახ: კომ: 1926 წ. ნოემბრის 16 დადგენილების შეფარდებით ს. ს. ს. რ. გან. სახ. კომ-ი ადგენს: ს: ს: რ. ტერიტორიაზე კინო-სურათების საჯარო შესრულებისათვის (ყველა კინო-წარმოებათა, კინო-თეატრთა, კლუბებთა და სხვა დაწესებულებათა, როგორც მაგ. სახელმწიფო სამხედრო პროფკავშირის კერძო, სტუდიის და სხვა) საავტორო ჰონორარის შესახებ ადგენს:

1. შემოღებული იქნას საავტორო ჰონორარის გადასახადი იმ კინო-სცენარების, რომელნიც საჯაროთ შესრულებული იქნება ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე განაკვეთის 1 პროც. რაოდენობით, თვითეულ სურათის ხაზინის ფაქტიურ შემოსავლიდან სახელმწიფო გადასახადის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ სურათები უფასოთ იქნება ნაჩვენები — 1 პროც. გადახდება სურათის საპრაკატო თანხიდან.

2. მოსკოვის და ლენინგრადის მწერალთა და კომპოზიტორთა საზოგადოების წევრთათვის სასარგებლოდ გაღებული საავტორო ჰონორარი უნდა ჩაბარდეს ამავე საზოგადოების რწმუნებულთ ან აგენტს, არა უგვიანეს მეორე დღისა. მათ უნდა ჰქონდეს დასახელებულ საზოგადოების რწმუნება ს. ს. ს. რ. ხელოვნების განყოფილების ვიზა.

3. ის კინო-სურათები, რომლებზედაც გაწერილია საავტორო ჰონორარის გადახდა მოსკოვის და ლენინგრადის წევრთა სასარგებლოდ, აღნიშნულია ამავე საზოგადოებათა სიებში, პროცენტების ნაჩვენებით და ამის დაკვალად უნდა მოხდეს საავტორო ჰონორარის გადახდაც.

4. საავტორო ჰონორარი არის ავტორთა შრომის ჯილდო (ხელფასი) და ამიტომ ის არ უნდა ვათანასწორებულ იქნეს იმ გადასახადებიდან, რომლისგანაც ზოგიერთ საქველმოქმედო მიზნით გამართულ სურათების დემონსტრაციის დროს თავისუფლებიან სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისაგან, მაგრამ ასეთები საავტორო ჰონორარის გადასახადიდან არ თავისუფლდებიან.

5. მოსკოვის და ლენინგრადის საზოგადოებათა რწმუნებულთ და აგენტებს, რომ საშუალება ჰქონდეთ უფრო ჯეროვნათ დაიცვან ავტორთა უფლება და სურათის მხატვრული ინტერესი, აქვთ უფასო და მუდმივი ადგილები კინო-თეატრებში.

6. ყველა კინო-წარმოების ადმინისტრაციას ევალება ეს დადგენილება მტკიცეთ დაიცვან.

7. დადგენილება ეს ძალაში შედის ა.-წ. მარტის 1-დან.

განსახკომი **დ. კანდელაკი.**
საქმეთა მმართველი **ალ მიქაბერიძე.**
მდივანი **ილ. რუხაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე, გლეხთა ცენტრალურ სახლში შესდგება **ქალაქის რაიონის სადელეგატო კრებათა რუსული მეორე ჯგუფის მეცადინეობა.**

ყველა დელეგატ-ქალებს, რომელნიც შედიან აღნიშნულ ჯგუფში, ევალებათ დაუგვიანებლად გამოცხადდენ მეცადინეობაზე.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაკის ცენტრ. კაბინეთის შენობაში (რუსთაველის თეატრი) იწვევს **ყველა პარტსკოლების მამასახლისების, წრეების მდივნებს, უჯრედების აგიტპროპორგანიზატორებს, ხელმძღვანელების და ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგთა საერთო კრებას:**

გუსტირი, ბზეკელავა, კალნიცკი, კაპარავა, ელჩიბეკოვი, ლომთათიძე, დავიდოვი, ბუხნიკაშვილი, ხრისტოლიუბოვი, ბელენკი, გაბუნია, ცხაკაია, ხმელნიცკი.

კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

— რემედასის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში (სალექციო დარბაზი) **გაიხსნება რემედასის სარაიონო კონფერენცია.**

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის **კომიტეტის აგიტპროკოლეგიის სხდომა** შესდგება დღეს, 15 მარტს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ასრიბეკოვის** კაბინეთში.

— **ქალაქისა და სოფლის კავშირის ხელისშემწყობ საზოგადოების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა** შესდგება დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ასრიბეკოვის** კაბინეთში.

— პარასკევს, 18 მარტს, საღამოს 5 საათზე მე-7 შრომის სკოლის შენობაში (პლეხანოვის ქ. 166) შესდგება **ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა № 24 კომუჯრედის დახურული სხდომა.**

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება **პედაგოგების წრის მორიგი მეცადინეობა** ბავშვთა კომ. მოძრაობის შესასწავლად.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 სათზე, მესამე რაიკომის შენობაში შესდგება **მესამე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს 5 საათზე **მესამე რაიკომის შენობაში** შესდგება ყველა ჯგუფების სადელეგატო კრების მეცადინეობა.

— საქართველოს ახალგ. ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხვალ, 16 მარტს, საღამოს 5 საათზე შესდგება **საქ. ახალგ. ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრები და ის ამხანაგები, რომელთა საქმე უნდა გაირჩეს საკონტროლო კომისიაში, აუცილებლად უნდა გამოცხადდენ.

— სახ. უნ. აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს სამშაბათს, 15 მარტს, საღ. სრულ 7 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება. აუცილებელია დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა და აგრეთვე ამხ. გალაქტიონ მარდალეიშვილის.

დღეს შესდგება ა. ლ. კ. კ. მბეჭდავთ მე-4-ე უჯრედის კრება გარჩეული იქნება: ა. კ. ს. კ. მესამე პლენუმის დადგენილებები კომკავშირში უარყოფით მოვლენებთან ბრძოლის შესახებ.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ირაკლი და შალვა აგლაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ეფროსინე ლევანის ასული
აგლაძისა

გამოსვენება დღეს 15-ს მარტს ვარდისუბნის ქუჩ. № 30 ბინა 4. დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე 4 (ოთხ) საათზე 2066

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნატალია იოსების ასული
გივიშვილისა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები: ვასილი ძიხეილისძე გივიშვილი ცოლშვილით, მარიამ თარ[illegible]აძისა, ეკატერინე შიოშვილისა, ნინო ზედგინიძისა, ბარბა[illegible] ხარნაძისა და ოლღა გივიშვილი თავიანთი ქმარშვილით. პანაშვიდი საღამოს 7 ნახ. საათზე, საკუთარ ბინაზე მეტეხის შესახვევი № 27, გასვენება 16 მარტს დილის 10 საათზე წ. მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2061

სახელმწიფო დრამა

ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა"-ს სასარგებლოდ
დღეს, 15 მარტს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით
დადგმა: **ალ. ახმეტელის.** მხატვარი: **მ. შავიშვილი.**

შაბათს, 19 მარტს, უ. შექსპირის **ჰამლეტ**
ჰამლეტ: გ. დავითაშვილი
ტრაგედია 5 მოქმ. 11 სურათ. თარგმანი: ი. მაჩაბლისა.
მუსიკა ჩაიკოვსკისა.
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
2—1 ნ. 819

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—12 ნ. 748

დადგმის მეორე კვირა
„თავადის ასული მერი"
ციკლიდან „ჩვენი დროის გმირები" ლერმონტოვის რომანის მიხედვით
დადგმა ბარსკის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი.
საქ. სახკინმრეწვის სურათი

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მეტად საინტერესო სურათი
„მხედალი" დადგმა მსოფლიო რეჟისორის ჯემს კრიუზესი.

განსაკუთრებული ინტერესის გამო გაგრძელდა ჩვენება კინო-რომანის
„კაბირია" 2 სერიად, 10 ნაწ. ორივე სერია ერთად მთავარ როლში მაცისტი.

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 823

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 15 მარტს
საკლოუნო იუმორის სანახაობანი, 3 განყ. სალამო ექსცენტრიკოს კლოუნების **ძმ. ფორდიკების**
ახალი საბუფ. გამოსვლა. დღეს, სკეტჩ—სატირა. „1-ლი უბნის ფარაონი" მონაწილ. ლ. ტანტი და ძმ. ფორდიკი. გრძელდება ჭიდაობა
ჭიდაობს ოთხი წყვილი
ბული—კრილოვი ჟელეზნიაკი—ერტნერი
ბუმბერაში—ზოტი—იაუნში წითელი ნიღაბი—სუტიაგინი
მზადდება სალამო ადმ. მ. ტადესი.
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

სია

იმ ხელის მომწერთა, რომელნიც არ ღებულობენ გაზეთ ,,კომუნისტს'' მისამართების შეცდომის გამო.

№	ხელისმომწერის სახელი და გვარი	გაზეთის რაოდენობა	ქვითრის №	ხელისმომწერის მიერ მოცემული მისართი	რამდენი არის გამოწერილი
1.	ხაჩატურიანცი	1	570	ანევის ქუჩა № 13	2
2.	ვერმაძე ფეოდორი	1	5609	ლაზარევის ქუჩა № 3	4
3.	ბუჩურაშვილი	1	5609	„ „ № 14	4
4.	შაიშმელაშვილი	1	570	ალექსანდროვის ქუჩა № 16	2
5.	ბადაშვილი	1	520	პლეხანოვის პროსპ. № 6	1
6.	უმბრიევი	1	3626	ფარკოფილის ქუჩა № 16	1
7.	ძაისაშვილი	1	4924	ორთაჭალის ქუჩა № 11	1
8.	მშველიძე	1	5548	ელისაბედის ქუჩა № 90	2
9.	ბოლქვაძე	1	589	ბებუთოვის ქუჩა № 31	4
10.	კარანაძე ოხიფანტე	1	592	ანდრეევეს ქუჩა № 9	5
11.	ტაბლაშვილი	1	5520	ალექსანდროვის ქუჩა № 4	2
12.	გამრეკელი თამარა	1	5651	გრიბოედოვის ქუჩა. № 24	4
13.	კურახაშვილი	1	5260	სიდონოვის ქუჩა № 3	1
		სულ	13		

ზემოთ აღნიშნულ პირთ ევალებათ სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი სწორი მისამართი, რათა გაზეთის გზავნა იქნას აღდგენილი.

გაზ. „კომუნისტის" ექსპედიცია

მისამართი: კამოს ქუჩა № 68 ტელეფ. 5—43 3—1

გამოვიდა და იყიდება
წიგნის ყველა მაღაზიებში, გაზეთების გამყიდველებთან და კიოსკებში
ხალხური პოემა
„აბესალომ და ეთერი"
მისამართი, რუსთაველის გამზ. № 26, ეზოში. 3—1

დაინტერესებულ პირთ
შეუძლიათ სავსებით შეითვისონ 2—3 თვის სისტემატიური მუშაობით სრული კურსი (თეორია და პრაქტიკა)
ბუღჰალტერიისა: საქარხნო, სავაჭრო ან საბიუჯეტო დარგები
მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე სურვილისამებრ—კერძოთ ან ჯგუფში. პირობების გაგება შეიძლება ი. ცირგილაძესთან სალ. 6—8 საათამდე—რუსთაველის გამზ. № 18 მესამე სართული—ტელეფონი № 5—40. ნ. 802 10—1

15 მარტს 6 საათ. 30 წ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში
პროფესორი პლეტნევი წაიკითხავს მოხსენებას
„გულის სისუსტე და მისი მკურნალობის ფიზიოლოგიური საფუძვლები"
მედსანშრომის კავშ. ექიმთა სექციის ცენტრალ. ბიურო.
ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბა.
ნ. 822 ა | კ. ექიმთა საზოგადოება

ა.-კ. რკინ. გზ. გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 29 მარტს, დღის 12 საათზე, სალიანდაგო და საამშენებლო განყოფილებაში კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქ. № 73. დანიშნულია
შერეული საჯარო ვაჭრობა
სასიგნიზაციო სამუშაოების იჯარით გასაცემად ა.-კ. რკ გზის მთელ ხაზზე.

ვაჭრობაში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ სათანადო გადასახადი საშუალებები და საჭირო მოწყობილობა.

ვაჭრობაში მონაწილეობისთვის საჭიროა ქვითარის წარმოდგენა გზის სალაროში შეტანილ ბეზე წლიურ სამუშაოს განცხადებულ ღირებულებიდან 5%-ის რაოდენობით. სამუშაოს ჩაბარების შემდეგ ეს ბე შეივსება 10 %-ნი ანარიცხით ყოველთვიურ გადასახადიდან იმ დრომდე, სანამ არ შესრულდება თანხა, სამუშაოს წლიური ღირებულების 10 % რაოდენობით.

ბეს წინასწარი შეტანისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებები და შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი შრომის არტელები, არტელის დამტკიცებული წესდების წარმოდგენის პირობით.

მუშაობის დაწვრილებით პირობებთან გაცნობა შეიძლება სალიანდაგო განყოფილებაში ყოველდღე სამუშაო საათებში. ნ. 818

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს. რომ ის 21 მარტს 1927 წ. დღის 11 საათ. სახლში № 23 ქ. ქუთაისში ჯაფარიძის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შაფათა დავითისძე ფიჩხაძის მოძრავ ქონებას: კამოდს, ნოხს, ფარდებს, მაგიდას, პირისაბანს, შკაფს, მაგიდას და საპირფარეშოს, შეფასებულს 120 მანეთად, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სავაჭროს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქუთაისის 2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 იანვარს 1927 წ. თარიღით № 285 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 820

ა.-კ. რკინის გზის გამგეობა
ამით იუწყება, რომ ხუთშაბათს, 24 მარტს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
შერეული საჯარო ვაჭრობა
მიწის და ქვის სამუშაოებზე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად ორჯონიკიძეს (ყოფ. ანდრეევის) ქუჩაზე № 87 | 89.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ქვითარი განცხადებული ფასიდან 5 % ბეს შეტანის შესახებ გზის სალაროში.

საჭირო ცნობებისა და განცხადების ბლანკების მიღება შეიძლება საბინაო საამშენებლო კომიტეტის კანტორაში, ა.-კავკ. რკ. გზ. სამმართველოს შენობაში—სადგურის ქ. № 1, ოთახი 249.

ნ. 821. გამგეობა.

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 26 მარტს 1927 წ. დილის 11 საათ. ადგილობრივ ქ. ქუთაისში მჟავანაძის 8 შესახვევში № 2 დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება კონსტანტინე (კოწია) ბიჭიასძე ქებულაძის აგურის ორი თვალი სახლი შუშაბანდით და ქვეშ სარდაფით, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე ზომით 130 კვად. საჟ., ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ვალის 242 მან. 26 კაპ. 6 პროც. პროტესტის სასამართლოს და საქ. საწარ. 43 მან. 15 კაპ. დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 300 მანეთი, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 820

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 28 მარტს 1927 წ. დილის 11 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში ჩოგოვაძის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ონისიმე ანდრიასძე ედიბერიძის ერთი სართულიანი სახლი № 45, რომელიც შეიცავს სამ საცხოვრებელ ოთახს, აივანს და სამზარეულოს დახურული კრამიტით, აგებული ნაკვეთ მიწაზე ზომით 320 კვად. საჟ., ქუთაისის 1 სახელმწიფო 26 კომუნარების სახელობის თამბაქოს ქარხნის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 800 მან. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. მ. 820

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 28 მარტს 1927 წ. დილის 10 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში ჯულაშვილის ქუჩაზე დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება შალვა ერმილესძე კოლუშვილის აგურის ზემო სართული სამი საცხოვრებელი ოთახი აივნები, კიბეები და ფეხსადგილი დახურული კრამიტით დაშენებული ივანე კოლუაშვილის ქვედა სართულ სახლზე № 34 საქართველოს მ.უ.ს. ტრესტების სავაჭრო ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება დაფასებული ფასიდან 130 მანეთიდან ან შეძლეული ფასიდან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 820

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართ. აღმარულებ
ქ. კამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 20 მარტის 1927 წ. დილის 11 საათზე სოფელ ალბულახში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დიმიტრი ძოსიევის მოძრავ ქონებას ერთ ცხენს შეფასებულს 70 მანეთად, თანახმად ალბულახ-ასურეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 15 დეკემბერს 1926 წ თარიღით № 2290 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 2063

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 28 მარტს 1927 წ. დილის 12 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში ოქტომბრის ქუჩის მე-3 შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება არსენ ქაიხოსროსძე ჯახუტაშვილის ქვიტკირის სახლი, რომელიც შეიცავს ექვს ოთახს, სამზარეულოს და შუშაბანდს დახურული კრამიტით, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე ზომით 756 კვად. საჟენი, საქართველოს მ.უ.ს. საბჭოს სავაჭრო ტრესტების ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 1600 მანეთი, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. საწინდარი 10 პროც. ნ. 920

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხმისვენების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
,,სილამაზის ინსტიტუტი''
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი)
ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას
მიღება დილის 8—12 საათამდე ჭავჭავაძის ქუჩა სახ. № 9.
13—1 ქგ. 1764

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—1

ექ. ი. ე. ბაბიჩვაძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65
იღებს სპეციალურათ **ვენერიულ სიფილისით და კანით** ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

დავკარგე განათლების კავშირის წიგნაკი № 4670, სოლომონ ზაქარიას-ძე ქურდიანის სახელზე, ჩ. გ. 2058

დავკარგე პ. ბილეთი №490177, საწევრო წიგნაკი № 5322, საბჭოს წევრობის დროებითი მანდატი № 352, საანგარიშო წიგნაკი (დამზღვ. სალ.) № 215, დროებითი მანდატი თბილ. საბჭოს წევრობის № 352, კვიტანც. ლენინის თხზულ. გამოწერის, წიგნაკი—რეგულიუცია და რ.კ.პ. ქვითარი ლომბარდში დაგირავებულ სანადირო იარაღის, სოფიო მიხეილის ასული თენეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2063

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4, გიორგი გიორგისძე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. 2060

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 4, გრიგოლ კვირიკაძეს სახელზე, ჩ. გ. 2057

დავკარგე პირადობის მოწმობა ანა ელისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2066

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი—კონსტანტინე გრიგოლის-ძე ქანტურიას სახელზე, ჩ. გ. 2064

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1244—გიორგი ორლოვის სახელზე, ჩ. გ. 2062

დავკარგე პირადობის მოწმობა—გიორგი პავლეს-ძე თედეიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 808

დავკარგე საჭ. ფლოტის მომგებიანი ბილეთი 13301 და მოწმობა მცხეთის აღმასკომის მიერ გაცემული სერგო მამულოვის სახელზე, ჩ. გ. 206

დავკარგე სამხ. სააღრიცხვო ბარათი პეტრე გიორგის-ძე რაქვიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2069

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გაცემული 1909 წ. № 1562, გიორგი ესტატეს-ძე ეგაძის სახელზე, ჩ. გ. 2065

დავკარგე პირადობის მოწმობა № 30 | 36214 მეორე № 30 | 36213, ავადმყოფობის მოწმობა № 390 და სხვადასხვა კვიტანციები გაცემული ქალ. საატრედიის რკ. გზ. მიერ, დავით ტორონჯაძის სახელზე, ჩ. გ. 2068

დავკარგე სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 176, მოწმობა აღმასკომის 1-ლი საბჭოთა სახლიდან გაცემული № 178, მანდატი № 179 და ვადა გაგრძელებული მოწმობა № 888, რკ. გზის პერონზე თავისუფლად გასვლის შესახებ, აქსენტი დავითის-ძე კუპრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2072

დავკარგე სადურგლო სახელოსნოს 44 მანეთიანი ფასიანი და უფასო პატენტი, № 30559 დარაბის თებერვლის და მარტის გადახდის ქვითარები, ადგილობრივ და საკლასო სარეწაო ქვითარები, გორის მაზრის სოფ ტყვიავის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვითარი, სამხედრო აღრიცხვის სარეგისტრაციო დუბლიკატი და სხვადასხვა მოწმობები ნიკო კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. 2059

დავკარგე კოოპერატივის წიგნაკი № 17089, მარიამ ბერიძის სახელზე, ჩ. გ. 2070

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.